პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად ფინეთში დაინიშნა ამხ. ლოგანოვსკი.
- პოლონეთში საყოველთაო გაფიცვას მოელიან.
- საფრანგეთის ნახშირის მრეწველები შრომის ხელფასს ამცირებენ.
- ინგლის-ამერიკა სესხს აძლევენ პოლონეთს.
- გერმანია-საფრანგეთის საბაჟო შეთანხმება.
- საბჭოთა კავშირის ნოტა ჩჟან-ცზუ-ჩანს.
- საბჭოთა გემი „ტოვარიშჩ“ არგენტინაში.
- სამხრეთ-სლავია ალბანეთზე გასალაშქრებლად ემზადება.
- მექსიკაში აღმოაჩინეს შეთქმულება მექსიკის მთავრობის წინააღმდეგ.
- ლოძში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

კვირა, 20 მარტი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 62 (1817)

ა. წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე,
სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
შესდგება
საქართველოს კომპარტიის ცეკას
მორიგი პლენუმი
საქ. კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **ქართველიშვილი**

წითელი ჯარის ქართულ ნაწილებს ექვსი წლის არსებობის თავზე

ამხანაგებო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტხელმძღვანელებო!

ამ ერთი თვის წინედ ჩვენ ვიდღესასწაულეთ **სრულიად საკავშირო წითელი ჯარის არსებობის მეცხრე წლის თავი.** დღეს კი ჩვენ ვდღესასწაულობთ **წითელი ჯარის ქართულ ნაწილების შექმნის მეექვსე წლის თავს.** წითელი მებრძოლნი, მუშა და გლეხი—რევოლიუციონერები ჩვენშიაც შედარებით დიდი ხანია არსებობდენ, განსაკუთრებით 1905 რევოლიუციონური წლიდან, მაგრამ როგორც წითელი რევოლიუციონური მუშათა და გლეხთა ჯარის ნაწილები, ისინი ჩამოყალიბდენ მხოლოდ ამ ექვსი წლის წინედ, ე. ი. მას შემდეგ, რაც საქართველოში განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება.

მეტად ძნელი და გასაჭირი იყო წითელი ჯარის ნაწილების მოწყობა-აღმშენებლობა პირველ ხანებში, როცა უსახსრობის გამო საბჭოთა ყველა რესპუბლიკები და საქართველოც მათ შორის უდიდეს გაჭირვებას განიცდიდენ. წითელ ჯარს აკლდა სურსათი, საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი. იგი ხშირად შიმშილს და სიცივეს განიცდიდა. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, იგი მხნედ და შეუდრეკელად იდგა მუშათა კლასის სადარაჯოზე და საჭიროების დროს თავს სწირავდა მუშათა საქმისთვის.

დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერების მეოხებით წითელი ჯარის მდგომარეობა გაცილებით უმჯობესი შეიქნა წარსულთან შედარებით, თუმცა მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია ამ მხრივ. ამიტომ საჭიროა, რომ წითელი ჯარის დღევანდელი შემადგენლობა მუდამ ჟამ იგონებდეს თავის წარსულ ისტორიას, რომელიც სავსეა საგულისხმიერო ამბებით.

ამხანაგებო! წითელ ჯარს უკანასკნელ წლების განმავლობაში, როცა იგი მოსვენებული იყო ომიანობისაგან და მას შეძლება ქონდა სწავლა ცოდნისთვის მიეყო ხელი, **ბევრი მიღწევები აქვს,** როგორც **პოლიტიკური ცოდნის** მხრივ, ისე **კიდევ უფრო სამხედრო ხელოვნების დარგში.** ჩვენ ვიცით, რომ ჯარის ქართ. ნაწილებს, როგორც პოლიტიკური შეგნებით, ისე სამხედრო ცოდნით, მთელ წითელ ჯარში საპატიო ადგილი უჭირავთ. ქართველ წითელ მეომართა მხნეობა და მუშების და გლეხების მიმართ ერთგულება ყოველთვის ეჭვს გარეშე იყო, არის და იქნება.

ამხანაგებო! თქვენ კარგად იცით, რომ მუშების და გლეხების ხელისუფლებას მრავალი მტერი ჰყავს. ჩვენ ჯერ კიდევ გარშემორტყმული ვართ ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომელთაც ჩვენი მოსპობა-განადგურება სწადიათ და ამიტომ ისინი მუდამ ემზადებიან ჩვენზე თავდასხმისათვის. ჩვენდა საბედნიეროდ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შინ საქმე ვერ აქვთ კარგად, რადგანაც მუშათა კლასი არ თანაუგრძნობს ომს ჩვენს წინააღმდეგ. პირიქით, ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშები თანაგრძნობას ჩვენ გვიცხადებენ მაგრამ ჩვენ მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ ვერავის დავუთმობთ და ვერაფერზე გავსცვლით. **ის ურყეველია.** შესაძლებელია, ჩვენ ყველანი დავიხოცნოთ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ ვერ ვუღალატებთ. ამიტომ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, წითელარმიელებს, მეთაურებს და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, მხნედ იდგეთ მუშათა კლასის სადარაჯოზე და მუდამ ჟამ მზად იყვეთ მის დასაცავად.

გაუმარჯოს წითელ ქართულ ნაწილებს!

გაუმარჯოს სახელოვან წითელ ჯარს!
გაუმარჯოს მუშებს და გლეხებს!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომ. ფ. მახარაძე.

რევოლიუციის ერთგული გუშაგი

ქართულ წითელ არმიას დღეს შეუსრულდა არსებობის ექვსი წელი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი არმია იმდენად გაიზარდა და განმტკიცდა, რომ მას ამჟამად სრული უფლება აქვს ატაროს დიდი ოქტომბრის არმიის საპატიო სახელი.

ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და მისი შემდეგი განვითარება სხვა პირობებში მოხდა, ვიდრე რუსეთში. გამარჯვება თუ არა საქართველოში მუშებისა და გლეხების ხელისუფლებამ, მას ისეთი ძლიერი მოკავშირე აღმოუჩნდა, როგორიცაა რუსეთის ფედერატიული სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკები. ამიტომ შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია, ისე ადვილათ ვერ ბედავდა საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან იარაღით შებრძოლებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე.

ამგვარად ქართულ წითელ ლაშქარს არ გაუვლია სამოქალაქო ომის ისეთი სკოლა, როგორშიაც გამოიზრდიდა ბევრი ჩვენი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების არმიები. მიუხედავათ ამისა ჩვენს წითელ მხედრობას არა ერთი შემთხვევა ჰქონია, დაემტკიცებია თავისი რევოლიუციონური თვითშეგნება და სამხედრო მომზადება. წვრილფეხა ავანტიურისტი მენშევიკური გენერლები და პროფესიონალი ბანდიტები რამდენიმე წლების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდენ სოფლის მოსახლეობას და თავიანთ პარტიზანულ თავდასხმებით ყოველნაირათ ცდილობდენ ხელი შეეშალათ საბჭოთა მშვიდობიან აღმშენებლობისათვის. ეს ყაჩაღური თავდასხმები 1924 წელში დამთავრდა ცნობილი აგვისტოს ავანტიურით, როცა ქართულმა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებმა საზღვარგარეთის დახმარებით „სახალხო აჯანყების“ კომედია მოაწყვეს. ჩვენმა წითელ არმიამ შერისხვა დაასყარა თავს გაერთიანებულ შინაურ კონტრ-რევოლიუციას. აჯანყება ხელისუფლების წინააღმდეგ გადაიქცა საქართველოს მშრომელთა საერთო აჯანყებათ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ქართული წითელი არმია აქ პირველ რიგში იყო. საქართველოს მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მტრებს მან ძირში მოჰკვეთა რევოლიუციისათვის მახვილის ჩასაცემათ მოღერილი ხელი. ქართული წითელი არმიის დიდ დამსახურებას შეადგენს აგრეთვე ისიც, რომ დღეს ჩვენში აღმოფხვრილია ბანდიტიზმი, რომ ქართველ მუშასა და გლეხს მშვიდობიანი მუშაობის პირობები აქვს შექმნილი.

ეს კიდევ ცოტაა. ქართული წითელი არმიის დამსახურება შინაურ კონტრ-რევოლიუციის შეიარაღებულ გამოსვლის ლიკვიდაციით არ ამოიწურება. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა პირობებში არმია კულტურულ და საზოგადოებრივ განვითარების ერთ უძლიერეს საშუალებათაგანს წარმოადგენს. წითელი ყაზარმა, თამამად შეიძლება ითქვას, იგივე სკოლაა მოზრდილთათვის. ქართულ წითელ არმიას ამ ექვსი წლის განმავლობაში ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული. მან ჩვენს სოფელს აღუზარდა არა ერთი და ორი ათასეული მოწინავე მუშაკი. მან დიდი კვალი დააჩნია სოფლის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

საბჭოთა კავშირი ერთად ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც გულწრფელად და მტკიცედ სდგას მშვიდობიანობის ნიადაგზე. მთელი ჩვენი გულისყური ამხანად სოციალისტური აღმშენებლობის შემდეგი გაღრმავება-გაფართოებისაკენაა მიმართული. თვიდან თვეზე, წლიდან წლამდე ჩვენ ვიზრდებით და ვღონიერდებით ეკონომიურათ.

კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელთაც სახელოვანმა წითელმა ჯარმა სამოქალაქო ომის დროს დიდი დამარცხება აწვნია, ეკონომიური საშუალებებით სცდილობდენ და ცდილობენ ოქტომბრის მონაპოვარის დამარცხებას. ამიტომაა, რომ მათ ვერ მოუნელებიათ საბჭოთა კავშირის შეუჩერებელი სამეურნეო ზრდა. კბილებამდე შეიარაღებული ბურჟუაზია მხოლოდ შემთხვევას ეძებს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ისევ იარაღით გამოილაშქროს. ოქტომბრის რევოლიუციის რესპუბლიკათა იმედი და ნუგეში ასეთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის წითელი მხედრებია, რომელნიც ერთგულ გუშაგათ უდგანან დღეს რევოლიუციას.

სამოქალაქო ომში წითელ არმიამ გაიმარჯვა უმთავრესად თავისი რევოლიუციონურ თვითშეგნებით და ენტუზიაზმით. ეხლა ამ საუკეთესო თვისებასთან ერთად საზოგადოთ წითელ არმიას და კერძოთ ქართულ წითელ არმიას აქვს მეორე დადებითი თვისება. ესაა სამხედრო მომზადება და შეიარაღება. წითელი არმია დღეს თავისი საომარი ტეხნიკით და მოწყობილობით ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოების არმიებს უსწრებს წინ.

მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებზე ვერ შევჩერდებით. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ბევრს ჰყვირიან განიარაღებაზე და „კაცთა შორის სათნოებაზე“ სწორედ იმიტომ, რომ ამ ხმაურობაში ახალი ზედრედნოუტები ააგონ და მეტი მხრჩოლავი გაზები დაამზადონ. ჩვენ ბოროტებას ჩავიდენდით რევოლიუციის წინაშე, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პაციფისტურ თვალთმაქცობის დროს ოდნავ მაინც შეგვესუსტებია ჩვენი შეიარაღებულ ძალების წინსვლის საქმე. მთელი ჩვენი ენერგია უნდა მიმართული იქნეს წითელი არმიის შემდგომი გაძლიერებისა და დაწინაურებისაკენ. მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელება, წითელი არმიის დამხმარე ნებაყოფლობით საზოგადოებისათვის ყოველნაირათ ხელის შეწყობა, ჯარის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებისათვის მუშაობა—ასეთია ჩვენი მოვალეობანი წითელი მხედრობის მიმართ. ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ უდაო დებულებას, რომ, რაც უფრო ძლიერი ვიქნებით სამხედრო მომზადების მხრივ, რაც უფრო გალესილი გვექნება რევოლიუციის მტრების გულში ჩასაცემი მახვილი, მით უფრო ნაკლები ხალისი ექნება ჩვენს მოწინააღმდეგეს იარაღი აიღოს ხელში საბჭოთა კავშირზე გამოსალაშქრებლათ.

საბინაო აღმშენებლობის კრედიტების დეცენტრალიზაციისათვის

(პრაქტიკული წინადადება).

საბინაო აღმშენებლობას ამ ჟამად უდიდესი ურადღება აქვს მიქცეული. ცხადია, ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს ამ აღმშენებლობისათვის კრედიტების დაუბრკოლებლად და თავის დროზე მიწოდებას.

ამჟამად საბინაო აღმშენებლობისათვის კრედიტების მიწოდების საქმე ცენტრალიზაცია ქმნილია, ე. ი. ყველა მსესხებელი თავის მოთხოვნას საჭირო კრედიტების მისაღებად უგზავნის ცენტრალურ კომუნალურ ბანკს, რომელიც მსესხებელების მიერ წარდგენილი მასალების შესწავლის შემდეგ მათ უხსნის კრედიტებს.

კრედიტების ასეთი ცენტრალიზაცია ძალიან აბრკოლებს და აძნელებს კრედიტების მიღებას. საქმე იმაშია, რომ ცენტრი დაუბოლოებლად ახალ-ახალ მასალებს თხოულობს, ხოლო რადგანაც ჩვენ ძლიერ დაშორებული ვართ მოსკოვს, ამ მასალების გამოთხოვისა და ბანკის მიერ მიღების შორის დიდი დრო გადის და ადგილები თავის დროზე ვერ იღებენ კრედიტებს, და ეს ძალიან აფერხებს საბინაო აღმშენებლობას. რომ ეს ასეა, იქიდანა სჩანს, რომ 1925-26 წელში საქართველოს კოოპერაციას უნდა მიეღო 100 ათასი მან. საბინაო კოოპერაციის კავშირმა თავის დროზე გადაგზავნა ყველა მასალები, მაგრამ ბანკის მოთხოვნები თანდათან იცვლებოდა და კოოპერაციამ რამოდენიმეჯერ მოუხდა დანატებით მასალების გადაგზავნა. კოოპერაციის წარმომადგენელიც ორ თვეზე მეტს მოსკოვში იმყოფებოდა და ცდილობდა დაეჩქარებინა კრედიტების გამოგზავნა, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ 100 ათას მანეთიდან საქართველოს საბინაო კოოპერაციამ დღემდე მხოლოდ 50 ათასი მანეთის მიღება მოახერხა.

ამ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ა.-კ. საბინაო კოოპერაციის საბჭომ და საბინაო კოოპერაციის საკავშირო საბჭომ, რომელთაც შუამდგომლობა აღძრეს ცენტრალურ კომუნალური ბანკის წინაშე საბინაო აღმშენებლობის კრედიტების დეცენტრალიზაციის შესახებ. ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა გამოიმუშავა ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვით ცენტრალურმა ბანკმა კრედიტები უნდა გადასცეს ადგილობრივ კომუნალურ ბანკებს.

ამას წინეთ ამხ. განჯუმოვი სწერდა „ზარია ვოსტოკა“-ში, რომ კრედიტების განაწილების ეს ახალი წესი უზრუნველყოფს აღმშენებლობის მიერ კრედიტების თავის დროზე მიღებასო. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს ასე არ არის. ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ შემოღებული ახალი წესი კრედიტების განაწილებისა მდგომარეობას არსებითად არ სცვლის. ეს წესი ძველისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თუ წინეთ ცალკე მსესხებლები აგზავნიდენ მოსკოვში თავიანთ მოთხოვნებს, ახლა ეს მოთხოვნები უნდა გადაეცეს ადგილობრივ კომუნალურ ბანკებს და ამ უკანასკნელებმა თავიანთი დასკვნის თანდართვით უნდა გაუგზავნონ ცენტრალურ კომუნალურ ბანკს, რომელიც ამ დასკვნებით იხელმძღვანელებს ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის კრედიტების მიცემის დროს.

ამრიგად,—კრედიტების ცენტრალიზაცია ისევ რჩება, მხოლოდ ცენტრალური ბანკი ადგილობრივ ბანკებს იყენებს კორესპონდენტებად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ საბინაო კრედიტები მხოლოდ ასეთი ცენტრალიზაციური წესით ეძლეოდეს ადგილებს.

კრედიტების ასეთ ცენტრალიზაციას არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ხოლო ადგილების მიერ კრედიტების თავის დროზე მიღებას აძნელებს და ამით აფერხებს საბინაო მშენებლობის საქმეს.

საბინაო აღმშენებლობისათვის ბიუჯეტით კრედიტის მიწოდება უნდა სწარმოებდეს ისეთივე წესით, როგორიცაც ბიუჯეტით გაღებული თანხები ეძლევა მრეწველობას, კოოპერაციას და სოფლის მეურნეობას, ე. ი. საბინაო აღმშენებლობის ა.-კავკასიის წილი უნდა გადაეცეს ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებისათვის გასანაწილებლად. ამ განაწილების შემდეგ ფინანსთა კომისარიატი სათანადო ხელშეკრულებით ამ კრედიტებს გადასცემს კომუნალურ ბანკს. ეს უკანასკნელი კი ინდივიდუალურად შეისწავლის ცალკე მსესხებლებს და უფრო მიზანშეწონილად და თავის დროზე გაანაწილებს კრედიტებს, ვიდრე ეს დღეს სწარმოებს.

ასეთი წესით მოიგებენ ყველა ის ორგანიზაციები, რომელნიც საბინაო მშენებლობას აწარმოებენ, მოიგებს აგრეთვე ბანკიც, რადგანაც მას შესაძლებლობა ექნება ინდივიდუალურად მიუდგეს ყველა მსესხებელს და ადვილად გააფორმოს კრედიტები.

ასეთი წესი საბინაო კრედიტების განაწილებისა უკვე მოიწონა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგეგმო კომისიის მოხსენებით. საჭიროა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომაც მიიღოს ეს წესი და სასწრაფოდ აღძრას ცენტრის წინაშე სათანადო შუამდგომლობა საბინაო აღმშენებლობის კრედიტების დეცენტრალიზაციის შესახებ.

აკ. სიგუა.

თანამდებობათა შეთავსების საკითხი

მრავალ ჩვენ დაწესებულების მუშაობას დიდათ უშლის ხელს ის გარემოება, რომ მათი ხელმძღვანელები მეტად დატვირთული არიან, საკმაო დრო არ რჩებათ დაწესებულებაში მუშაობისათვის, რადგანაც მის გარეშე რამოდენიმე სხვა ადგილას უხდებათ მუშაობა, და შეთავსება რამოდენიმე მოვალეობისა და თანამდებობისა. საჭიროების დროს დაწესებულების ხელმძღვანელი ეძებენ მთელი საათებით და ზოგიერთ შემთხვევაში კი მთელი დღეებითაც უნდა ეძებოთ. თუ რომელ ადგილას და რომელ კრებაზე იმყოფება. ხშირად მისი კაბინეტის წინ დაწესებულებაში გამწკრივებულია დიდი „კუდი“ მოქალაქეებისა, რომლებიც მთელი დღეებით უნაყოფოდ სცდილობენ მის ნახვას. არის შემთხვევები, როდესაც შორეული კუთხიდან ჩამოსული გლეხი დიდი ლოდინის შემდეგ უკან ბრუნდება დაუკმაყოფილებელი მხოლოდ იმიტომ, რომ საჭირო პირის ნახვას დაწესებულებაში ის ვერ ეღირსა და ვერ მიიღო მისთვის საჭირო კითხვებზე გარკვეული პასუხი. თუ ვიანგარიშებთ იმ დროს, რომელიც მოქალაქეებს და მუშა-მოსამსახურეებს ეკარგებათ ამ უნაყოფო ლოდინში, ეს საკმაო დიდი ზარალი გამოვა, რომელიც მცირე გავლენას არ ახდენს ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდაზე და დღევანდელი მომჭირნეობის თვალსაზრისით ეს დაუშვებელია.

ეს უკვე საკმაოთ ჩვეულებრივი ამბავია, რომ დაწესებულებაში ხშირათ ვერ იპოვით სწორეთ იმ პირებს, რომლების იქ ყოფნა ყველაზე უფრო საჭიროა და აუცილებელი: დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, განყოფილებათა გამგეებს და სპეციალისტებს. ამ პირების არ ყოფნის დროს დაწესებულებათა მუშაობაც შეფერხებულია, რადგანაც დანარჩენი მოსამსახურეები ვერ კისრულობენ ოდნავ მნიშვნელოვან საკითხების გადაჭრას და მათზე პასუხის გაცემას, უფროსის მოლოდინში ხშირად ისინიც უსაქმოდ ატარებენ დროს. ერთი თუ ორი პასუხისმგებელი პირის არ ყოფნით რამოდენიმე ათეული პირიც სცდება.

ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზია თანამდებობათა შეთავსება, ერთი და იმავე დროს რამოდენიმე დაწესებულებაში მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ეს შეთავსება იშვიათად არის გამოწვეული აუცილებლობით. არის შემთხვევები, როდესაც სპეციალისტები მატერიალური მოსაზრებით რამოდენიმე დაწესებულებაში კისრულობენ მუშაობას, დრო კი არც ერთი დაწესებულებისათვის არ რჩებათ და მათი მუშაობა ხშირათ ვერც ერთ დაწესებულებაში ვერ იძლევა შესაფერის შედეგებს. მართალია, ჩვენ კარგი სპეციალისტები ცოტა მოგვეპოვება, მაგრამ არც ისე მცირეა მათი რაოდენობა, რომ თვითეულ მათგან 5-6 და ხშირად მეტ დაწესებულებაში დავაკისროთ მუშაობა. სპეციალისტების რიცხვი უკვე იზრდება, იქმნება ახალი კადრი ახალგაზრდა სპეციალისტებისა და საჭიროა მათი ჩაბმა ჩვენ აღმშენებლობაში.

ერთი თუ ორი ძველი სპეციალისტის იმედით დარჩენა შეცდომა იქნებოდა; უნდა ვეცადოთ თვითეულ დაწესებულებაში გავიჩინოთ ცალკე სპეციალისტი, რომელიც თავისუფალი იქნება სხვა დაწესებულებებში მუშაობისაგან. ესეც არ იყოს, თუ ჩვეულებრივ მუშა-მოსამსახურისათვის ზედმეტი მუშაობა აკრძალულია, სპეციალისტისთვის ის განსაზღვრული მაინც უნდა იყოს, თუ შეუძლებელია დროის განსაზღვრა, ის მაინც უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რამდენ დაწესებულებაში შეუძლია ერთ და იმავე პირს მუშაობა.

დაახლოვებით ესევე ითქმის პასუხისმგებელ მუშაკებზეც, რომლებიც ხშირათ კისრულობენ მუშაობას იმდენ დაწესებულებაში, რამდენშიაც შესთავაზებენ, მაგრამ იმდენი დროც აღარ რჩებათ, რომ ჯეროვანათ თავის დროზე გაირკვენ, თუ რა ხდება მათდამი რწმუნებულ დაწესებულებაში. ეს ბუნებრივია თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მრავალი თანამდებობით დატვირთული ამხანაგი ხშირათ მხოლოდ სტუმარია თავის დაწესებულებაში და საჭირო წარმოდგენა არ აქვს მის მდგომარეობაზე. ამის გამო ხშირია დეფექტები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ბოროტმოქმედებანიც.

ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ პასუხისმგებელ ამხანაგს ერთხელაც ვერ შეუხედნია იმ დაწესებულებაში, რომლის ხელმძღვანელ ორგანოში (საბჭო, სარევიზიო კომისია და სხვა) ის არჩეულია. თუ მისი მონაწილეობა არც იყო საჭირო, მაშ სადეკორაციოთ ან სადემონსტრაციოთ ხომ არ მოხდარა არჩევნები? ესეც არ იყოს ჩვენს დროში ენციკლოპედისტები აღარ იბადებიან და როგორ შეუძლია ერთ და იმავე პირს სულ სხვა და სხვა ხასიათის საკითხებში გარკვევა და რამოდენიმე სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელობა?

ან და ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის ნუ თუ ისე საგრძნობია სიმცირე მუშაკებისა, რომ ერთ და იმავე პირს, პარტიულ თუ უპარტიოს რამოდენიმე თანამდებობა დავაკისროთ და ფიზიკურათ შეუძლებელი მოვთხოვოთ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მდგომარეობა არ არსებობს და თანამდებობათა შეთავსების შემთხვევები სასტიკათ უნდა განისაზღვროს, ის მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული. მან არ უნდა შეაფერხოს ჩვენი დაწესებულებათა მუშაობა, ხელი არ შეუშალოს მათ დაშორებას მოსახლეობისაგან.

თანამდებობათა შეთავსების საკითხის მოწესრიგება საჭიროა პირველ ყოვლისა ჩვენი მართვა-გამგეობის აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის და მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ხ.

ჩან-ძო-ლინის ჯარების სასტიკი დამარცხება

ნანკინის აღებას ახლო ხანში მოელიან.-კანტონის არმია ოც ვერსზეა შანხაიდან

შანხაის პროფსაბჭომ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.-აჯანყება შანდუნის ჯარებში

ახლო ხანში დაიწყება პოლონეთ-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

შანხაი-ნანკინი დაცემის წინ

ნანკინი დაცემის წინ

ლონდონი, 18 მარტი. რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, **შანხაიში წუთი წუთზე მოელიან ნაციონალური ჯარების მიერ ნანკინის აღებას, სადაც შანდუნელები სუსტ წინააღმდეგობას უწევენ.** (ადს)

შანდუნის ჯარების აჯანყება

ნიუ-იორკი, 18 მარტი. მიღებული ცნობებით, **ნანკინში აჯანყდა 1.700 შანდუნელი ჯარისკაცი, რომლებიც შეეცადენ ხელში ჩაეგდოთ იარაღის საწყობი.**

შეტაკების შემდეგ აჯანყება ჩაქრობილია. (ადს)

საყოველთაო გაფიცვა შანხაიში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, **შანხაიში, პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, 19 მარტს დაიწყება საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გაგრძელდება შანხაის აღებამდე ნაციონალური ჯარების მიერ.**

შანხაის პროფკავშირთა საბჭო მოწოდებაში მიმართავს მუშებს—მოერიდონ ყოველგვარი ძალადობის აქტს, და აღნიშნავს, რომ **გაფიცვამ უნდა მიიღოს წმინდა პოლიტიკური ხასიათი.**

შანდუნის ჯარები ზომებს იღებენ. რომ მუშებმა არ დააზიანონ რკინისგზის ხაზი შანხაისა და ნანკინს შუა.

კანტონის ჯარების წინსვლა

ნიუ-იორკი, 18 მარტი. **ნაციონალური ჯარები მიიწევენ ნანკინისაკენ და დაიჭირეს ფუ-ცზიანი, 40 კილომეტრის მოშორებით ნანკინიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, და აგრეთვე, ლი-შუი, 60 კილომეტრის მოშორებით ნანკინიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.** (ადს)

ჩან-ძო-ლინის დამარცხება

შანხაი, 18 მარტი. მთელი ფრონტით, სუ-ცზიანიდან ნანკინამდე, 240 კილომეტრის მანძილზე, **სამხრეთელები სწრაფად მიიწევენ წინ.**

ხმების მიხედვით, **სუნ-ცზიანი, შანხაიდან 30 კილომეტრის მოშორებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, და, აგრეთვე, ფუ-ცზიანი, ნანკინიდან 40 კილომეტრის მოშორებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, 18 მარტს უკვე აიღეს ნაციონალურმა ჯარებმა.**

საბოლოოდ დადასტურდა რომ ნაციონალურმა არმიამ დაიჭირა იშინი, ტბა ტაისუდან 10 კილომეტრის მოშორებით დასავლეთისაკენ, ლიიანი, იშინიდან 30 კილომეტრის მოშორებით დასავლეთისაკენ, **და, აგრეთვე, ლიშუი; ნანკინიდან 60 კილომეტრის მოშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.**

გაზეთების ცნობით ჩრდილოელების დამარცხება აიხსნება მათი სამხედრო სისუსტით, სამხრეთელებთან შედარებით, და, აგრეთვე, ჩრდილოთის ჯარების გახრწნით.

შანხაი-ნანკინის რკინის-გზა კვლავ გადაჭრილია რამდენიმე ალაგას. ჯავშნიანი მატარებლები, რომლებზედაც რუსი თეთრგვარდიელები იმყოფებიან, იკეთებენ გზას.

ნანკინში დაიწყო უცხოეთის მისიონერების ევაკუაცია. ნანკინში ყოველდღე სწარმოებს სამხრეთელების მომხრეების სიკვდილით დასჯა. დასჯილთ შორის მრავლადაა მუშა და სტუდენტი.

როგორც სჩანს, ახლო დღეებში გადაწყდება ნანკინ-შანხაის რაიონის ბედი. (ადს)

სინგაპურის დახვრეტების გამო ძახილი

შანხაი, 28 მარტი. ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სინგაპურის ჩინელ მოსახლეობის იმ დემონსტრაციის დახვრეტამ, რომელიც გაიმართა სუნ-იატ-სენის გარდაცვალების მეორე წლის თავის აღსანიშნავად, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია შანხაიში. გომინდანის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, სტუდენტობის კავშირმა, პროფკავშირებმა და სხვა მუშათა ორგანიზაციებმა ნაციონალურ მთავრობას ხანკოუში გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ, რათა ინგლისის მთავრობას გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი დახვრეტის გამო. (ადს).

რკინის-გზელთა გაფიცვა ძლიერდება

შანხაი, 18 მარტი. შანხაი-ნანკინის უბანში და შანხაი—ჩან-ჩჟოუს რკინისგზის ჩრდილოეთ ნაწილში რკინისგზელთა გაფიცვა ძლიერდება. მუშაობა შესწყვიტეს მემანქანეთა უმრავლესობამ და ყველა ცეცხლ ფარეშებმა. ადგილობრივი და შანდუნის ხელისუფლების წარმომადგენლები უსასტიკეს რეპრესიებს მიმართავენ. მთელ რიგ სადგურებზე, მათ რიცხვში შანხაის სადგურზედაც, დაბანაკებულია ჯარების სპეციალური რაზმები და ჯალათები გაფიცულთა სიკვდილით დასჯისათვის.

გაფიცვა იზრდება აგრეთვე შანხაის ბამბეულის ფაბრიკებში. (ადს).

შეტევა შანხაიზე

შანხაი, 18 მარტი. ნაციონალური ჯარების საერთო შეტევა ნანკინის რაიონში ვითარდება ყველა მიმართულებით.

ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ნაციონალური ჯარები ერთი კვირის განმავლობაში მთელს რაიონს დაიკავებენ.

ნაციონალური ჯარების მთავარი ძალები უტევენ ნანკინის მიმართულებით; მეარცხენე ფლანგი უტევს სამხრეთიდან. 17 მარტს ნაციონალურ ჯარების მემარცხენე ფლანგმა დაიკავა იშინი და ლიშუი, ნანკინიდან 60 კილომეტრის მანძილზე. სუნ-ჩუან-ფანის ჯარების ნაწილმა, რომელიც იშინში და ლიშუეში იმყოფებოდა, დაიხია ჩენჩჟოუსაკენ.

შანხაისა და მდინარე იან-ცზის იმ ნავთსადგურებს შორის, რომლებიც მდებარეობენ ნანკინის დასავლეთით, შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი. (ადს).

შანხაის პროფკავშირები საყოველთაო გაფიცვას აცხადებენ

შანხაი, 18 მარტი. გამოქვეყნებულია ცნობა, რომ შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვის დაწყების დრო ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული; ფიქრობენ, რომ გაფიცვა დაიწყება ორშაბათიდან. (ადს).



ჩან-კაი-ში

კანტონის ჯარების მთავარსარდალი.

შანდუნელების წინააღმდეგობა ძლეულია

ნიუ-იორკი, 19 მარტი. შანხაიდან მიღებული ცნობის მიხედვით, შანდუნელების წინააღმდეგობა სუნ-ცზიანში ძლეულია და ისინი იხევენ შანხაისაკენ.

სამხრეთელების წინსვლა შანხაისაკენ, ალბად, დაუბრკოლებლად სწარმოებს. (ადს).

ხოი-ინ-ჩინის დეკლარაცია შანხაის უცხოელთა ხელისუფლების მიმართ

შანხაი, 18 მარტი. შანხაის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ნაციონალურ ჯარების აღმ. ჯგუფის სარდლის გენერ. ხოი-ინ-ჩინის დეკლარაცია, რომელშიაც ის შანხაის უცხოელთა ხელისუფლებს მიმართავს თხოვნით დაიცვან სასტიკი ნეიტრალიტეტი.

„ნაციონალური არმია — ნათქვამია დეკლარაციაში—არავითარ შემთხვევაში არ შეეცდება ძალით დაიკავოს საერთაშორისო უბანი, მფარველობას გაუწევს შანხაიში მცხოვრებ უცხოელებს და იკისრებს უცხოელთა ყველა დაწესებულებების დაცვას. მაგრამ, ამავე დროს, ის მოითხოვს, რათა უცხოელების ძალები, რომლებიც დაბანაკებული არიან შანხაიში, დარჩენ საერთაშორისო უბნის ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება გაუგებრობებს, რომელთაც შეიძლება სამწუხარო შედეგები მოჰყვეს. (ადს).

ჩან-ძო-ლინი ემუქრება უ-პეი-ფუს

პეკინი, 18 მარტი. ჩან-ძო-ლინმა გაუგზავნა უ-პეი-ფუს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„ვხედავ, რომ თქვენ ერთი ნაბიჯიც არ გადადგით წინ ნახევარი წლის განმავლობაში, ვხედავ, რომ თქვენ არ ილაშქრებთ წითლების წინააღმდეგ, ვხედავ: რომ თქვენი ოფიცრები ემხობილებიან წითლებს, და ამიტომ მე არ შემიძლია ვიყო იმდენად სულელი, რომ ვითანამშრომლო თქვენთან. (ადს)

უცხოელები ღელავენ

ლონდონი, 18 მარტი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის საქმიან წრეებში მღელვარებაა.

დაეცა ყოველგვარი ძვირფასეულობის კურსი. (ადს)

პოლონეთი საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

მდგომარეობა რთულდება

ვარშავა, 18 მარტი. გუშინ დასრულდა მწარმოებელთა მოლაპარაკება გაფიცულ ფეიქრებთან. მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბართელმა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კვიატკოვსკიმ, უშედეგოთ დასრულდა.

დღეისთვის მოწვეულია მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს საკითხს ფეიქართა გაფიცვის შესახებ.

სარწმუნო წრეებში **შაბათს, 19 მარტისათვის მოელიან ლოძის მუშათა საყოველთაო გაფიცვას. ლოძის მელითონეთა გაფიცვა მწვავე ხასიათს ღებულობს.**

გუშინ ლოძში გაიმართა გაფიცულთა მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები. (ადს)

მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ

ვარშავა, 18 მარტი. პეპეესოველთა ორგანო „რაბოტნიკი“ უკეთებს კომენტარიებს ფეიქართა გაფიცვას პოლონეთში და აცხადებს, რომ მთავრობამ ქედი მოიხარა მრეწველების წინაშე. **გაზეთი მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისაკენ 19 მარტს.** (ადს)

საბჭოთა კავშირის ნოტა ჩჟან-ცზუნ-ჩანს

შანხაი, 18 მარტი. როგორც გამოქვეყნებული იყო, საბჭოთა კავშირის გემის „ლენინის ხსოვნა“-ს დაკავების გამო, საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში ლინდემ 11 მარტს ნანკინში ჩჟან-ცზუნ-ჩანს ჩააბარა საპროტესტო ნოტა.

ნოტაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიურმა კურიერებმა წარადგინეს თავისი სპეციალური დიპლომატიური პასპორტები და გარეშე საქმეთა სახკომისარიატის საფოსტო ფურცლები და. ამასთან ერთად, განაცხადეს პროტესტი მათი დიპლომატიური ფოსტის გახსნის წინააღმდეგ, მათი პროტესტი მაინც უყურადღებოდ იქნა დატოვებული. აგლეჯილ იქნა დიპლომატიური ფოსტის ოფიციალური ბეჭედი და დაწვრილებით გადასინჯულ იქნა ფოსტის შინაარსი. აღმოჩნდა, რომ ფოსტა შეიცავდა მხოლოდ წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს რუსულ ენაზე და არა რაიმე ბეჭდვითი მასალებს ჩინურ ენაზე.

იმ დღესვე ჩინეთის გენერალმა ხუმ მოახდინა ფოსტის ხელმეორე ჩხრეკა იმავე შედეგით.

მეორე დღეს ჩინეთის სამხედრო ხელისუფლება შანდუნის არმიაში ამჟამად სამსახურში მყოფ ყოფილ რუს ოფიცრების თანხლებით, ხელმეორედ დაათვალიერეს იგივე ფოსტა და ამ ჯერზე, თითქოს, იპოვეს 5 თუ 6 ფურცელი რაღაც ჩინური ხელნაწერი, რომლების შინაარსიც არას დროს არ იცოდენ არც კაპიტანმა და არც დიპლომატიურმა კურიერებმა, ხოლო ხელნაწერი თვალითაც არ ჰქონდათ ნანახი.

რადგან ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებამ ორჯერ გადაათვალიერეს ფოსტა, ხოლო ამასთან არ აღმოჩნდა რაიმე არალეგალური ან აკრძალული ლიტერატურა, მე დარწმუნებული ვარ, რომ რუს სამხედრო პირების მიერ მესამედ მოხდენილი ჩხრეკის დროს ნაპოვნ ჩინურ ქაღალდებს არაფერი საერთო არა აქვთ რა დიპლომატიური ფოსტის პირველ შინაარსთან. გაჩხრეკილი იქნა გემის ყველა ნაწილი, საქვანახშირო საწყობი და აგრეთვე სამგზავრო ბარგიც, მაგრამ არავითარი არალეგალური ლიტერატურა არ იქნა აღმოჩენილი. სინამდვილეში არ დადასტურდა ის, რომ თითქოს ორი ყუთი შეიცავდა საგიტაციო მასალას ჩინურ ენაზე.

ჩხრეკის შემდეგ სამხედრო ხელისუფლებმა უბრძანეს სამ კურიერს გადასულიყვნენ მატარებელში, სადაც ისინი რამოდენიმე ხანს ხელბორკილგაყრილი ამყოფეს.

ამგვარ საქციელს შეუძლია უდიდესი აღშფოთების გამოწვევა, და მე გთხოვთ ამ საკითხს მიაქციოთ სერიოზული ყურადღება. გემის კომანდის უდიდესი ნაწილი, სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით, გადასხეს ნაპირზე, ხოლო გემზე ავიდენ შანდუნის არმიის ოფიცრები ყოფილ რუს სამხედრო პირებიდან, ამასთან კაპიტანს არავითარი განმარტება არ მისცეს ასეთ საქციელზე.

ჩვენი საუბრის დროს თქვენ განაცხადეთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადაეცა პეკინის მთავრობას, რომლის დასკვნასაც თქვენ ელით. ამასთან ერთად, თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენ არავითარი მტრული გრძნობები არ გაქვთ საბჭოთა კავშირის მიმართ.

მაგრამ, ამავე დროს, თქვენსა ხელქვეითებმა ჩაიდინეს შემდეგი: 8 მარტს ადგილობრივმა ხელისუფლებამ უბრძანა კაპიტანს [illegible] გემი [illegible] გადასაყვანად, ამასთან არც კი აღუნიშნავს მიზეზები, თუ საიდან წასულიყო გემი. გემზე შანდუნის არმიის მყოფმა რუს სამხედრო პირებმა დადგეს ორი საველე ზარბაზანი, რაღაც სამხედრო მოქმედებებისათვის მოსამზადებლად. გარდა ამისა, გემი დატვირთულ იქნა სათანადო ამუნიციით.

ამნაირად სავაჭრო გემი გადაქცეულ იქნა სამხედრო გემად. ჯერ კიდევ 4 მარტს შანდუნის არმიის 5 რუსმა ოფიცერმა, კაპიტანის პროტესტის მიუხედავათ, თავის რწმუნებების წარუდგენლათ, დახარა გემზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის დროშა. უფრო მეტი, 8 მარტს სამხედრო ადმინისტრაციამ წაშალა გემის სახელწოდება „ლენინის ხსოვნა“-ს და თვითნებურად გადაარქვა და, მიუხედავად კაპიტანის განმეორებითი პროტესტისა, დააწერა სახელწოდება „იჩან“.

ნოტის შემდეგი ნაწილი უკვე შეიცავს გადაჭრით პროტესტს ყველა ამ საქციელის წინააღმდეგ (ადს).

პეკინი, 18 მარტი. მიიღო რა საბჭოთა კავშირის კონსულის შანხაიში ნოტის ტექსტი, საბჭოთა კავშირის საელჩომ პეკინში პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩააბარა ახალი ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სამინისტრომ დღემდე არავითარი ნაბიჯი არ გადასდგა გემი „ლენინის ხსოვნა“-ს დაკავების საქმეში და არ უპასუხა საბჭოთა საელჩოს წინა ნოტებზე.

„ვითომდა ჩინურ ენაზე შედგენილი მასალის უეცრად მონახვა, მცირე რაოდენობის წიგნებისაგან შემდგარ ფოსტაში, — ნათქვამია ნოტაში, — იმ წიგნებისაგან, რომლებიც ზედმიწევნით იყო გაჩხრეკილი, ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში უეჭველად აქვს ადგილი მეტად მოხერხებულ განზრახვას, რათა მიღებული იქნას არსებითად დაუსაბუთებელი საფუძველი მტრულ მოქმედებათა გაგრძელებისათვის გემ „ლენინის ხსოვნა“-ს და მის ბაქანზე მყოფ პირთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის საელჩო მოგაგონებთ ორ აღმაშფოთებელ შემთხვევას, რომელთაც წინად ჰქონდა ადგილი: ყალბი დოკუმენტის შედგენა დოსერის საქმეში და საბჭოთა მოქალაქეების პოზდეევის და მარაკუევის დაპატიმრება ძინან-ფუში. ეხლანდელი შემთხვევა, ალბათ, ახალი ანალოგიური ცდაა იმავე ძალების, რომელნიც წინედ მოქმედებდენ. დიპლომატიური შიკრიკების დაპატიმრება, რომელნიც სათანადოთ იყვნენ აღჭურვილნი ყველა აუცილებელი, მათი სამსახურებრივი მდგომარეობის დამამტკიცებელი დოკუმენტებით, არის გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული პრინციპების აშკარა დარღვევა“.

ნოტა აღნიშნავს, რომ საელჩო ასეთ პირობებში იძულებულია არა მარტო დაადასტუროს, არამედ კიდევ უფრო მკაცრი ფორმით განაცხადოს პროტესტი გემ „ლენინის ხსოვნა“-ს გატაცების წინააღმდეგ და მოითხოვოს როგორც გემის, ისე მასზე მყოფი დაპატიმრებული პირების განთავისუფლება. (ადს).

ზალესკი საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 18 მარტი. კრაკოვის გაზეთ „კურიერ ილიუსტრიროვანი“-ს წარმომადგენელთან საუბარში, ჟენევიდან დაბრუნებულმა ზალესკიმ, საკითხზე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ, განაცხადა შემდეგი:

„მე განზრახული მაქვს უფრო ინტენსიურად, ვიდრე წარსულში, დავიწყო მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირთან. პოლონეთის მოსკოველი ელჩი პატეკი ჩქარა დაასრულებს მგზავრობას საბჭ. კავშირში და დაბრუნდება ვარშავაში. მე იმედი მაქვს, რომ **ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება მოლაპარაკების წარმოება საბჭოთა კავშირთან უფრო აჩქარებული ტემპით, ვიდრე ის მიმდინარეობდა დღემდე, ჩიჩერინისა და პატეკის მოსკოვში არ ყოფნის გამო“.**

კითხვაზე, იწარმოებს თუ არა საგარანტიო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებასთან ერთად მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო. ზალესკიმ უარყოფითად უპასუხა. (ადს)

საფრანგეთის ნახშირის მრეწველები

შეტევაზე გადადიან

პარიზი, 18 მარტი. დეპარტამენტ ნორ და პადეკალეს ნახშირის მრეწველთა კომიტეტმა სამთამადნო მუშათა რაიონულ ფედერაციას აცნობა, რომ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს უარი სთქვას პირველ აპრილიდან წარსული წლის ნოემბერში დადებულ ხელშეკრულებაზე და მოითხოვს სამუშაო ხელფასის დაკლება.

შრომის უნიტარული კონფედერაცია აწარმოებს კამპანიას, მწარმოებლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ჟუმანიტე“ აღნიშნავს, რომ სამთამადნო მუშათა რეფორმისტულმა ფედერაციამ საჭიროთ არ ჩასთვალა დაუყოვნებლივ შეეტყობინებია მუშებისათვის ნახშირის მრეწველთა კომიტეტის გადაწყვეტილება, ვინაიდან მას იმედი ჰქონდა, რომ მოახერხებდა მალაროს მეპატრონეებთან შეთანხმებას მუშების ზურგს უკან. (ადს).

სამხრეთ-სლავია ალბანეთთან საომრად ემზადება

ლონდონი, 19 მარტი. „ტაიმსი“-ს ცნობით, იტალიის მთავრობამ ინგლისის და სხვა მთავრობებს აცნობა, რომ მან მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავიაში სწარმოებს მზადება „ალბანეთში შეჭრისათვის ალბანეთის ეხლანდელი მთავრობის ჩამოვდების მიზნით“.

„იუწყებიან, განაგრძობს „ტაიმსი“, რომ იტალიის მთავრობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ალბანეთის ბედ-იღბალს, რომელთანაც მან ამას წინედ დასდო ხელშეკრულება“. (ადს).

შეთქმულება მექსიკის მთავრობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 19 მარტი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, იქ აღმოჩენილ იქნა შეთქმულება მექსიკის მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულების ცენტრი იმყოფებოდა ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოში. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდენ კათოლიკური ორგანიზაციები, რომელნიც ნავთის კამპანიებთან ერთად ამზადებდენ აჯანყებას **ტამპიკოში** იმ მიზნით, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცემოდა საშუალება ჩარეულიყო ამ საქმეში და შეექმნა „ნეიტრალური ზონა“ მექსიკის ნავთიანი მიწების ოლქში.

მექსიკის გენერალი, რომელმაც პრეზიდენტ კაიესს აცნობა შეთქმულების შესახებ და სთხოვა ნებართვა შეჭრილიყო საკონსულოში ორგანიზატორების დასაპატიმრებლად, მოკლულ იქნა. (ადს).

ნოტების გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის

მოსკოვი, 19 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აქვეყნებს ნოტების გაცვლა-გამოცვლას საბჭოთა კავშირისა და იტალიის მთავრობებს შორის, იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

7 მარტს იტალიის მთავრობამ მიმართა ნოტით საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში—კამენევს. ნოტაში ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა არ ჩქარობდა მოკავშირეთა 1920 წ. ხელშეკრულების დამტკიცებას, რუმინეთთან ბესარაბიის შეერთების საკითხზე მხოლოდ იმ იმედით, რომ შესაძლებელია უშუალო მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის გამოეღო ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგი.

„მაგრამ, — ნათქვამია ნოტაში, — რადგან იტალიის დღევანდელი პოზიცია 1920 წლ. ხელშეკრულების მიმართ ვერ გაგრძელდება დაუსრულებლივ და რადგან არ არის საკითხის რაც შეიძლება ჩქარა მოწესრიგების შესაძლებლობა, ამიტომ იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა აღარ დააყოვნოს ზემოხსენებული ხელშეკრულების დამტკიცება".

დასასრულ, იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ამაში არ უნდა ხედავდეს არამეგობრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი.

საბჭოთა კავშირის მთავრობის საპასუხო ნოტაში, რომელსაც კამენევი აწერს ხელს და რომელიც 17 მარტს ჩაბარდა მუსოლინს, აღნიშნულია:

„საბჭოთა კავშირის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა მთელი ქვეყნისა და იმ მთავრობების საყურადღებოდ, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1920 წ. 28 ოქტომბერს დადებულ შეთანხმებას, და, სხვათა შორის, 19226 წ. 7 ოქტომბრის ნოტაშიც, რომელიც გაეგზავნა იტალიის მთავრობას, რომ ბესარაბიის ანექსია რუმინეთის მიერ წარმოადგენს ტერიტორიის უხეშ დაპყრობას მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ, და ყოველი ერის თვითგამორკვევის უდავო უფლების შელახვას. საბჭოთა კავშირის მთავრობა ყოველთვის იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ბესარაბიის ბედი შეიძლება და უნდა გადაწყდეს კიდეც მისი მოსახლეობის თავისუფალი ნებასურვილის მიხედვით. სწორედ ამიტომ რუმინეთის მთავრობის უარი პლებისციტზე, რომელზედაც წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობამ, ყველაზე უკეთესად მოწმობს რუმინეთის მთავრობის მიერ იმ ფაქტის აღიარებას, რომ მან თავისი ძალაუფლება ბესარაბიის ტერიტორიაზე დაამყარა მხოლოდ სამხედრო ოკუპაციისა და მოსახლეობაზე ძალადობის გზით. ამ ფაქტს ვერ შესცვლის საბჭოთა კავშირის და თვით ბესარაბიის მოსახლეობის შეგნებაში ვერავითარი შეთანხმება მესამე სახელმწიფოებს შორის, ანდა ამგვარ შეთანხმებების რატიფიკაცია, ვის მხრიდანაც არ უნდა იყოს ის.

პარიზის 1920 წლის შეთანხმება, რომელსაც აშკარა მტრული ხასიათი ქონდა საბჭოთა კავშირის მიმართ, ხელმოწერილ იქნა იმ დროს, როდესაც შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოებს არა თუ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან, არამედ ფაქტიურად აწარმოებდენ ინტერვენციონისტურ ომს მის წინააღმდეგ და თავის ჯარებით იჭერდენ მის ტერიტორიებს. ამ აქტის რატიფიკაციას სამი წლის შემდეგ, ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარებიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის, არა აქვს გამართლება არც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით და არც, მით უმეტესი, ორივე ქვეყნის ერთა ინტერესების თვალსაზრისითაც. ამ აქტის რატიფიკაციას იტალიის მიერ სწორედ იმ მომენტში, როდესაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, გამოსთქვამს მშვიდობიანობის დარღვევის საშიშროებას შეუძლია გაამწვავოს ეს საშიში მდგომარეობა და ხელი შეუწყოს იმ გეგმებს, რომლებიც მიმართული არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ევროპის მშვიდობიანობის წინააღმდეგაც.

ჩემი მთავრობის სახელით, ვაცხადებ რა უსასტიკეს პროტესტს იტალიის მთავრობის ასეთი აქტის წინააღმდეგ,—ნათქვამია ნოტის ბოლოში,—მე, ამნაირად, საჭიროდ ვთვლი დავადასტურო, რომ საბჭოთა კავშირი ბესარაბიის ანექსიას რუმინეთის მიერ, წინანდებურად სთვლის უხეში ძალადობის ფაქტად, და რომ 1920 წლის 28 ოქტომბრის ოქმი ამჟამად იტალიის მიერ დამტკიცებული, დადებული საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, და ბესარაბიის მცხოვრებთა დაუკითხავად, მის თვალში წარმოადგენს უფლებრივ მნიშვნელობას მოკლებულ აქტს, რომელიც, როგორც ამას იტალიის მთავრობა ფიქრობს, არა თუ ვერ უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ სასტიკად ეწინააღმდეგება კიდეც სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპებს" (ადს).

სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის

აღმასკომის სესია

პირველი დღე. კუკი ხოჯესის წინააღმდეგ, ხოჯესი კუკის წინააღმდეგ

ბერლინი, 18 მარტი. ბერლინში სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესიის პირველ სხდომაზე კუკმა ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის სახელით მოითხოვა ფრანკ ხოჯესის გადაყენება საერთაშორისო ფედერაციის მდივნის თანამდებობიდან.

მოთხოვნილების დასაბუთებლად, კუკმა მოიყვანა ადგილები ხოჯესის სხვადასხვა სიტყვებიდან, რომელშიაც ხოჯესი იცავდა სამუშაო ხელფასის გადიდებას, ინგლისის სამთამადნო მუშათა სამუშაო ხელფასის შემცირებას, ილაშქრებდა ინგლისში ნახშირის გაგზავნის აკრძალვის წინააღმდეგ გაფიცვის დროს და გაფიცულთათვის ფულადი დახმარების მიწოდების წინააღმდეგ. შემდეგ კუკი აღნიშნავს, რომ ხოჯესმა აშკარათ დაარღვია ის პირობა, რომლითაც ის არჩეულ იქნა საერთაშორისო ფედერაციის მდივნათ, ვინაიდან ის შევიდა მთავრობის სამსახურში ჯამაგირით 7.500 მანეთამდე თვეში.

სმიტი და რიჩარდსონი ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის თავმჯდომარე და ხაზინადარი) სავსებით შეუერთდენ კუკის განცხადებებს.

შემდეგ გამოვიდა ხოჯესი, რომელმაც განაცხადა, რომ მას მოქმედებას სავსებით ამართლებდა გარემოებები.

ხოჯესმა სასტიკათ გაილაშქრა კუკის წინააღმდეგ განაცხადა რა, რომ კუკი „ასრულებს მოსკოვის ინსტრუქციებს და ანხორციელებს მოსკოვის და არა ინგლისის სამთამადნო მუშების პოლიტიკას". ხოჯესის სიტყვით, კუკი მას თავს ესხმის მხოლოთ იმისათვის, რომ „ის იცავს საერთაშორისო ფედერაციის ინტერესებს".

საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მთლიანი ფრონტით გამოვიდნენ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის წინააღმდეგ და ხოჯესის დასაცავად. დისკუსია მთელი დღე გაგრძელდა. მოწინააღმდეგენი სასტიკად თავს ესხმოდენ კუკს.

დისკუსიის დამთავრების შემდეგ უარყოფილ იქნა ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის მიერ შეტანილი რეზოლიუცია, რომელიც ხოჯესის გადაყენებას მოითხოვდა. სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად არჩეულ უნდა იქნეს კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს ხოჯესის დატოვების შესახებ საერთაშორისო ფედერაციის მდივნის თანამდებობაზე. მეორეს მხრივ არსებობს აზრი, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია ყოველგვარ კავშირს გასწყვეტს საერთაშორისო ფედერაციასთან, თუ ხოჯესი დატოვებულ იქნა საერთაშორისო ფედერაციის მდივნის თანამდებობაზე. (ადს).

მეორე დღე. კუკის წინააღმდეგ გამოსვლა

სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესიის მეორე დღე დაიწყო ცალკე ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებით; ყველა მომხსენებლები აღნიშნავდენ, რომ მწარმოებლებმა დაიწყეს შეტევა სამუშაო დღის გადიდების და სამუშაო ხელფასის შემცირების მიზნით.

შემდეგ მუზეგანიმ შეიტანა რეზოლიუცია, რომელსაც ხელი მოაწერეს ყველა დელეგაციებმა, გარდა ინგლისის დელეგაციისა. რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს კუკის გამოსვლების წინააღმდეგ მოსკოვში და მოითხოვს, რათა ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციაში კუკის მაგივრად გაგზავნოს სხვა წარმომადგენელი.

ამ თავდასხმებზე კუკმა უპასუხა, რომ მისი მოქმედება მოსკოვში შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის სამთამადნო მუშებს, რომელთაც უფლება აქვთ თვითვე გადასწყვიტონ, თუ ვინ იქნება მათი წარმომადგენელი საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომში.

სმიტმაც აგრეთვე განაცხადა, რომ რამდენათაც კუკი არჩეულია ინგლისის სამთამადნო მუშების მიერ, მას უფლება აქვს იყვეს საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის წევრი. შემდეგ სმიტმა აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის მიღებას საერთაშორისო ფედერაციაში. თუ ფედერაციას უნდა აწარმოოს ნამდვილი მუშაობა, მან თავის შემადგენლობაში უნდა ჩარიცხოს ყველა ქვეყნების სამთამადნო მუშათა ორგანიზაციები.

ინგლისის დელეგაციის მტკიცე პოზიციის გამო, მუზეგანიმ ვერ გაბედა მოეთხოვა კუკის საწინააღმდეგო რეზოლიუციის მიღება, მაგრამ მაინც განაცხადა, რომ საერთაშორისო ფედერაციაში შეუძლებელი შეიქნა მშვიდობიანი მუშაობა მას შემდეგ, რაც აღმასკომში შევიდა კუკი. (ადს).

საბჭოთა ნავთი ოსმალეთში

მოსკოვი, 18 მარტი. ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო, ნავთის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **სოლოვიოვმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტს ოსმალეთში საბჭოთა ნავთის პროდუქტების გასაღების საკითხის შესახებ განუცხადა შემდეგი:

„ოსმალეთისათვის ნავთის პროდუქტების მიწოდებაში ომამდე რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ 1914 წლის შემდეგ რუსეთს სავსებით მოსცილდა ოსმალეთის ბაზარი. საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტი კვლავ განახლდა 1922 წელს. ნავთის სინდიკატს მაშინ სასტიკ მეტოქეობას უწევდენ ამერიკის და რუმინეთის ფირმები, რომელთაც ხელში ეჭირათ მთელი ოსმალეთის ბაზარი. 1924 წლამდე ნავთის სინდიკატს არ უწევდა უშუალო მონაწილეობა ოსმალეთში ნავთის განაწილებაში. ის ჰყიდდა ნავთს და ბენზინს მსხვილ სავაჭრო ფირმებზე, უმეტესად დიდი პარტიებით. 1924 წელს ოსმალეთში გაყიდულ იქნა 15,000 ტონა ნავთის პროდუქტები.

1925 წლის განმავლობაში ჩვენი საცალო ვაჭრობა ოსმალეთში საგრძნობლად ვითარდებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ უარესი პირობები გვქონდა ვინემ ჩვენს მეტოქეებს. 1925 წელს ოსმალეთში გაყიდულ იქნა 80.000 ტონა. 1926 წლის თებერვლის ბოლოს ოსმალეთის მეჯლისმა მიიღო კანონი ნავთზე და ბენზინზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. ამის შემდეგ თითქმის მთელი ოსმალეთის ბაზარს ჩვენ ვაწვდით ნავთის პროდუქტებს. ჩვენი ნავთის პროდუქტების უკეთესმა ხარისხმა და შეღავათიანმა ფასებმა განუმტკიცეს ნიადაგი ნავთის სინდიკატს, რომელიც ოსმალეთს ნავთს აწვდის სამონოპოლიო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ნავთზე მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ ჩვენ ოსმალეთში გავყიდეთ 600.000 ტონა. ამჟამად ჩვენ კიდევ უფრო ვანვითარებთ განმანაწილებელ აპარატს და საცალო ვაჭრობაში ჩვენი მონაწილეობა უკვე 50 პროცენტს აღწევს. სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მტკიცე ნიადაგს შექმნის ოსმალეთთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის (ადს)

პროფ. სპერანსკის მნიშვნელოვანი აღმოჩენა

ლენინგრადი, 19 მარტი. პროფესორმა სპერანსკიმ მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოახდინა ორგანიზმის ავადმყოფობათა მიზეზების შესწავლის დარგში. სპერანსკიმ ავადმყოფი ორგანიზმის ტვინში შეუშვა ყელჭირვების გადადების საწინააღმდეგო შრატი.

ამგვარად მან მორჩინა კურდღლის ბაჭიები, რომელნიც ავად იყვენ ყელჭირვებით, დეზინტერიით და სხვ.

ამის შემდეგ ბავშვებს, რომელნიც მძიმედ იყვენ ავად ყელჭირვებით, შეუშხაპუნეს ტვინში 8 გრამი ყელჭირვების საწინააღმდეგო შრატი. ბავშვები განიკურნენ.

სპერანსკი მივიდა დასკვნამდე, რომ ორგანიზმის გადამდები ავადმყოფობა ბუდობს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში. ადგილობრივი ორგანოების — ფილტვების, ყელის და კუჭის ტკივილი—ნერვიული ავადმყოფობის მხოლოდ გარეგანი გამოვლენაა. ამიტომ ბრძოლა ყოველი ავადმყოფობის წინააღმდეგ მიმართული უნდა იქნეს ნერვიული სისტემისა და ტვინის სფეროსაკენ.

სპერანსკის აღმოჩენა დიდ ცვლილებებს გამოიწვევს ყველა ავადმყოფობათა მკურნალობის მეთოდებში და შეიძლება ამ გზით ისეთი ავადმყოფობანი იქნას განკურნებული, რომელნიც დღემდე განუკურნელად ითვლებოდენ. (ადს).

პარიზის კომუნა და რემედასი

მოსკოვი, 19 მარტი. რემედასის ცაკის და მოსკოვის კომიტეტის წევრები და უცხოეთის სექციები, და აგრეთვე რემედასის მოსკოვის ორგანიზაციის აქტიური მუშაკები 18 მარტს შეიკრიბენ კავშირთა სახლში. მათი შეკრების მიზანი იყო პარიზის კომუნის გმირთა მოგონება და რემედასის მუშაობის გზების დასახვა.

პრეზიდიუმში შევიდენ რემედასის ცაკას და მოსკოვის კომიტეტის წევრები, უცხოეთის სექციების წარმომადგენელნი,მათ შორის მოსკოვში ჩამოსულნი—მარტი და კოლაროვი და აგრეთვე პარიზის კომუნის მონაწილენი—საჟენი და ინარი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს კოლაროვმა, ლატვინოვიჩმა, ინარმა და მარტიმ. მოხსენება პარიზის კომუნის მნიშვნელობის შესახებ გააკეთა ამხ. ლუნაჩარსკიმ.

სხდომამ მოისმინა აგრეთვე მთელი რიგი მოხსენებანი რემედასის უცხოეთის სექციებისაგან: ჩინეთის, ინგლისის და სხვ. (ადს).

„ტოვარიშჩ"-ი არგენტინაში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. საბჭოთა იალქნიანი გემი „ტოვარიშჩ"-ი ჩავიდა ბუენოს - აირესში, სადაც სწარმოებს გემის შეკეთება და ტვირთის მიღება. (ადს).

მოჭადრაკეთა

საერთაშორისო ტურნირი

ნიუ-იორკი, 18 მარტი. მოჭადრაკეთა ტურნირის მე-17 ტურზე უშედეგოდ დასრულდა კაპაბლანკა—შპილმანის და ალიოხინ-ვიდმარის პარტიები. (ადს)

ღამის ცნობები

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში

მოსკოვი, 19 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ფინეთში დანიშნოს ამხ. ლოგანოვსკი. ადს).

კანტონელების გამარჯვება

შანხაი, 18 მარტი. უკანასკნელი ცნობებით, ჩრდილოელები სცლიან სუ-ჩჟოუს და ჩანჩჟოუს. ამ რაიონში მერყეობენ სუნ-ჩუან-ფანის ჯარები. ფიქრობენ, რომ ისინი გადავლენ სამხრეთელების მხარეზე.

ნანკინთან სამხრეთელებმა ხელთ იგდეს საარტილერიო პოზიცია იუხუ-ატაკ, რომელიც იმყოფება ნანკინიდან 8 კილომეტრის მოშორებით სამხრეთისაკენ. ქალაქში პანიკაა.

ხმების მიხედვით, ვაჭრებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და დახურეს დუქნები. (ადს)

პი-შუ-ჩენის ახალი პოზიცია

შანხაი, 19 მარტი. 18 მარტს შანხაიში გავრცელდა ხმები, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანის რწმუნებულმა შანხაის თავდაცვაზე პი-შუ-ჩენმა თავისი თავი შანდონელებისაგან განდგომილად გამოაცხადა. ოფიციალურად ამ ხმებს უარყოფენ, მაგრამ პრესა ამტკიცებს, რომ დამაფიქრებელია პი-შუ-ჩენის მიერ დაჭერილი პოზიცია. (ადს).

საბჭოთა კინო-სურათის აკრძალვა

კოვნო, 19 მარტი. ლიტვის ხელისუფლებამ აკრძალა საბჭოთა კინო-სურათის „მონობის ფრთების" ჩვენება. (ადს).

ბერლინის უმუშევართა დემონსტრაცია

ბერლინი, 19 მარტი. გუშინ „გერმანიის უმუშევართა დღეს" ბერლინის ყველა რაიონებში შესდგა უმუშევრთა დემონსტრაციები.

დემონსტრანტებმა გვირგვინებით შეამკეს 1848 წ. და 1919 წ. მარტის ამბების მსხვერპლთა საფლავები (ადს).

ლოძის გაფიცვის ლიკვიდაცია.

ვარშავა, 19 მარტი. ლოძიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, მწარმოებლებმა და გაფიცულთა წარმომადგენლებმა მიიღეს წინადადება მთავრობის არბიტრაჟის შესახებ.

ამგვარად, საკითხი საყოველთაო გაფიცვის შესახებ ლოძში, იხსნება და გაფიცული ფეიქრები 21 მარტს შეუდგებიან მუშაობას (ადს).

პრეზიდენტ ჩაკსტეს დაკრძალვა.

რიგა, 19 მარტი. დაკრძალულ იქნა ლატვიის პრეზიდენტი ჩაკსტე, საფლავი შეამკეს მრავალი გვირგვინებით, მათ შორის იყო გვირგვინი საბჭოთა მთავრობისაგან, რომელიც სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლორენცმა მიიტანა (ადს).

გერმანული საქონელი საფრანგეთში

პარიზი, 18 მარტი. დღეს ხელი მოაწერეს საფრანგეთ-გერმანიის ოქმს, რომელიც აწესებს მინიმალურ საბაჟო გადასახადს საფრანგეთში გერმანული საქონლის შეზიდვის დროს. (ადს).

500 გერმანელი მუშის გადასახლების გამო

ბერლინი, 19 მარტი. 500 გერმანელი მუშის გადასახლებამ პოლონეთის ზემო-სილეზიიდან აღშფოთება გამოიწვია გერმანიის ყველა მიმართულების პრესაში. (ადს.)

პოლონეთის ოფიციალური წრეების უარყოფა

ვარშავა, 19 მარტი. პოლონეთის ოფიციალური წრეები კატეგორიულად უარყოფენ ხმებს პოლონეთის აგრესიული განზრახვების შესახებ ლიტვის მიმართ. ისინი ამ ხმებს შეთხზულს უწოდებენ. (ადს).

პოლონეთ - საბჭოთა ურთიერთობა

ვარშავა, 19 მარტი. ხმების გამო, რომელიც პრესაში გავრცელდა იმის შესახებ, რომ წარმატებით მიდის მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, „ფოლკსცეიტუნგმა" (ბუნდის ორგანომ) ცნობებისათვის მიმართა საქმის მცოდნე პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამ ცნობების მიხედვით, ყველა ხმები პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ ზალესკის უკანასკნელ განცხადებაზე, რომელიც „ფოლკსცეიტუნგი"-ს ინფორმატორის აზრით სრულიად არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ ურთიერთობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გაუმჯობესდა.

„სამწუხაროდ, სწერს გაზეთი, საქმის ვითარება სულ სხვანაირია. ამ უახლოეს ხანში ლაპარაკიც კი არ შეიძლება რამე შეთანხმების დადებაზე პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის". (ადს).

გენერალურ საბჭოს სხდომა

ლონდონი, 19 მარტი. 22 მარტს შესდგება ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურ საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების დამოკიდებულების შესახებ. (ადს).

საყოველთაო გაფიცვა გამოცხადებულია

ვარშავა, 19 მარტი. ლოძში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. უკანასკნელი ცნობებით, გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ პურის მცხობელებიც. ქალაქი უპუროდ არის. დაპატიმრებულია გაფიცვის კომიტეტის რამოდენიმე წევრი.

მთავრობამ წინადადებით მიმართა გაფიცულთ, რომ თუ ისინი დაუყოვნებლივ შესწყვეტენ გაფიცვას, მთავრობა იკისრებს არბიტრის როლს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სფერიული ჰაეროსტატის გაფრენა

ლენინგრადი, 19 მარტი. ცნობა იყო, რომ 15 მარტს ლენინგრადიდან გამოფრინდა სფერიული ჰაეროპლანი მფრინავ ელისეევის ხელმძღვანელობით. ჰაეროსტატი 17 მარტს დაეშვა ტულის გუბერნიაში, სოფელ შიროკოვოს მახლობლად. ჰაეროსტატმა გაიარა 1.080 კილომეტრი, და საკავშირო რეკორდი აიღო გადაფრენის მანძილის მხრივ. იგი მიფრინავდა 2.000 მეტრს სიმაღლეზე და ჰაერში დარჩა 20 საათი. (ადს).

უძველესი ნაშთის პოვნა

ლენინგრადი, 19 მარტი. ბიოლოგიურმა კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ ხემირეჩიის რკინის გზის მახლობლად იპოვეს უზარმაზარი ხვლიკის —დინაზავრის ძვლები, რომელიც 8 მილიონი წლის წინედ სცხოვრობდა. ეს ნაშთი მეორეა მსოფლიოში. (ადს).

რკინის გზათა წარმომადგენლობების ლიკვიდაცია

მოსკოვი, 19 მარტი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა 1 აპრილს გააუქმოს რკინის გზათა ზოგიერთ წარმომადგენლობები მოსკოვში.

1 აპრილამდე ერთ ჯგუფში უნდა გაერთიანდენ ტაშკენტის, შუა-აზიის და ამიერ-კავკასიის რკინის გზების წარმომადგენლობანი, ხოლო მეორე ჯგუფში უნდა გაერთიანდენ ომსკის, ტომსკის, პერმის, ზაბაიკალის და უსურიის რკინის გზების წარმომადგენლობანი. (ადს).

გემი „ვოროვსკი" წყნარ ოკეანეში

ვლადივოსტოკი, 19 მარტი. შავი ზღვიდან ჩამოვიდა გემი „ვოროვსკი", რომელიც საბჭოთა-სავაჭრო ფლოტი ვლადივოსტოკის კანტორამ გადაგზავნა წყნარ ოკეანეში ტიუნის შესახვებად (ადს).

იშვიათი სიმხეცე

სამარა, 19 მარტი. სოფელ დამარკში ბაისანდკულოვის ეზოში შემთხვევით ნახეს ბორკილებ-გაყრილი ქალი. ეს ქალი აღმოჩნდა სანდუკოვის ცოლი, რომელსაც ქმარმა ხუთი წლის წინად დაადო ბორკილები იმის გამო, რომ მან განიზრახა ჩადრის მოხსნა და ქალაქში წასვლა. სანდუკოვი დაპატიმრებულია. ნახევრად გაველურებული ქალის პატრონობა იკისრა ქალთა განყოფილებამ (ადს).

1927 წლის სესხი

მოსკოვი, 19 მარტი. წინასწარი ცნობებით, მთელს საბჭოთა კავშირში გასაღებულია 1927 წლის სესხის 78,5 პროცენტი. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს ბაზრობაზე

ბაქო, 19 მარტი. 18 მარტს ბაზრობაზე დაიდო 16 შეთანხმება, სულ 186.155 მან. საქონელზე. ბაზრობის დაწყებიდან დადებულია სულ 411 შეთანხმება 13.895.997 მან. ღირებულ საქონელზე.

დღეს ბაზრობა დაათვალიერა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ მიხა ცხაკაიამ და სრულიად აზერბეიჯანის საბჭოთა მე-5 ყრილობის დელეგატებმა. (ადს).

პარიზის კომუნის და რემედასის დღე

ნუხა, 19 მარტი. პარიზის კომუნის დღეს მუშათა კლუბში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს რემედასის ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლებას რევოლიუციის მებრძოლთათვის დახმარების გასაძლიერებლად. (ადს).

ქართული წითელი არმიის ექვსი წლის თავი

მისალმება ა.-კ. ცაკისაგან

ექვსმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაიპყრეს რევოლიუციონური ძალა-უფლება და განთავისუფლდენ მენშევიკების ბატონობისაგან. რევოლიუციონური მუშურ-გლეხური ხელისუფლების განსამტკიცებლად შექმნილ იქნა ქართული წითელი არმია.

საქართველოს წითელი ჯარი ჩამოყალიბდა მეტად მძიმე და რთულ პირობებში. მიუხედავად ამისა, მას ბრწყინვალე მიღწევები აქვს წითელარმიელთა და მეთაური და პოლიტშემადგენლობის სამსაქმეში. ქართულმა წითელმა არმიამ უკვე დაამტკიცა, რომ ის მტკიცედ დგას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე საქართველოში; ეს დაამტკიცა მან 1922 წელს და 1924 წლის აგვისტოში, როდესაც ადვილად ჩააქრო მემამულე-მენშევიკების გამოსვლა.

საქართველოს წითელი ჯარების წინაშე ამჟამად წამოჭრილია ამოცანა,—მჭიდრო კავშირით მთელ საკავშირო წითელ არმიასთან ერთად, საკუთარი რიგების შემდგომი განმტკიცება, საკუთარი მომზადების ამაღლება და საკუთარი ტეხნიკის გაუმჯობესება.

ულოცავთ რა ქართულ წითელ არმიას მისი ექვსი წლის იუბილეს, ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ სავსებით უზრუნველყოფილია საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური მიღწევები, ვინაიდან ამ მიღწევებს გუშაგად უდგას საბჭოთა ხელისუფლების ერთგული საქართველოს წითელი არმია.

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტ. თავმჯდომარე **ს. ხანოიანი**

საუკეთესო გარანტია

ექვსი წელიწადი შესრულდა პირველი ქართული წითელი ნაწილების შედგენის დღიდან. ეს ექვსი წელი აღსავსეა გაცხოველებული მუშაობით. საჭირო იყო საუკეთესო ოფიცრების გამორჩევა მენშევიკური არმიის შემადგენლობიდან, რომ მოგვეწყო მეთაურთა შემადგენლობის პირველი კადრები. საჭირო იყო დაუყოვნებლივ დაგვეწყო წითელი მეთაურთა შემადგენლობის, საბჭოთა კადრების მომზადება. ამ დარგში სინდისიერად იმუშავა ქართულმა სკოლამ ძველი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. საჭირო იყო პოლიტიკურ შემადგენლობის მაგარი კადრების მოწყობა იმ ამხანაგთაგან, რომელთა უმრავლესობა ნაკლებად იცნობდა სამხედრო საქმეს. საჭირო იყო მტკიცე პარტიული ორგანიზაციის შექმნა, რომელიც თავის გავლენის ქვეშ მოაქცევდა, როგორც უპარტიო წითელ არმიელთა მასას, ისე მეთაურთა შემადგენლობას. საჭირო იყო პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა მთელ მუშაობაში. მეთაურთა სკოლასთან ერთად დაარსდა სამხედრო-პოლიტიკური სკოლა, რომელიც სამხედრო ნაწილებს უზრუნველყოფდა დაბალი საფეხურის პარტიულ პოლიტიკური მუშაკებით.



სატელეფონო ხაზის გაყვანა

ეს ძირითადი ამოცანები უკვე ძლეულია.

ორთავე ქართულ დივიზიაში ჩვენ უკვე გვყავს სავსებით მტკიცე, პოლიტიკურად საიმედო, საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის საქმისათვის ერთგული მეთაურთა შემადგენლობის კადრი. მისი შეურყეველი მუშაობით აიხსნება ის მნიშვნელოვანი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს წითელარმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ მომზადების დარგში, როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალურ დივიზიებში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. 1927 წ. უკვე გვიჩვენა, რომ ქართული სამხედრო ნაწილები წარმოადგენენ სავსებით მტკიცე მებრძოლ ძალას, რომელსაც შეუძლია სათანადო პასუხი გასცეს საბჭოთა ხელისუფლების მტრების ყოველგვარ ზრახვებს.

დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელი ქართულ სოფელში არის საბჭოთა წითელ არმიის აქტიური წარმომადგენელი. იგი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებათა საუკეთესო გამტარებელია, იგი არის ქვედა საფეხურის მუშაკი, რომელიც საქმით ანხორციელებს, ცხოვრებაში ატარებს წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას. იგი, როცა იმყოფება სოფელში,—„თადარიგში",—წითელი არმიის წარმომადგენელია სოფლად, იგი არის მისი „გამამსამხედროებელი", საბჭოთა კავშირის თავდაცვის იდეის მატარებელი მშრომელთა ფართო მასებში.

ქართული ტერიტორიალური დივიზიის მუშაობა საქართველოში მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო წრეებზე ვრცელდება, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, და სულ უფრო და უფრო ღრმად ნერგავს მუშისა და გლეხის შეგნებაში იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის დაცვის საქმე—ყოველი სრულუფლებიანი მოქალაქის საქმეა, მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეა. მშრომელთა ეს ყურადღება თავდაცვის საქმისადმი, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება, საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს შემდგომ მიღწევათათვის ქართული დივიზიების მუშაობაში.

რატნეკი.

ქართული მუშურ-გლეხური არმია

დღეს, საქართველოს წითელ ჯარს შეუსრულდა თავის არსებობის ექვსი წელი.

საქართველოს წითელ ჯარს არა აქვს დიდი ისტორია. მას არ გაუვლია სამოქალაქო ომების ის დიადი გზა, რომელიც განვლო რუსეთის წითელმა ჯარმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დღეს წარმოადგენს საგრძნობ ძალს საბჭოთა კავშირის მ. და გ. წითელ-არმიის რიგებში, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ მომზადებით.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს მუშებს და გლეხებს აწიოკებდა მენშევიკების მთავრობა, მენშევიკებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ მუშების და გლეხების პარტიზანული რაზმები სდგებოდა, რომლის ნაწილი გადავიდა ჩრდ-კავკასიაში და შეუერთდა მუშურ-გლეხურ წითელ ჯარს, ნაწილი კი აქ, საქართველოში, იმალებოდა. ეს ნაწილი უცდიდა ამოქმედებას და ელოდა იმ დროს, როცა შესაძლებელი გახდებოდა მუშათა კლასის მტრების თავიდან მოშორება.

წითელარმიელები თავისუფალ დროს

25 თებერვალი იყო მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი დღე. ამ დღიდან დაიწყო ქართული წითელი ჯარის საფუძვლის შენება. 21 მარტს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი,რომლითაც უქმდებოდა მენშევიკების ყოფ. ჯარები და საფუძველი ეყრებოდა ახალ მ. და გ. წითელ ჯარს. ფრიად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე იყო იმ პირობებში წ. ჯარის შექმნა საქართველოში. არ გვყავდა მუშების და გლეხების რიგებიდან გამოსულ წითელ მეთაურთა შემადგენლობა, ხოლო ძველი მეთაურები და ხელმძღვანელების დიდი უმრავლესობა მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასის მიმართ. მიუხედავად ამისა, მუშათა მთავრობა დაბრკოლებებს არ შეუშინდა. მან კარგად იცოდა მასის რევოლიუციონური შემოქმედებითი ძალა. მან გადადგა პირველი ნაბიჯი თავის საკუთარი ჯარის შესადგენად. წითელი ჯარის შესაქმნელად ენერგიული მუშაობა დაიწყო და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ექვსი წლ. მუშაობას არ გაუვლია უნაყოფოდ. საქართველოს წითელი ჯარი უკვე გამოვიდა რეორგანიზაციების პერიოდიდან და საბოლოოდ ჩამოყალიბდა გარკვეულ ერთეულებში. მის რიგებს ავსებს საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა. მასში ირაზმებიან აგრეთვე ის მცირე ერებიც, რომლებსაც არ უმსახურიათ არც მეფის და არც მენშევიკების ჯარებში.

სომხები, რუსები, თათრები, ოსები, ებრაელები და სხვა ერები დღეს წითელ ჯარში არიან და მას ისე უყურებენ, როგორც მშრომელთა ინტერესების ნამდვილ დამცველს, ერთგულ გუშაგს და ძმაგს. წითელი ჯარის რიგებში მყოფი სხვა და სხვა ერების მშრომელები გამსჭვალული არიან პროლეტარული, ინტერნაციონალური სოლიდარობით. ამ მხრივ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ განვახორციელეთ ამხ. ლენინის ანდერძი ერთა სოლიდარობის განმტკიცების შესახებ, რომ ამ სოლიდარობას ჩაუყარეთ მტკიცე და ურყევი საფუძველი.

წითელი ჯარი დიდ როლს თამაშობს ლენინის მეორე და ძირითადი ანდერძის განხორციელებაშიც სოფლის და ქალაქის დაახლოების და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმეში. ის ამზადებს ახალგაზრდებს პოლიტიკურად და აჯანსაღებს მათ ფიზიკურად, ზრდის კულტურულად და ჩვენს სოფელს აქტიურ, საქმიან მუშაკთა ახალ-ახალ კადრებს აწვდის. ჩვენი ტერიტორიალური დივიზიის ნაწილები, რომლებიც გაფანტული არიან მთელ საქართველოში, დიდ კულტურულ მუშაობას ეწევიან ადგილებზე. დღემდე მათ დაარსებული აქვთ 6 კლუბი, 56 ლენკუთხე, (უმთავრესად სოფლად, წერტებზე) 103 წრე, რომლებშიც მონაწილეობს მთელი დივიზიის შემადგენლობა და სოფლის მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი, დაარსებულია აგრეთვე 22 სამხედრო წრე, გამოდის 40 კედლის გაზეთი, მუშაობს 8 ძირითადი სამკითხველო და 87 მოძრავი,—27.000 წიგნით, რომლითაც სარგებლობს 3.000-მდე მუდმივი მკითხველი. ამით არ განისაზღვრება მისი მუშაობა სოფლის და ქალაქის მშრომელ მასაში. ყველა წერტებს მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო, პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოებთან, და მუშაობას ეწევა ამ ორგანიზაციებში.

მენშევიკების ჯარს სიზმრათაც არ უნახავს ის აქტიობა, ის მასიური შემოქმედება, რომელსაც ჩვენი წითელი ჯარი აწარმოებს. მენშევიკების ჯარის ნანგრევებზე საბჭოთა საქართველომ შექმნა მხედრულად და პოლიტიკურად მომზადებული წითელი ჯარი, რომელიც მშვენივრად გაუმასპინძლდა 1924 წ. ავანტიურის და სხვა ბანდიტურ გამოსვლებს.

დღეს, როცა ვდღესასწაულობთ საქართველოს წითელი ჯარის არსებობის 6 წლის თავს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოს წითელი ჯარი მტკიცედ სდგას წარმატებისა და განვითარების გზაზე. ის კიდევ უფრო განმტკიცდება, გაძლიერდება და საჭირო დროს მედგრად დაიცავს მუშების და გლეხების სახელმწიფოს. თავის არსებობის ექვსი წლის თავზე საქართველოს წითელი ჯარი აცხადებს, რომ ის მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად ფოლადის კედლათ აღუდგება წინ მშრომელი ხალხის მტრებს.

გაუმარჯოს საკავშირო მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის განუყრელ ნაწილს —საქართველოს წითელ ჯარს.

ბ. სიხარულიძე.

შრომისა და ბრძოლის ხანა

ექვსი წელი, რომელიც განვლო ქართულმა წითელმა ლაშქარმა თავის დაარსების დღიდან, არის უმაგალითო შრომის და ბრძოლის ხანა.

1921 წლის 21 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის დეკრეტი ქართული წითელი ლაშქრის შედგენის შესახებ. ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი ყოფ. მენშევიკურ მთავრობის ჯარის და გვარდიის დაშლის შესახებ.

აი, ამ მენშევიკურ ჯარის ნაწილებისაგან შესდგა პირველი საბჭოთა ჯარის ერთეული, რომელსაც, გარდა ყოფილი ჯარისკაცებისა და გვარდიელებისა, შეუერთდა მრავალი მოხალისე.

როგორ.ი იყო პირველი საბჭოთა ჯარის ნაწილი? გარეგნულად იგი არ წააგავდა ჯარის ნაწილს. წითელი არმიელები შემოსილ იყვენენ სხვადასხვაგვარ ტანისამოსით, შეიარაღებული იყვენ ზოგი ბერდანით, ზოგიც შაშხანა თოფით, კარაბინით და სხვა.

ამხ. ს. ორჯონიკიძე

ქართული წითელი არმიის ერთი ორგანიზატორთაგანი.

მათი სულიერი განწყობილება სრულიად არ შეეფერებოდა მათ ტანისამოსს და საერთოდ გარეგნულ შეხედულებას.

მენშევიკური ჯარის სალდათებმა და გვარდიელთა ნაწილმა, რომელნიც ვერაგულად იყვენ მოტყუებულნი მენშევიკების მიერ, იცნეს მაშინვე თავისი ნამდვილი მთავრობა და ზურგი აქციეს მოღალატეებს.

ახლად ჩამოყალიბებულ ქართული ჯარის ნაწილებს, რომელთაც ჯერ თითქმის არ ჰქონდათ გარკვეული სახე წითელი ჯარისა, შექმნის პირველ დღიდანვე უხდებოდათ ბრძოლის წარმოება საქართველოს მშრომელთა მტრებთან.

წითელ არმიელებს არ ჰქონდათ შეძლება აწარმოებინათ მეცადინეობა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

მეთაურთა შემადგენლობაც არ იყო მთლიანად საიმედო. წითელ ჯარში მოხვდა მრავალი ძველი მეთაური, რომელნიც ვერ შეეგუებოდენ საბჭოთა ხელისუფლებას და რომელნიც ცდილობდნენ შეეშალათ ხელი წითელი არმიის მშენებლობისათვის. ამ რიგად ახალ წითელ ჯარს უხდებოდა ბრძოლის წარმოება როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებთან.

ამხ. შ. ელიავა

საკავშირო სამხედრო - საზღვაო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში

საჭირო იყო დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ წითელ ჯარს შეესრულებინა პირნათლად ყველა ის, რასაც ავალებდა მას მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ჯარში მომუშავე პარტამხანაგების და ზოგიერთ მეთაურთა თავდადებულ შრომით და წითელ არმიელთა შეუდრეკელი ენერგიის წყალობით ქართულმა წითელმა ჯარმა დასძლია ყოველივე დაბრკოლება და გამოვიდა გამარჯვებული ყველა ბრძოლებიდან, რომელიც მას შეხვდა.

ქართული მშრომელი მასა ვერ დაივიწყებს იმ ამაგს, რომელიც მას დასდო წითელმა ჯარმა ქვეყნის გაწმენდით მავნე ელემენტებისაგან.

ამავე დროს ქართული წითელი ლაშქარი უზრდიდა ქვეყანას კულტურულ მომუშავეებს სოფლისა და ქალაქისათვის.

ბრძოლების დროს წითელი ყაზარმა არ ივიწყებდა იმ გარემოებას, რომ ყაზარმა არის აგრეთვე სკოლა, რომელიც ზრდის წითელ არმიელს.



ამხ. პ. ალნიაშვილი

№ ქართული დივიზიის მეთაური და სამხედრო კომისარი.

ექვსი წლის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ შეასწავლა წერა-კითხვა მრავალი ათასი ახალგაზრდას. მან მისცა სოფელს მრავალი კოოპერატორი, ქოხ-სამკითხველოს გამგე და მომუშავენი საბჭოთა დაბალ აპარატებში.

ამით არ კმაყოფილდება წითელი ყაზარმა. საბჭოთა კავშირს მტრულად უცქერიან ყველა ქვეყნის იმპერიალისტები და სურთ მისი განადგურება. წითელ ყაზარმას შეაქვს მოსახლეობაში სამხედრო ცოდნა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ შეეძლოთ იარაღით ხელში პასუხი გასცენ მათ, ვისაც სურს მოსპოს შრომის სახელმწიფო.

ქართული წითელი ლაშქარი ექვსი წლის განმავლობაში მტკიცე დარაჯად უდგას საქართველოს მშრომელთა და შემდეგშიაც იგი მედგრად ივლის იმ გზით, რომელიც მას დაუსახა მისმა ხელმძღვანელმა ამხ. ლენინმა.

ქართული წითელი ჯარი

(მოკლე ისტორიული ცნობები)

საქართველოს საბჭოთა მთავრობის 1921 წლის 11 მარტის დეკრეტით მენშევიკური მთავრობის ჯარი და სახალხო გვარდია გამოცხადებულ იქნა დაშლილად და ამავე წლის 21 მარტს ამხ. შ. ელიავას მიერ ქ. ბათომში გამოცემულ იქნა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შესადგენად. ამგვარად 1921 წლის 21 მარტიდან იწყება ქართული წითელი ჯარის არსებობა.

1921 წლიდანვე ქ. თბილისში დაარსდა ქართული სამხედრო კურსანტთა სკოლა, რომელმაც ქართულ წითელ ჯარს აღუზარდა წითელი მეთაურები, მუშებისაგან და გლეხებისაგან გამოსულნი. ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც მენშევიკების დროს სამსახურს გაურბოდა, დეზერტირობდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წითელ ჯარში დიდი ხალისით ცხადდებოდა და თხოულობდა ჯარში ჩარიცხვას. ქართული წითელი ჯარი თანდათან ძლიერდებოდა და, რამოდენიმე რეორგანიზაციის შემდეგ, 1922 წლიდან სავსებით ჩამოყალიბდა.

25 თებერვალს 1922 წელს გაიხსნა საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა, რომელზედაც ამხ. შ. ელიავამ გააკეთა მოხსენება „ქართული წითელი ჯარის შესახებ". მან სთქვა: (შემოკლებით) „ტყუილია, ამხანაგებო, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არსებობდეს, თუ ამ სახელმწიფოს თავისი არსებობისა და დამოუკიდებლობის შესარჩენად და დასაცავად არ ეყოლება თავისივე შეიარაღებული ძალა. რუსეთის გლეხები და მუშები არ არიან ვალდებულნი ყოველთვის დარაჯად უდგენ სხვა ერებს. საჭიროა საქართველომ თავისი საშოდან ისეთი შეიარაღებული ძალა წარმოშვას, რომელსაც შეეძლება თავისი წითელი სამშობლოს დაცვა. მუშათა და გლეხთა დაცვას ჩვენ შევძლებთ ევროპის იმპერიალიზმის თავდასხმისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეყოლება წითელი არმია. საძირკველი ქართველი წითელი ჯარისა უკვე ჩაყრილია, გვაქვს მოწყობილი შეერთებული სამხედრო ერთეული. მისი გამაგრება და განვითარება, აი, ძირითადი და უახლოესი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში". ამავე ყრილობაზე ქართულ წითელ ჯარს შეეხო ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც მიმართა ყრილობას, რათა ქართული წითელი ჯარი ყოფილიყო გაძლიერებული სათანადო ორგანოების დახმარებით.

ამ ამხანაგების მოხსენებათა მიხედვით, ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც უბრძანებდა ხელისუფლების ყველა ორგანიზაციებს, რომ ქართული წითელი ჯარის საჭიროებანი დაეკმაყოფილებიათ და ამით ხელი შეეწყოთ ამ უკანასკნელის გაძლიერებისათვის. 1923 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობაც სათანადო ყურადღებას აქცევს ქართული წითელი ჯარის შედგენის საკითხებს და მას გამოაქვს მთელი რიგი დადგენილებათა ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ.

ქართულმა წითელმა ჯარმა საქართველოს მშრომელთა იმედები სავსებით გაამართლა. დღიდან შედგენისა ის მედგრად ებრძოდა მშრომელთა მტრებს.

იმის შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა განდევნეს მენშევიკური მთავრობა, აქ დარჩენილმა მენშევიკებმა მოინდომეს ხალხის აჯანყება, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. მასსა მათ არ გაყვა. ბოლოს მიმართეს ბანდიტიზმს. და ქართულ ჯარსაც ამ ბანდიტიზმის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. 1922 წ. კონტრრევოლიუციონური პარტიების ხელმძღვანელობით დაიწყო „მოქმედება" ყოფილ მეფის ოფიცერმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. რომელიც მემამულეების ბატონობის აღდგენას ცდილობდა.

პირველი ბრძოლა, რომელიც ქართულ წითელ ჯარს შეხვდა, ჩოლოყაშვილის ბანდებთან—ეს იყო ბრძოლა ხევსურეთში, ბრძოლა, რომელიც შემდეგ ჩოლოყაშვილის სრული განადგურებით დასრულდა. ამავე დროს გურიაში მოქმედება დაიწყეს გოგია ღლონტმა და ინწკირველმა. ქართული წითელი ჯარი ამ ყაჩაღებსაც ებრძვის და სასტიკად ამარცხებს. ამავე წელს ქუთაისიდან გახიზნული მენშევიკები თავს აფარებენ სვანეთში. ცნობილია, რომ სვანეთი ჩამორჩენილი კუთხეა. ამიტომ, რასაკვირველია, მშრომელი ხალხის მტრებს იქ უფრო ადვილად შეეძლოთ წყლის ამღვრევა. ქართული წითელი ჯარის ნაწილებმა 1922 წლის აპრილის რიცხვებში სასტიკად დაამარცხეს ბანდიტები და სვანეთის მშრომელ ხალხს მოაშორეს პროვოკატორები.

გურიაში 1922 წელს ბანდიტებისაგან მოსვენება არ იყო. დამახასიათებელია ერთი შემთხვევა. 1922 წელს 20 დეკემბერს ეტლით მიდიოდა ოზურგეთის მილიციის უფროსი ამხ. მდინარაძე, ს. ვაშლნართან მას დაიჭირეს ბანდიტები და მოჰკლეს. ოზურგეთში მყოფ ქართულ წითელ ნაწილებმა ამხ. ობოლაძის მეთაურობით მკვლელები მაშინათვე შეიპყრეს და მთავრობას გადასცეს. 1922 წელს თიანეთის მაზრაში არა ნაკლებ გავრცელდა ბანდიტიზმი; აქ გამოჩნდნენ მათე იმერლიშვილი, ბოთოაშვილი, შიოშვილი და სხვები, რომელთაც ახლო კავშირი ჰქონდათ ჩოლოყაშვილთან. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა ქართული რაზმი, რომელმაც კიდევაც გაანთავისუფლა ეს კუთხე ყაჩაღებისაგან.

გურიაში ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად 1923 წ. თებერვალში გაგზავნილ იყო ძირითადი სამოსწავლო ათასეული ამხ. საშა ობოლაძის მეთაურობით. თავისი გამოცდილებით ამხ. ობოლაძემ შეძლო გურიის განთავისუფლება ბანდიტებისაგან. მაგრამ ბანდიტების სულის ჩამდგმელმა მენშევიკებმა ამიტომ გადაწყვიტეს ტერორისათვის მიემართათ. მართლაც სიცოცხლეს გამოასალმეს 10 თებერვალს მშრომელი ხალხის მეგობარი ამხ. საშა ობოლაძე და მისი თანამშრომელნი—ამხ. სანიკიძე და ჩუბინაშვილი. აღნიშნულმა მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს წითელი არმიის ნაწილებში.

ქართული წითელი ჯარის ერთგულება მშრომელი ხალხისადმი უფრო ნათელი შეიქნა მენშევიკების მიერ 1924 წლის აგვისტოში მოწყობილ ავანტიურის დროს.

ყველგან, სადაც კი გამოჩნდენ მენშევიკ ბანდიტები, ღირსეული პასუხი მიიღეს ქართული წითელი ჯარისაგან და უღარიბესი გლეხობისაგან.

საქართველოს ცენტრალურ დივიზიის ძირითად დივიზიასთან შედარებით უფრო მცირეოდენი ისტორია აქვს. საქართველოში ტერიტორიალური ნაწილების შედგენა მხოლოდ 1924 მაისში დაიწყეს.

დღეს იგი საუკეთესო პირობებში ჩამოყალიბდა.

1925 წლის შემოდგომაზე გატარებულ იქნა პირველი საერთო შეკრება. ამ შეკრებაზე გამოგზავნილ იქნა საკავშირო რევოლიუციონური საბჭოს კომისია, რომელიც დაწვრილებით გაეცნო ტერიტორიალურ ნაწილების საკითხს ჩვენში და კმაყოფილი დარჩა.

ადგილებზედაც დიდათ კმაყოფილი არის ტერიტორიალურ ნაწილებისა ჩვენი მშრომელი გლეხობა. ჩვენი წითელი ნაწილები იღებენ კულტ-შეფობას სოფლებზე და ჩვენ ღარიბ გლეხობას ყოველგვარ დახმარებას უწევენ.



ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ოპტიკური კუთხე

ქართულ ჯარში პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას დივიზიების პოლიტგანყოფილებანი აწარმოებენ. ძირითადი დივიზიის პოლიტ-განყოფილება ჯერ კიდევ 1921 წელს დაარსდა და იმ დღიდან აწარმოებს პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას ჯარში. 1921 წ. დაარსდა სამხედრო გაზეთი „წითელი არმიელი", რომელსაც დღეს ათეულობით სამხედრო კორესპონდენტები ჰყავს. სამხედრო წიგნების საგამომცემლო საქმეს აწარმოებს ქართული სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგია, რომელმაც არა ერთი სამხედრო შინაარსის წიგნი დაბეჭდა.

დღეს ქართული წითელი ჯარის ნაწილები მოფენილია კლუბებით, სკოლებით და სამკითხველოებით.

დღეს ქართულ წითელ ჯარს ექვსი წელიწადი შეუსრულდა თავის არსებობისა. ეჭვი არ არის, რომ ქართული წითელი ჯარი სწრაფი ნაბიჯით წავა წინ და ღირსეულად შეასრულებს თავის დანიშნულებას მშრომელების საკეთილდღეოდ.

ალ. გორგაძე.

თავდაცვის საქმე და სათადარიგო მეთაურნი

ქართული წითელი ლაშქრის არსებობის ექვსი წლის თავზე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისაკენ. წითელი არმია მაშინ შესძლებს გაუმკლავდეს მტერს, როდესაც მას ეყოლება მძლავრი რეზერვები ზურგში. ამისათვის საჭიროა წინდაწინვე მომზადება მეთაურების, რომელნიც ომის დროს წინ წაუძღვებიან მრავალრიცხოვან ლაშქარს.

მშვიდობიან დროს წითელი არმიის რიგებში იმყოფება იმდენი მეთაური, რამდენიც საჭიროა წითელარმიელთა აღსაზრდელად, ომის დროს კი წითელი არმია იზრდება რიცხვობრივად და მისთვის საჭიროა ამ დროს მრავალი ათასი მეთაური, და თუ სახელმწიფოს არა ჰყავს მომზადებული მეთაურნი, უეჭველია იგი ვერ შესძლებს ომის წარმატებით წარმოებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნილ იქნენ უვადო შვებულებაში მრავალი მეთაურნი, რადგან წითელი არმია რიცხობრივ მცირდებოდა. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომებისა დათხოვნილ მეთაურთა მოსაწყობად სამოქალაქო სამსახურში. დღეს-დღეობით არც ერთი სათადარიგო მეთაური არ არის დარჩენილი უმუშევრათ. იმისი თქმა, რომ მეთაურნი სავსებით არიან დაკმაყოფილებულნი სამოქალაქო სამსახურში, არ შეიძლება, მაგრამ მთავრობა ცდილობს, რომ მათი მდგომარეობა იქნეს გაუმჯობესებული.

სათადარიგო მეთაურთა მოწყობასთან ერთად სამსახურში საჭიროა მათი სამხედრო მომზადება. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული, გასაკეთებელი კი ბევრია.

საჭიროა სათადარიგო მეთაურთა ცოდნის განახლება, მათი გაცნობა წითელი არმიის სამხედრო ტაქტიკურ და ტეხნიკურ მიღწევებთან.

გასულ წელს ჩატარებულ იქნა სათადარიგო მეთაურთა მოკლევადიანი შეკრება, მხოლოდ ამ შეკრებაზე გაწვეული იყო მეთაურთა შემადგენლობის უმნიშვნელო ნაწილი, ვინაიდან სამხედრო უწყებას არა აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს ფართე შეკრება.

მომავალში ამ შეკრებებს მიეცემა სისტემატიური ხასიათი; და აქ საჭიროა, რომ სამხედრო კომისარიატმა მიაქციოს მეტი ყურადღება კანდიდატების გადარჩევას მათი სპეციალობის მიხედვით

სამხედრო უწყების მიერ მიღებულ უნდა იქნეს ზომები მეთაურთა მოსამზადებლად ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდის; ამ პერიოდში მეთაურთა შემადგენლობა ჩაბმულ უნდა იქნეს თავდაცვის საზოგადოების საქმიანობაში და ამასთანავე მოწყობილი უნდა იქნეს მეთაურთათვის სპეციალური მოსამზადებელი კურსები.

თვით სათადარიგო მეთაურებსაც უნდა სავსებით შეიგნონ თავისი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. ყოველდღიურ მუშაობაში მან არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი არის მეთაური, მხოლოდ დროებით მომუშავე ჯარის გარეშე, და ამისათვის იგი ვალდებულია იყვეს მჭიდრო კავშირში წითელ ყაზარმასთან, ადევნოს თვალ-ყური სამხედრო აზრის მსვლელობას.



წითელარმიელი აქტივისტები

სათადარიგო მეთაურმა უნდა იცოდეს, რომ იგი დასჭირდება წითელ არმიას, რადგან ომის საშიშროება ჯერ კიდევ არ არის აცილებული თავიდან. იმპერიალისტები ემზადებიან ჩვენზე გამოსალაშქრებლათ და ეს გვავალებს ჩვენ მზად ვიყვეთ ომისათვის. ეს მდგომარეობა კარგათ უნდა გაითვალისწინონ სათადარიგო მეთაურებმა და მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ თვით განვითარების საქმეს და სამხედრო მზადებას.

ი. ჩ.

რა მომცა წითელმა არმიამ

(შვებულის წითელი არმიელის წერილი)

ძვირფასო ამხანაგებო, მთელი ლეგიონის წითელარმიელებო და უფპოლიტშემადგენლობა, დიდ მადლობას გითვლით სწავლისათვის, სამხედრო პოლიტიკურ განვითარებისათვის. როცა დავუბრუნდით სოფელს, დიდათ გამოგვადგა პოლიტიკური სწავლა-განვითარება. ხანდახან ფერხდებოდა სწავლა სხვადასხვა საქმეების გამო, მაგრამ მაინც ბევრი რამ შევიძინეთ.

ყველა შვებული წითელი არმიელი გახარებული მოდიოდა სახლში. ორი წელიწადი კი არა, მეტი იყოს სწავლა უკეთესია, რაც ვისწავლეთ თქვენ მიერ, აქედან არც ერთ სიტყვას არ დავივიწყებთ, სიკვდილამდე და კიდევ მიუმატებთ, რაც შეგვიძლია.

მაგრამ ყველაზე უკეთესია კარგი ყურადღება სწავლისადმი, ჩვენ, ზოგიერთი წითელი არმიელი კიდო კარგათ არ უგდებდით ყურს მასწავლებლებს. მოუწოდებ ლეგიონის წითელარმიელებს დიდი ყურადღებით მოეკიდონ ყველაფერს, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სამხედრო სწავლებას. ეს თურმე დიდათ საჭიროა მშრომელი მასისათვის.

ჩვენ, შვებულ წითელ არმიელებს წერილობითი კავშირი გვაქვს ერთი მეორესთან.

გარდა ამისა უნდა ვთქვა საერთაშორისო ამბების შესახებ, რაცხა ბურჟუაზიული სახელმწიფოები სხვანაირ ღონეს ხმარობენ რევოლიუციონერების შესახებ, განსაკუთრებით ჩინეთში, მაგრამ ვიტყვი გულახდილათ, ჩვენ გლეხის შვილები და მშრომელი ხალხის შვილები პირველ დაძახებისთანავე გამოველთ და ვერავის დავანებებთ ჩვენ ხელისუფლებას და წითელ დროშას.

ჩვენ, განსაკუთრებით შვებული წითელი არმიელები გამოველთ უკლებლივ და ვინც დაგვესხმება თავზე, ის წამოეგება წითელ ხიშტზე.

ჩვენი მიზანია დღეს თუ ხვალ შევძლოთ მთელი ქვეყნის მშრომელების განთავისუფლება.

კიდევ ბევრი დამრჩა დასაწერავი, მაგრამ მეტი ვერ მოვახერხე, აწი თქვენ იცით, თუ მომწერთ მაგიერ წერილს თქვენი მდგომარეობის შესახებ. საერთოდ მაცნობეთ ჩვენი ლეგიონის შესახებ.

მოკითხვა, ყველას ძმური სალამი.

როგორ არიან ჩვენი ძვირფასი ლურჯი ცხენები?

ძალიან მაწუხებს თქვენი ამდონი ხნის უნახაობა, მაგრამ რა ვქნა?

ამხ. სამხკომო, თუ შეიძლება გამომიგზავნეთ სხვადასხვა წიგნები ჩვენი სოფლის სამკითხველოსთვის.

აწი თქვენ იცით. ნახვამდის.

წერილს სწერს ზუგდიდის მაზრის, სოფელ ქალომის მცხოვრები ხუბუა დომენტი შვებული რიგის წითელი არმიელი.

1927 წელი 20 თებერვალი.

სასამართლო

მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმე

ქუთაისი, 19 მარტი. ცირკის შენობაში დაიწყო მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საჩვენებელი პროცესი. პროცესს აუარებელი ხალხი ესწრება. მილიცია ვერ აკავებს მოზღვავებულ ხალხს.

თავმჯდომარეობს ამხ. თათეიშვილი. ბრალს სდებენ პროკურორი შვასალია და მისი თანაშემწე დევდარიანი. საზოგადო ბრალმდებელია ამხ. მინდაძე.

ბრალდებულთა სკამზე ზის 8 კაცი: ნამდვილი მკვლელი **მიხეილ აივაზოვი**, 21 წლის, მესროპიანცის ოჯახის ახლო მეგობარი, რომელიც 1923 წელს ქურდობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული; მკვლელის მფარველნი— მკვლელის დედა **მართა აივაზოვი**, 60 წლის; **არჩილ შაფათავა**, 29 წლის, საღამოს კურსების მსმენელი; **ვლადიმერ ონიანი**, 19 წლის, მეექვსე ცხრაწლედის მოწაფე; **გალაქტიონ გოშკეთელიანი**, 20 წლის, მე-3 ტეხნიკუმის მოწაფე; **ავქსენტი ქურდიანი**, 20 წლის, საღამოს კურსების მსმენელი; **ვიქტორ ქურდიანი**, 21 წლის, ელექტრო-ტეხნიკუმის მოწაფე, **ვლადიმერ გოდოქია**, 26 წლის, ვაჭარი.

აივაზოვს იცავს დამცველი დანიშვნისამებრ **თუთბერიძე**, ბრალდებულ ონიანს, გოშკეთელიანს და ორივე ქურდიანს იცავს დამცველი **ლვამიჩავა**.

გამოწვეულია 20 მოწმე. ესწრება აგრეთვე ექსპერტიზა.

17 მარტის დილის სხდომა

17 მარტის დილის სხდომაზე გამოქვეყნდა საბრალმდებლო აქტი, რომელიც ასურათებს მესროპიანცის ოჯახის: მესროპიანცის ცოლის, ცოლის ძალის, მესროპიანცის 11 წლის ვაჟის ვანოს და 9 წლის ქალის—მარიამის მკვლელობას. მიხეილ აივაზოვი, ხონის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის მუშის კარაპეტ მესროპიანცის ოჯახის გაძარცვის მიზნით, 12 იანვარს, კარაპეტ მესროპიანცის სახლში არ ყოფნის დროს, მივიდა უკანასკნელის ბინაზე და ჩაიდინა მხეცური ბოროტმოქმედება, რომლის მსხვერპლნიც გახდენ კარაპეტ მესროპიანცის ოჯახის ზემოჩამოთვლილი წევრები. აივაზოვმა ჯერ მოწამლა მთელი ოჯახი მის მიერ მოტანილი მოწამლული რახათ-ლუხუმით, ხოლო შემდეგ ცულით მოუღო ყველას ბოლო.

საბრალმდებლო აქტის წაკითხვის შემდეგ, დამცველი ცდილობს ბრალდებულ ონიანის, გოშკეთელიანის და ორივე ქურდიანების არასრულწლოვანობის დამტკიცებას და მოითხოვს საექიმო ექსპერტიზას. სასამართლო აკმაყოფილებს დამცველის თხოვნას.

საღამოს სხდომა

17 მარტის საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნა მკვლელი **მიხეილ აივაზოვი**.

მიხეილ აივაზოვის დაკითხვა

აივაზოვი თავის თავს სცნობს დამნაშავედ და დაწვრილებით უამბობს სასამართლოს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას. მას გაუგია, რომ მესროპიანცს ოჯახში ჰქონდა ფული და ოქროულობა. მათი გატაცების მიზნით, მას დაუმზადებია ხაშხაშის ოთხი მარცვალი და 12 იანვარს დაღამებისას წასულა მესროპიანცის სახლში, სადაც გაუხარდათ მისი მისვლა და ჩაითაც კი გაუმასპინძლდენ. სამურაბე ვაზაში მან შეუმჩნევლად ჩაყარა ხაშხაშის ოთხივე მარცვალი. მალე მესროპიანცის ცოლმა და ქალმა—მართამ ცუდად იგრძნეს თავი და ჩაწვნენ ლოგინში. მესროპიანცის დეიდამ მაშინვე აფრინა ვაჟი ვანო ექიმთან, რომელსაც გაჰყვა აივაზოვი. მას შეეშინდა, რომ ექიმი აღმოაჩენს ხაშხაშს, და ამიტომ გადასწყვიტა ბავშის მოკვლა. გზაში მან დანით დაჰკლა ვანო, ჩააგდო მისი გვამი თორმოში და დაბრუნდა მესროპიანცის ბინაზე, სადაც უთხრა, რომ ექიმი სახლში არ არის და ვანო უცდის მის დაბრუნებას. მაშინ დეიდამ გადასწყვიტა თვითვე წასულიყო ექიმთან. აივაზოვმა მოუსწრო მას ეზოში, ცულით გაუჩეხა თავი და გვამი ჩააგდო ჭაში.

ვაჟისა და მოხუც დეიდის მოკვლის შემდეგ, აივაზოვს აღარ ახსოვს, როგორ დახოცა დანარჩენები. ყველას დახოცვის შემდეგ, აივაზოვმა მოკრიფა ფული და ძვირფასი ნივთები და წავიდა თავის ნაცნობთან არჩილ შაფათავასთან. გაიგო რა მკვლელობის ამბავი, შაფათავამ უარი განაცხადა ნივთების გადამალვაზე და თვით აივაზოვიც გააგდო სახლიდან, მაშინ აივაზოვი გაეშურა სასტუმროსაკენ, სადაც ცხოვრობდენ ვიქტორ და ავქსენტი ქურდიანები, ონიანი და გოშკეთელიანი. მან უამბო მათ მკვლელობის ამბავი და მუქარით შეანახვია ნაძარცვი.

სასამართლოს შეკითხვაზე, — მყავდა თუ არა სხვა მონაწილეები, — აივაზოვი უპასუხებს, რომ მოკვლა განიზრახა და შეასრულა მხოლოდ მარტომ.

ბრალდებული უარჰყოფს ამბულატორიის ანალიზს, რომლითაც მოკლულთა კუჭში აღმოჩენილ იქნა აგრეთვე სტრიხნინი, მორფი და კოკაინი.

აივაზოვს თავისუფლად, უკმეხად უჭირავს თავი, ცდილობს ოხუნჯობას, მხოლოდ როდესაც სასამართლომ დაიწყო ცულისა და დანის სინჯვა, ის ატირდა.

არჩილ შაფათავას დაკითხვა.

მეორედ დაკითხულ იქნა არჩილ შაფათავა. ის დამნაშავედ არ სცნობს თავს. როდესაც, მკვლელობის მეორე დღეს, მასთან მივიდა აივაზოვი და სთხოვა ნივთების დამალვა, მან გააგდო უკანასკნელი. მხოლოდ მკვლელობის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვია იმის გამო, რომ ეშინოდა აივაზოვისა და მისი ამხანაგების შურისძიების. აივაზოვი დაემუქრა მას:

— ჩვენ მოვკალით, და თუ მე დამაპატიმრებენ, იცოდე,—ჩემი ამხანაგები ცოცხალს არ გაგიშვებენ.

18 მარტის დილის სხდომა.

18 მარტის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნენ ონიანი, გოშკეთელიანი და ორივე ქურდიანები. ირკვევა, რომ აივაზოვი და ონიანი ახლო მეგობრები იყვნენ და აივაზოვს, გაძარცვის შემდეგ, განზრახული ჰქონია მისი წაყვანა საზღვარგარედ. ონიანი გამოტყდა ნივთების გადამალვაში.

დანარჩენი სამი ბრალდებული არ სცნობენ თავს დამნაშავედ, თუმცა, როგორც დაკითხვიდან ირკვევა, მათთვის აივაზოვს გადაუცია მკვლელობის ამბავი, და ავქსენტი ქურდიანს ნივთების ნაწილი გადაუცია ვინმე თოხელიანისათვის, რომლისთვისაც უთქვამს, რომ ეს ნივთები მიღებულია თბილისიდან და საჭიროა მათი გადაგზავნა სვანეთში.

სასამართლოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 19 მარტს (ადს).

ალ. დილმელაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ლაშხის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების ემელბაშვილის და ვასილიევის მონაწილეობით დაიწყო ალექსი დილმელაშვილის საქმის გარჩევა.

დილმელაშვილს ბრალდება ცოლის დაჭრა მოკვლის განზრახვით.

საქმის შინაარსი ასეთია:

10 წლის განმავლობაში ბრალდებული ცოლთან კარგს განწყობილებაში იყო.

უკანასკნელ ხანებში ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

1926 წ. დამოკიდებულება მათ შორის კიდევ უფრო გამწვავდა.

ერთ დღეს დილმელაშვილი მიეპარა მძინარე ცოლს და დანა ჩასცა მარჯვენა მკერდში

შემდეგ ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაშორდენ.

ბრალდებულის ცოლი წავიდა სოფელში დედმამასთან.

1926 წ. 6 აგვისტოს, ბრალდებულის ცოლმა ბავშვი ჩაიყვანა თბილისში საექიმოდ და საცხოვრებლად მივიდა გათხოვილ დასთან—ვერა ნემსიწვერიძესთან.

ეს ამბავი გაიგო დილმელაშვილმა და მივიდა ნემსიწვერიძის სახლში ყოფილ ცოლის „სანახავად". ჯერ „ტკბილი სიტყვებით" ელაპარაკებოდა მას, შემდეგ კი დანით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა.

დილმელაშვილი პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის 146 მუხლის (მოკვლის განზრახვა) მიხედვით.

მიღებული ჭრილობისაგან ნინა ფეიქრიშვილი მალე განიკურნა.

სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა მისი ცოლი.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით ბრალდებული დილმელაშვილი დეგენერატი ტიპია.

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

ამის გამო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება საქმის დამატებითი გამოსაძიებლად გადადების შესახებ.

ფოთელ პროვოკატორების საქმე უზენაეს სასამართლოში

როგორც ვსწერდით დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ფოთელ პროვოკატორებს: ვასილ ლოლუას, სარინე ჟვანიას, ილია შაპირას, ნესტორ ქორქიას და ნიკოლოზ პრაწაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ ამხ. გაგნიძის თავმჯდომარეობით, ლუკაშელის და გასრიევის წევრობით და მდივან გ. ღლონტის მონაწილეობით.

პროკურორმა ზესელიამ მხარი დაუჭირა ბრალდებას და მოითხოვა განაჩენის დამტკიცება.

დამცველებმა: შ. მეხსიშვილმა, მ. ლვამიჩავამ, გ. ლალიძემ და ქირტაძემ იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე განაჩენის გაუქმება და საქმის სრულიად მოსპობა.

6 საათის თათბირის შემდეგ, დაახლოვებით ღამის 12 საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ოლქის სასამართლოს დადგენილება ბრალდებულებზე უმაღლესი სასჯელის მისჯის შესახებ ძალაში დასტოვა.

მოქ. თაყუელაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: იგიტოვის და დონდუაშვილის მონაწილეობით გაირჩა რომან თაყუელაშვილის საქმე.

თაყუელაშვილი ირიცხებოდა სახკინმრეწვის შიკრიკად.

1926 წ. 22 ოქტომბერს, ადგილკომის დავალებით მან ხაზინიდან მიიღო 73 მანეთი. ფული დანიშნულებისამებრ არ ჩააბარა.

შემდეგ წავიდა სიცოლესთან სოფ. ატოცსში (გორის მაზრა) და 73 მანეთის „საჩუქრები" მიუტანა სიცოლეს.

თბილისში დაბრუნებისას—გზაზე დახვდა მეურმეებს და წაართვა ნივთები.

შემდეგ რევოლვერი დაუმიზნა და სიკვდილის მუქარით მოინდომა მოქ. ყამა-ოღლის გაძარცვა მაგრამ ამ უკანასკნელმა მას რევოლვერი გააგდებინა ხელიდან და დააპატიმრა.

სასამართლომ თაყუელაშვილს მიუსაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქრონიკა

პროფ. მელიქიშვილის ჯანმრთელობა

კლინიკის ცნობით, დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილის მდგომარეობამ უკანასკნელ დღეებში გაუარესება დაეტყო. ავადმყოფს ცნობიერება დაკარგული აქვს და ბოდავს.

ავადმყოფის ტემპერატურა გუშინ საღამოს უდრიდა 37,7 გრადუსს, მაჯის ცემა—85-ს, სუნთქვა—25-ს.

დაიღუპა 1.405 სული ცხვარი

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობით, ასტრახანის გუბერნიის ერთ-ერთ გომურში ნავთიანი ჭრაქის მიწაზე დავარდნის გამო გაჩნდა ხანძარი, რომლის დროს გადაიწვა მთელი გომური და შიგ მყოფი 1.405 სული ცხვარი. ცხვარი ეკუთვნოდა დუშეთის მაზრის მცხოვრებთ. ეს ცხვარი საქართველოდან იყო გადარეკილი ასტრახანის გუბერნიის საზამთრო საძოვრებზე.

ამხ. ოზერსკის ჩამოსვლა.

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ლითონის სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. ოზერსკი. მისი ჩამოსვლის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენი ლითონი დასჭირდება ამიერ-კავკასიას მომავალ წელში.

მიცვალებულთა დაკრძალვის წესი

თბილისში უმეტეს შემთხვევაში წესად შემოღებულია მიცვალებულების გადასვენება სასაფლაოებზე თავღია კუბოებში, რაც დაუშვებელია ზოგ შემთხვევაში (როცა სიკვდილი გამოწვეულია გადამდებ სენით).

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულმა საბჭომ, რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მიცვალებულთა დაკრძალვის საკითხი.

საბჭოს დადგენილებით საჭიროა სავალდებულო დადგენილების გამოცემა, რომელიც აკრძალავს გადამდები სენისაგან გარდაცვალებულთა დაკრძალვას თავღია კუბოებში.

სავალდებულო დადგენილების პროექტის შედგენა დაევალა სპეციალურ კომისიას ექ. ლ. წერეთლის თავმჯდომარეობით. შემუშავების შემდეგ, დადგენილების პროექტი გადაეცემა განსახილველად ილმასკომის პრეზიდიუმს.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში: **ტრიფონ რამიშვილი**—„პიესები", რომელშიაც მოთავსებულია „საბედისწერო დამბაჩა", „შეშლილნი", „სტუმარ-მასპინძლობა", „გაქირავების ტალკვესი". წიგნი შეიცავს 227 გვერდს, ღირს 1 მან. 50 კაპ. ა. ჟარვუდ—„განახლებული დედამიწა", თარგმანი, პროფ. ქ. ა. ტიმირიაზევის შემოკლებული გამოცემიდან, ლ. სოსნოვსკის წინასიტყვაობით, სოციალურ აღზრდის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქციით. 295 გვერდი. ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის საწარმოო კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან შემდეგ პირებს: სოფიო გეგელაშვილი, მარიამ ჯანჯღავა, ანნა ქურდევანიძე, მარიამ აკოპოვა, ვარდუშ დატიანცი, ნინო ვეზირიშვილი, აიკო მაზმანიანი, პარმენ ზარამიძე, ალექსანდრა ავეტიქოვა, ელენე აკოპოვა, ანნა მაქსიმოვა, ბარბალე მოდრეკილაძე, იულია ფოზნაია, გიროსკოფია კოკაინცი, მარიამ სიხარულიძე, ანნა გეგუჩაძე, ნინო სოსიაშვილი, ბარბალე აკიმოვა, მარიამ კოხანოვა, მარიამ ხუროშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან იგზავნებიან: ეკატერინე ზუბენკო, ქსენია კორდაპოვა-ყრუღამ ავილისა, ნიკიფორე მიმინოშვილი, სერგო ბაღდასაროვი, ანდრო ფანიევი, ბათლომე შენგელია, სოფიო ფოცხვერაშვილი, ლიდია ცაგარელი, ივანე ყანდარელი, ირაკლი პატეიშვილი, ივანე ერისთავი, პეტრე ბასკანჩილაძე.

მედიკურ მუშაკთა სექციიდან: ნიკოლოზ კინკლაძე, დავით გვაზავა, ზინაიდა ბულიგინა.

ფიზიკურ მუშათა მე-3 სექციიდან: მარიამ გულასარიანცი. მოზარდთა მე-4 სექციიდან იგზავნება, მარიამ გუგუშვილი. რკინისგზის მუშაკთა სექციიდან. ცეცხლფარეში ლეონ იანიდი.

„წერკუმს"-ში

წერკუმსის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: როგორც წერკუმს-ის ცენტრალური გამგეობაში შემოსულ საჩივრებიდან სჩანს, ვიღაც კერძო პირები დადიან ბინებზე და წერკუმს-ის სახელით ასაღებენ სხვადასხვა გამოცემებს.

ამის გამო წერკუმსი აფრთხილებს ყველა მოქალაქეებს, რომ მან უკვე დიდი ხანია გააუქმა თავისი აგენტურა და ის ამჟამად არავითარ მუშაობას მისი საშუალებით არ აწარმოებს".

წარმომადგენლობის გაუქმება

ს. ფ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, გაუქმებულია სამთო მრეწველობის ტრესტის მოსკოვის წარმომადგენლობა. ამის გამო ტრესტს წინადადება მიეცა შეუთანხმდეს საქ. სახ. ვაჭრობის საჯაიო ამხანაგობას ტრესტის პროდუქციის ბაზარზე გამოტანის პირობების შესახებ.

თბ. ალმასკომში

◆ **ზოოლოგიური ბაღისთვის** ალმასკომმა გამოჰყო 20 დესეტინა მიწა. ბაღი შენდება ვერის პარკის ადგილას.

◆ **ზაგესის ადმინისტრაცია** შეუდგა მზადებას ექსკურსიებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ექსკურსიებისათვის ახსნა-განმარტებების მისაცემად არსდება კომისია.

◆ **ტრამვაის მუშათა სახლის** აგება დამთავრდება მიმდინარე წლის ზაფხულში. რამდენიმე კორპუსი უკვე გადახურულია.

◆ **კეთილმოწყობის განყოფილებამ** დღემდე საბურთალოში მოკირწყლა ქუჩები 10 ათას კვადრატიულ საჟენის სივრცეზე.

სხვა და სხვა

◆ **სევანის ტბა.** დღეს, 20 მარტს, პუშკინის სახელობის წიგნთსაცავის შენობაში შესდგება კავკასიის გეოგრაფიულ საზ-ბის საჯარო სხდომა, რომელზედაც პროფ. ფორტუნატოვი წაიკითხავს მოხსენებას სევანის ტბის შესახებ.

◆ **ჭადრაკის კლუბი.** ამ დღეებში თბილისში გაიხსნება ცენტრალური საჩვენებელი საჭადრაკო კლუბი.

◆ **დისერტაციის დაცვა.** კვირას, 20 მარტს, 12 საათზე სახ. უნივ. 58 აუდიტორიაში დანიშნულია პედაგოგიური ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზედაც **სიმონ ყაუხჩიშვილი** დაიცავს სადისერტაციო შრომას: „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი"-ს ქართული თარგმანი, ნაწ. ლი მეორე: გამოკვლევა. თბილისი 1926".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულ არიან: დამსახ. პროფ. **გრიგოლ წერეთელი** და პროფ. **ივანე ჯავახიშვილი.**

ჩაუბარებელი დეპეშები

ბორჯომიდან—ბურდულაძეს. სამტრედიიდან—მეგრელიშვილს. მუხიანიდან—სანებლიძეს. კუბიდან—აბრამოვს. ბათომიდან—ხაჩატურიანცს. ტკტაფიდან—მაჩუგოვკისას. კამარლიუდან—სარქისიანცს. ხონიდან—ძიძიგურს. ზემოხეთიდან—ძნელაძეს. არხანგელსკიდან—რაგოვიჩს. მოსკოვიდან—კოსტინისას. სნეჟონიდან—კოლესნიკოვს. ზარდიდან—ბონდარენკოს. ზუგდიდან—მირზაინცს.

შემთხვევები

◆ **სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის** 12 მარტს დააპატიმრეს ალექსანდრე მიხეილისძე ბაზიანცი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** ოგანეზ დავითიანცს 18 მარტს ჯიბიდან ამოაცალეს 27 მანეთი. ჯიბგირი ართავაზ არუთინოვი დააპატიმრეს.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** კომუნალური ქუჩა № 65 ალექსანდრე ქოროღლიანის სახელოსნოდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ **ბზის მოედანზე** 18 მარტს ტუმ კუკ დაუფრთხა ფურგონში გაბმული ცხენები, რომლებმაც დაიზიანეს მოქ. სანდრო თაქთაკიშვილი.

◆ **ჯიბგირობისათვის** 18 მარტს დააპატიმრეს ვანო პაპაიანი.

◆ **ჯიბგირი მოჩხუბარი.** 18 მარტს ვასილ შჩუკინმა ერმილე ორაშჩენკოს აუტეხა ჩხუბი, რის დროსაც ამოაცალა 35 მანეთი. დამნაშავე დაპატიმრებულია.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** 18 მარტს მე-11 სამილიციო რაიონში ავტომობილმა გაიტანა 6 წლის ბავშვი ნინა. ნიშნიანიძე. შოფერი ტარასენკო დაპატიმრებულია.

◆ **სააღმშენებლო კოოპერატიულ სახლიდან** (მეთორმეტე სამილიციო რაიონში) 18 მარტს მოიპარეს სხვადასხვა სააღმშენებლო მასალა.

◆ **კარების შემოსტვრევის** საშუალებით 18 მარტს ფეიერვერკის ქუჩა № 23 გაქურდეს თედორე მჭედლიძის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ჩერქეზიშვილის ქუჩა № 24 გაქურდეს არტაშ ავეტისიანის ბინა.

◆ **ამავე დღეს,** რეუტოვის ქუჩა № 2 მიხეილ პოგადაევის ბინიდან მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

◆ **ქურდი ქალი.** 18 მარტს დააპატიმრეს სირანუშა თამარიანცი, რომელსაც ბრალდება ვერა ქებაძის ბინის გაქურდვა.

◆ **მუშკოოპის მაღაზიიდან** 44 ბესიკის ქუჩა № 23 17 მარტს სხვადასხვა საქონლის მოპარვისათვის დააპატიმრეს მელიქსედ ტატეოსიანი.

◆ **ამავე დღის** ორლოვის ქუჩა № 17 გაქურდეს ალექსანდრე ბაკურაძის ბინა. წაიღეს 110 მ. ნივთები.

რიონის ჰიდროელსადგური

საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ახალშენებათა განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ აპრილის პირველ რიცხვებში რიონის ჰიდროელსადგურის გეგმის ვარიანტების ასარჩევად და სადგურის საბოლოო პროექტის შესამუშავებლად საქართველოში გამოემგზავრებიან ცნობილი პროფესორები ვასილიევი და გლუშკოვი.

ამის გამო ახალშენებათა განყოფილებამ გადასწყვიტა საჩქაროდ აწარმოოს რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებ ტერიტორიაზე საგამოკვლეო მუშაობანი. აპრილისათვის დამთავრებული იქნება ორივე ვარიანტის ყველა საჭირო მასალების შეგროვება.

თბილისში საკითხის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ პროფ. ვასილიევი და პროფ. გლუშკოვი გაემგზავრებიან რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებ ადგილას დასათვალიერებლად.

უმუშევართა

კვალიფიკაცია

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა გეგმა უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მრეწველობის სხვადასხვა დარგში. გადამზადება შეეხება იმ უმუშევრებს, რომლებიც წინად მუშაობდენ წარმოებებში და რომელთა პროფესიის შორის უმუშევრობა მწვავე ხასიათს იღებს. აგრეთვე გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებლად შეეხება წითელ არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით დათხოვნილ პირებს. ამასთანავე კვალიფიკაციის მისაღებათ მუშაობა იწარმოებს მოზარდთა შორისაც. უმუშევართა გადამზადება მოეწყობა წარმოებითი ხასიათის შრომის კოლექტივებში და წარმოებებში გადაგზავნილებისა პრაქტიკული ხელმძღვანელობა დაეკისრება კოლექტივებში და წარმოებებში მომუშავე კვალიფიციურ მუშებს.

ხელოვნება

თეატრი და კინო
(დისპუტი რუსთაველის საკონცერტო დარბაზში)

პარასკევს, 18 მარტს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ამხ. ს. ამაღლობელმა წაიკითხა მოხს. თეატრსა და კინოზე. პირველ ყოვლისა მომხსენებელი შეჩერდა თეატრის კრიზისის მიზეზებზე და უარყო დებულება, თითქოს ამ კრიზისის მიზეზი იყოს ურთიერთობის დარღვევა მაყურებელსა და სცენის შორის, თითქოს ამ კრიზისის დაძლევა შეიძლებოდეს მაშინ, როცა თეატრს გაუჩნდება ახალი მაყურებელი. მომხსენებლის აზრით არც ის დებულება სწორი,—თითქოს გაჩენილ იყოს ახალი მაყურებელი, ახალი განცდებით და მსოფლმხედველობით. თეატრის აუდიტორია რუსეთშიაც და ჩვენშიდაც უმთავრესად ისევ ძველი შემადგენლობის არისო. ახალი მაყურებლებისა და განცდების ჩამოსაყალიბებლად საკმაო არაა ხუთი და ათი წელი. მომხსენებლის დასკვნით თეატრის კრიზისი აუდიტორიის კრიზისია. ახალი განცდები მასსაში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, რადგან ჯერ არ დამთავრებულა ჩვენი საზოგადოების, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა. დრამატურგია, რომლითაც საზრდოობს თეატრი, ეყრდნობა სწორედ მორალის, საზოგადოებრივი ეთიკის საფუძველს რომელიც ჯერ არა თუ განმტკიცებული, გამორკვეულიც არ არის.

იგივე საფუძველი უდევს თეატრის კრიზისს ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც, სადაც ამ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში აშკარა შეიქნა ბურჟუაზიული მორალის, საზოგადოებრივი ეთიკის გადაგვარება, დეგენერაცია. დრამატიული მწერლობის კრიზისი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და ახალი ადამიანის ტიპის გაურკვევლობაში მარხია. ამიტომ არის, რომ, თანამედროვე დრამატიული ნაწარმოები, განსაკუთრებით კომედია, მოკლებულია საფუძვლიან კოლიზიას და ის ზერელეა. თანამედროვე ახალ თეატრალურ მიმდინარეობებს სურთ ეს ზერელობა წარმტაცი დადგმით, მუსიკის, პლასტიკის მხატვრობის გამოყენებით შეავსონ, რაც ასე იზიდავს და ართობს დღევანდელ მეშჩანობას, მაგრამ ამ ღონისძიებით არ გადაწყდება თეატრის კრიზისი, რომელიც უთუოდ დროებითი მოვლენაა, და გაივლის მაშინ, როცა საბოლოოდ გამოირკვევა ახალი საზოგადოებრიობა.

მომხსენებელი ეხება რა კინოს, ვერ არკვევს მისი გამარჯვების ნამდვილ მიზეზებს. მომხსენებელს აუხსნელი რჩება, თუ რატომ ვერ აფერხებს კინოს განვითარებას იგივე მიზეზები, რომლებიც იწვევენ დრამის კრიზისს. მხოლოდ ტრიუკებს, სტილიურ, ისტორიულ დადგმებს ხომ არ მიეწერება კინოს გამარჯვება?

შემდეგ მომხსენებელი ადარებს ერთი მეორეს კინოსა და თეატრს და გამოაქვს დასკვნა, რომ ხელოვნების ეს ორი დარგი არ წარმოადგენს ერთმანეთის მოქიშპე კონკურენტ დარგებს. თვითეულ მათგანს თავისი განვითარების გზები აქვს. სხვაგვარია მათი შემოქმედების საფუძველიც. თეატრში მთავარი მსახიობია, რომელიც არა მარტო თვითონ ახდენს ემოციონალურ გავლენას მაყურებელზე, არამედ თვითონაც განიცდის მაყურებლის ზეგავლენას. კინოში—კი მთავარ ძალას წარმოადგენს რეჟისორი, რომელიც თავის შემოქმედებას უმორჩილებს გარემოს, მსახიობს, ერთი სიტყვით ჰქმნის კინოფილმის საერთო რიტმს, საერთო ნებას.

მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი, ოპონენტები არ დაეთანხმენ მომხსენებელს თეატრის კრიზისის მიზეზების გარკვევაში და აღნიშნეს, რომ საზოგადოებრიობის, მორალის კრიზისს თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, იგი უნდა იწვევდეს არა მარტო თეატრის, არამედ ხელოვნების სხვა დარგების კრიზისსაცო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დუდუჩავამ, ელენტმა, პეიშვილმა და გასაძემ.

ანნა აღლაძე — ჩიჯავაძის კონცერტი

ახალგაზრდა მომღერალი ქალი იწყებს თავის საკონცერტო არტისტიულ მოღვაწეობას. მან შარშან დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორიის კურსი პროფ. შულგინას კლასში და მიიღო თავისუფალი მხატვარის სახელწოდება.

როგორც სჩანს, მომღერალი ქალი კიდევ აუმჯობესებს თავის მუსიკალურ ნიჭს. შედეგები თვალსაჩინოა. მსახიობი ვაცილებით უკეთესად ხმარობს თავის ხმას (ლირიულ - კოლორატიული სოპრანო), ვიდრე ეს წინეთ იყო. განვითარებულია ტეხნიკაც.

კონცერტი ერთგვარი საჩვენებელი საღამო იყო. ამ კონცერტზე გამოაშკარავდა, თუ როგორ აუმჯობესებენ და ანვითარებენ თავის მუსიკალურ ნიჭს ახალგაზრდა ქართველი მომღერლები. დავიწყოთ თუ გინდ აღლაძე - ჩიჯავაძიდან. (მთელი რიგი ვოკალური ნაწარმოებნი.) შემდეგ ნიკოლაძე - არია ოპერა „ტოსკა"-დან და იტალიელ კომპოზიტორ ტირანდელის და არაყიშვილის რომანსები.

თვალსაჩინო წინსვლა ეტყობა აგრეთვე მომღერალ ხოფერიას, რომელმაც შეასრულა არია ოპერა „ოლანტა"-დან და მთელი რიგი რომანსები. ვოკალური ნიჭის გაუმჯობესების გზაზე სდგას აგრეთვე მომღერალი ქალი გოცირიძე (პროფ. შულგინას კლასი).

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა ვენაძემ და ანდღულაძემ და პიანოზე დამკვრელმა ლეო შიუკაშვილმა.

ბ. ბ.

ვიოლინოზე დამკვრელთა კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგიურ ცხოვრებაში ამჟამად ადგილი აქვს უდიდესი მუსიკალური მნიშვნელობის ფაქტს. პროფ. მინიარის კლასში, რომელმაც რამოდენიმე წლის წინად გამოუშვა ვიოლინოზე დამკვრელი ქალი—რაისა გარბუზოვა, რომელიც ეხლა საკონცერტო ტურნეს მართავს ევროპაში, ამჟამად სწავლობს სამი ახალგაზრდა: ვერა ცომიაკი, ვლადიმერ ანშულევიჩი და აბრამ ფერკელმანი. სამივეს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი აქვს.

ამ დღეებში გაიმართა სამივე ახალგაზრდა მოწაფის საჩვენებელი საღამო. ცომიაკის შესრულება ყველაზე უფრო ღრმა და ლამაზია. ანშულევიჩი ყველაზე უფრო მომწიფებული მუსიკოსია ვიოლინის ლიტერატურის გაგებისა და შესრულების მხრივ; ფერკელმანმა კი გამოაშკარავა დამთავრებული ტეხნიკა.

კონცერტები ჩაეთვალოთ გადასასვლელ გამოცდებად. კონცერტების პროგრამა ფართო და სერიოზული იყო.

დიდი საღამო.

ოთხშაბათს, 23 მარტს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო. სიტყვები: ს. თოდრია, პროფ. შ. ნუცუბიძე; ლექსები: ს. აბაშელი, ბარნოვი, რაჟდენ გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ვ. გორგაძე, ტ. გრანელი, კ. კალაძე, იაშვილი, ნ. ზომლეთელი, ტ. ტაბიძე, კონ. ლორთქიფანიძე, მარიჯან, მაშაშვილი, ნოზაძე, დ. შენგელაია, ერთაწმინდელი, ს. თავაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი, ა. ქებაძე, ა. შანშიაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, მიხ. ჯავახიშვილი. სიმღერა: ს. ინაშვილი. დეკლამაცია უშანგი ჩხეიძე.

◆ **საბავშვო დილა.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება საბავშვო დილა. დილას მართავს ეთარიანის საბალეტო სტუდია.

◆ **„ამერიკელი ძია"** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **„აბესალომ და ეთერი"** დღეს ოპერის თეატრში მიდის „აბესალომ და ეთერი".

◆ დღეს სად. 6 საათზე—შესდგება, საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა.

საზაფხულო არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგები მიმდინარე წელში ჩატარებული იქნება შემდეგნაირად:

შრომის სკოლების და ტეხნიკუმების საგაზაფხულო არდადეგები, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ჩატარდება 1 აპრილიდან 10 აპრილამდე.

ოთხწლედები თავის ყოველდღიურ — ჩვეულებრივ მუშაობას დაამთავრებენ 31 მაისს. პირველი ივნისიდან 5 ივნისამდე მათ უნდა აწარმოონ ნამუშევარის აღრიცხვა.

შვიდწლედები თავის ყოველდღიურ — ჩვეულებრივ მუშაობას დაამთავრებენ 7 ივნისს. 8 ივნისიდან 15 ივნისამდე მათ უნდა აწარმოონ ნამუშევარის აღრიცხვა.

ცხრაწლედები და ტეხნიკუმები თავის ყოველდღიურ — ჩვეულებრივ მუშაობას დაამთავრებენ 7 ივნისს. 8 ივნისიდან 20 ივნისამდე მათ უნდა აწარმოონ ნამუშევარის აღრიცხვა.

ამრიგად, შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში ყოველგვარი მუშაობა შეწყდება 20 ივნისს და დაიწყება საზაფხულო არდადეგები.

მომავალ სასწავლო წელში შრომის სკოლის ყველა საფეხურებში და ტეხნიკუმებში წინასწარი მუშაობა დაიწყება 1 სექტემბრიდან, ხოლო ჩვეულებრივი სასკოლო მუშაობა 15 სექტემბრიდან.

სეზონური სამუშაოები

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 16—18 წლის მოზარდთათვის სეზონური სამუშაოებზე სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს, ხოლო 14—16 წლის მოზარდებისათვის 4 საათს. ზედმეტი საათების მუშაობა შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ შრომის ორგანოების ნებადართვით—სეზონურ სამუშაოებზე, სადაც ღამით სწარმოებს მუშაობა, სამუშაოზე დაშვებულნი არ იქნებიან ფეხმძიმე ქალები და ძუძუმწოვარა ბავშვთა დედები.

რკინისგზებზე

ბრძოლა მარცხებთან

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიამ განიხილა საქმე 3 თებერვალს სადგ. თბილისში მატ. № 325-ს დაკავებულ ხაზზე მიღების შესახებ.

გამოირკვა, რომ ეს შემთხვევა მოხდა მეისრე ბარიშვილის დაუდევრობით. დაჯახებას ადგილი არ ჰქონდა მხოლოდ იმის გამო, რომ მემანქანემ ამხ. ვორობიოვმა თავის დროზე შემჩნია ისრის გადაყვანა და გააჩერა მატარებელი.

ამის გამო კომისიამ საჭიროდ სცნო ბარიშვილისათვის საყვედურის გამოცხადება — გაფრთხილებით, რომ მომავალში ასეთი შეცდომისათვის დათხოვნილ იქნება სამუშაოდან. ამასთანავე უფროს მეისრეს გაზამოვს მიეცა შენიშვნა იმის გამო, რომ მან თვალყური არ ადევნა ისრების მდგომარეობას.

მემანქანე ვორობიოვს გამოეცხადა მადლობა.

გადაზიდვის კომიტეტის გამოკვლევა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა გადაზიდვის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ამხ. კოგანოვიჩი.

ამჟამად ამხ. კოგანოვიჩი იმყოფება ბათომში, სადაც იგი ეცნობა ნავთის სინდიკატის და „აზნავთი"-ს დამოკიდებულებას ა.-კ. რკ. გზებთან.

ბათომიდან დაბრუნების შემდეგ კოგანოვიჩი შეუდგება ა.-კ. გადაზიდვის კომიტეტის მუშაობის გამოკვლევას.

სტუდენტების გაგზავნა

თბილისის სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სატრანსპორტო - საექსპლოატაციო ფაკულტეტის მსმენელები რიცხვით — 45 კაცი, მასწავლებელთა შემადგენლობასთან ერთად გაემგზავრებ ბაქოში პრაქტიკულ მუშაობაზე.

ბაქოში მსმენელები დაათვალიერებენ: რკ. გზის კვანძს, საბუნჩის ელექტრონის გზას, სამრეწველო ვიწრო გზას, ნავთის პროდუქტების ჩასხმას და სხვა.

ბიბლიოგრაფია

ОВ. КАЧАЗНУНИ. «Дашнакцутюн, больше нечего делать!»

ზაკკნიგა გვ. 90 ფასი 65 კაპ.

სარეცენზიო წიგნაკი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც — ოვ. კაჩაზნუნის მიერ წაკითხულ იქნა 1923 წელს ქ. ბუქარესტში სომხეთის ნაციონალისტურ პარტიის („დაშნაკცუტუნი"-ს) საზღვარგარეთელ ორგანოების კონფერენციაზე.

ოვ. კაჩაზნუნი — როგორც მოგვითხრობს წიგნის წინასიტყვაობაში ამხ. ს. ხანოიანი— „დაშნაკცუტუნის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, დაშნაკური სომხეთის პირველი პრემიერ მინისტრი, ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა, ერთ ერთი ბელადი დაშნაკური პარტიის". ამ მხრივ არის საინტერესო წინამდებარე წიგნაკი ჩვენთვის, რადგან მოგვითხრობს დაშნაკური პოლიტიკის მარცხზე და საერთოდ „დაშნაკცუტუნის" ტრაღედიაზე არა „პატარა კაცი", არამედ მისი ბელადთაგანი და ავტორი ხან - ხოისკისთან და ნოე ჟორდანიასთან ერთად ნაციონალისტური პოლიტიკისა ამიერ - კავკასიაში.

ოვ. კაჩაზნუნის მოხსენება არის ისტორიული გოდება, სულიერად დაცემულ და მწარე სინამდვილის მიერ მიწაზე დანარცხებულ პოლიტიკურ მოღვაწისა, რომელსაც არაფრის იმედი არ აქვს, გრძნობს და ღრმად განიცდის საკუთარ ბედს, მაგრამ რომელსაც შესწევს გამბედაობა აღიაროს ყოველივე ეს.

კაჩაზნუნის მოგონებანი — უკეთ პოლიტიკური აღსარება არ ეხება მარტო დაშნაკური სომხეთის მიერ გავლილ გზას, არამედ ის ამდენათვე გამოსადეგია მუსავატისტურ აზერბეიჯანის და მენშევიკურ საქართველოს წარსული მოღვაწეობის შესასწავლათ. ამიტომ უნდა მიიპყროს ამ წიგნაკმა როგორც სომეხ, ისე ქართველ და აზერბეიჯანელ მკითხველის ყურადღება.

რა აგოდებს კაჩაზნუნს, რისთვის დასტირის ის „ოდესღაც ძლიერ დაშნაკცუტუნს"? — უპირველესად ამ პარტიის გაკოტრება, ის გარემოება, რომ დაშნაკური პარტია აღარ ესაჭიროება უკვე სომხეთს, ის დღევანდელი ცხოვრების ხორცმეტია,მას აღარაფერი აქვს უკვე საკეთებელი და ამიტომ უნდა„მოახდინოს „დაშნაკცუტუნმა" თვითლიკვიდაცია, თავისივე ხელით უნდა მოიკლას თავი". ასეთია კაჩაზნუნის მთელი ფილოსოფია. ნოე ჟორდანია ალბათ ღრმად ჩაუფიქრდება ამ „განწირულ სულის ვოდებას", ადრე თუ გვიან ისიც მოახდენს „მენშევიკურ ფასეულობათა" გადაფასებას და გაყვება კაჩაზნუნის გზას.

კაჩაზნუნი იხილავს თანამიმდევრობით დაშნაკური პარტიის პოლიტიკას მსოფლიო ომის დროს, როდესაც სომეხი ნაციონალისტები ოცნებობდენ „ოტომანის იმპერიის" განადგურებაზე. და „დიდი სასომხეთის შექმნაზე". ამიტომ ადგენდენ ისინი კაჩაზნუნის თქმით მოხალისე რაზმებს ოსმალეთის სომხეთის შემოსაერთებლად. ვრცლად ჩერდება ავტორი აგრეთვე იმ ნაციონალისტურ პოლიტიკაზე, რომელსაც დაშნაკური სომხეთი აწარმოებდა და რომელმაც ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანა სომხეთის ერი და პირველ რიგში მისი მშრომელი მასები. დაშნაკურმა პარტიამ ვერ გადასჭრა და არც შეეძლო გადაეჭრა „სომხეთის საკითხი", რადგან ამ პარტიის მთელი მუშაობა იყო არა ნამდვილი ნაციონალური, არამედ იმპერიალისტური, მიმართული მეზობელ ერების დათრგუნვისა და დამორჩილებისაკენ. ამ პოლიტიკის მეოხებით „სომხეთის ხალხი ისე მძიმედ დაზარალდა, ისე მოიქანცა და დაუძლურდა, რომ არავის არ აქვს უფლება ჩაითრიოს ის ახალ გამოცდებში, მოითხოვოს მისგან ახალი მსხვერპლი. კმარა ის, რაც იყო". (გვ. 54).

ამიტომ კაჩაზნუნი მოუწოდებს თავის მრევლს ხელი აიღოს პოლიტიკურ შანტაჟზე, იცნოს თავი ლეშათ, დაივიწყოს ის, რაც მოხდა (თუ კი ადვილი დასავიწყია ეს). ქედი მოიხაროს არსებულ - წყობილების წინაშე, იმის მიუხედავათ სურს თუ არა ეს მას და დამთავრებულათ გამოაცხადოს „დაშნაკცუტუნი"-ს როლი.

კაჩაზნუნს არ მოსწონს სრულებით ბოლშევიზმი,როგორც ორტოდოქსალური ნაციონალისტი, ვერ შეურიგდება ბოლშევიკურ ინტერნაციონალიზმს,. მაგრამ ამის მიუხედავათ, „კლასიური მტერი მაინც ლაპარაკობს კლასიურ სიმართლეს". კაჩაზნუნი ადარებს (ეს ჯერ კიდევ 1923 წელს) იმ მიღწევებს, რომელთაც აქვთ ადგილი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დროს იმას, რაც იყო „დაშნაკურ სომხეთში". და დაასკვნის: „ჩვენ ვაწარმოებდით ომებს: საქართველოსთან, აზერბეიჯანთან და ოსმალეთთან.ბოლშევიკებს არ უომიათ. ჩვენ განუწყვეტელი შეტაკებანი გვქონდა შიგ სომხეთში მრავალ ადგილას: ავაბაზში, ზოდეში, ზანგი - ბაზარში, ვედი-ბაზარში, მილის ხეობაში, შარურში, ნახიჩევანში, ზანგეზურში. ბოლშევიკებს კი არ ჰქონიათ შინაგანი შეტაკებანი, გარდა თებერვლის ამბებისა. *) ჩვენ თოფის ქვეშ და მუდმივ ომებში გვყავდა ქვეყანა, აუარებელი მუშა - ხელი ომით იყო გართული, მაშინ როდესაც დიდ გასაჭირს განვიცდიდით აღმშენებლობით მუშაობაში; ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს ხალხი ამ საშინელ მდგომარეობიდან... ჩვენ დროს სომხეთი შიმშილით იყო მოცული, ბოლშევიკებმა კი იხსნეს ქვეყანა ამ შიმშილიდან". (გვ. 57).

ყოველივე ამის გამო დაშნაკცაკანს აღარაფერი ეთქმის, მან დაჰკარგა თავის raison d'être და ამიტომ უნდა გავიდეს ეს პოლიტიკურ ასპარეზიდან. წიგნში მრავალი ყალბი ადგილებია, გზადაგზა აშკარად სჩანს ავტორის მსჯელობაში, დაშნაკური „სიმართლე" და ფაქტების თავისებური გაგება. ამის მიუხედავათ, როგორც აღნიშნავს ამხ. ხანოიანი „კაჩაზნუნის პირით ლაპარაკობს დაშნაკთა განსაზღვრული ნაწილი, რომელიც დაიბნა ნაციონალისტურ ულრანში. დაე ეს პირდაპირი და გულწრფელი სინიდისის გახდეს მაგალითი სხვებისთვის". უპირველეს ყოვლისა... მენშევიკებისა და მუსავატელებისათვის.

ნ. ვ.

---

*) იგულისხმება 1921 წელს დაშნაკელების მიერ მოწყობილი კონტრ - რევოლიუციონური აჯანყება ახლად დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 100. უბრალო კონტრაბანდა, ე. ი. სახელმწიფოს საზღვრით საქონლისა, ფასეულობისა, ქონებისა და ყოველგვარი საგნის გატან-შემოტანა საბაჟო დაწესებულების გარეშე ან თუმცა საბაჟოში გატარებით, ხოლო საბაჟოს კონტროლისაგან დამალვით, გამოიწვევს—

კონტრაბანდული საქონლის კონფისკაციასა და ჯარიმას, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით საბაჟოს წესდების 262 მუხლისამებრ,

ხოლო განმეორება—ამას გარდა—

ადმინისტრატიული წესით გადასახლებას სახელმწიფოს საზღვრიდან 50 კილომეტრით მაინც.

კვალიფიციური კონტრაბანდა, რაც ჩაითვლება:

ა) საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანა საბაჟო დაწესებულების გარეშე, სპეციალური, საამისოდ დანიშნული სატრანსპორტო საშუალებით;

ბ) საქონლის, კონტრაბანდული გატან-შემოტანის დროს, დამალვა სპეციალურად საამისოდ მოწყობილ საცავში;

გ) საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანა ყალბი საბაჟო დოკუმენტით, სხვა საქონლის დოკუმენტით, ყალბი საბაჟო ნიშნის (ან დაღის) დასმით, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი მოქმედებით, რაც მიმართულ იქნება საქონლის კონტრაბანდული გატანა-შემოტანისათვის;

დ) მონაწილეობა იმ ორგანიზაციაში, რომელიც სპეციალურად კონტრაბანდას ეწევა;

ე) შეიარაღებული კონტრაბანდა;

ვ) საკონტრაბანდო მოქმედება იმ თანამდებობის პირისა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს საბაჟო საქმესთან;

ზ) ორჯერზე მეტი კონტრაბანდა, აგრეთვე კონტრაბანდული საქონლის შენახვა ან ვაჭრობა ხელობის სახით;

თ) კონტრაბანდა ასაფეთქებელი ნივთიერებისა, სამხედრო საჭურველისა, საფრენი აპარატისა, ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის ქონებისა და გაბათილებული სარგებლიანი ქაღალდებისა, გამოიწვევს—

საბაჟო წესდების 262 მუხ. აღნიშნულ შედეგის გარდა—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლიაციით და სპეციალური საკონტრაბანდო იარაღისა, სატრანსპორტო საშუალებათა და ქონების ნაწილის კონფისკაციას, ხოლო, თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებაში, სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება აწეულ იქნეს უმაღლეს ღონისძიებამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჟუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 21.

თბილისი—სასახლე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება № 1.

1927 წელი მარტის 10 ქალ. თბილისი

მოქალაქეთა ვალდებულების შესახებ, რათა მათ აცნობონ სამხედრო აღრიცხვის ორგანოებს თავიანთი გვარის და სახელის გამოცვლა, თუ მანამდის იყვნენ ისინი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი

სამხედრო ვალდებულებათა სისწორით აღრიცხვისათვის მექანიკურად გამორიცხვის ასაშორებლად, მოქალაქეთა გვარების და სახელების გამოცვლის გამო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ადგენს:

1. ს. ს. ს. რ. ყველა ის მოქალაქენი, რომელთაც გამოიცვალეს თავის გვარი და სახელი, სამხედრო საღრიცხვო ორგანოს მიერ აღრიცხვაზე აყვანის შემდგომ ვალდებულნი არიან, გვარის გამოცვლის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, აცნობონ ამის შესახებ სათანადო სამხედრო-საღრიცხვო ორგანოებს.

2. მოქალაქენი, რომელნიც დაარღვევენ ამ დადგენილებას, ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებულ იქნებიან 100 მანეთამდე ან დაპატიმრებული ორ თვემდე.

3. ადმინისტრატიული სასჯელის დადების უფლება ამ დადგენილების დარღვევისათვის ენიჭებათ ყველა სამაზრო და ქალაქის აღმასკომებს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს „ცაკ"-ის 1923 წლ. 4 მაისის დებულებით სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესის და მათი დარღვევისათვის, ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების შესახებ.

4. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარი **მათიკაშვილი.**

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი რესპუბლიკის მილიციის უფროსი **მაჭავარიანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება № 2

1927 წლ. მარტის 10 ქალ. თბილისი

აზარტიული თამაშის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

აზარტიული თამაშის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ის პირი, რომელიც იქონიებს საჯარო თავშესაფარს და სახლს ბანქოს, რულეტკის, ლოტოს და სხვა სათამაშოს, მატერიალური გამორჩენის მიზნით რა ხასიათისაც არ უნდა იყოს, და აგრეთვე მოთამაშე, რომელიც ასეთ თავშესაფარში და სახლში ივლის, უკეთუ მათი ქმედობა არ შეიცავს იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული, დაისჯება ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით ან იძულებითი მუშაობით ორ თვემდე ან ჯარიმით ას (100) მანეთამდე.

2. ასეთივე სასჯელი დაედებათ რესტორანების, სასტუმროების, კაფეების და სხვ. ასეთ ადგილების იმ მეპატრონეებს, რომლებიც მოაწყობენ ამ ადგილებში ზემო აღნიშნულ თამაშს სათანადო ნება დაურთველად.

3. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირზე სასჯელის დადების უფლება აქვს: ქალაქ თბილისში და მის მაზრაში თბილისის ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს, ხოლო მაზრებში მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

4. ზედამხედველობა ამ დადგენილების შესრულებისათვის ეკისრება მილიციის ორგანოებს.

5. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **მათიკაშვილი**

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი რესპუბლიკის მილიციის უფროსი **მაჭავარიანი.**

რადიო-გადაცემა

20 მარტიდან 27 მარტამდე თბილისის რადიო-სადგურის მიერ გადაცემული იქნება:

20 მარტი: როგორ გავაუმჯობესოთ ჯანმრთელობა. ლექცია რუსულ ენაზე; ქალი და კოოპერაცია—რუსულ ენაზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია, ოპერა „აბესალომ და ეთერი"-ს ტრანსლიაცია.

21 მარტი: ოჯახი, ქორწინება და მზრუნველობა—ლექცია რუსულ ენაზე; მიღწევები სოფლის მეურნეობაში—ქართულ ენაზე; ჩინეთის ამბები—ქართულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი.

22 მარტი: ბრძოლა ტუბერკულიოზთან—ქართულ ენაზე; სად და როგორ მოვაწყოთ ექსკურსიები—რუსულ ენაზე; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ოპერის ტრანსლიაცია.

23 მარტი: ქალი და კოოპერაცია—ქართულ ენაზე; ბრძოლა ტუბერკულიოზთან—ქართულ ენაზე; რატომ უნდა ისწავლოს პროფკავშირის თვითეულმა წევრმა სროლა—რუსულ ენაზე; საერთაშორისო მდგომარეობა — ქართულ ენაზე; საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—რუსულ ენაზე; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი.

24 მარტი: დასვენების დღეა. რადიო-გადაცემა არ იქნება.

25 მარტი: საერთაშორისო მდგომარეობა—რუსულ ენაზე; თვითგანვითარება—ქართულ ენაზე; პიონერთა გაზეთი—ქართულ ენაზე; სად და როგორ მოვაწყოთ ექსკურსიები—ქართულ ენაზე; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი.

26 მარტი: რატომ უნდა ისწავლოს პროფკავშირის თვითეულმა წევრმა სროლა-ქართულ ენაზე; ალკოჰოლიზმი და გადაგვარება; ინფორმაცია სესხის შესახებ; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ოპერის ტრანსლიაცია.

27 მარტი: როგორ გავაუმჯობესოთ ჯანმრთელობა; ჩინეთის ამბები, ცაკას უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებ; კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე; დეპეშათა სააგ. ინფორმაცია; კონცერტი.

სიმახინჯეთა წარმოშობა

სიმახინჯე ეწოდება მტკიცე უსწორობას ორგანიზმის შენებაში, რომელიც ხდება ჩანასახის ფორმაციის და განვითარების დროს. რას გვეუბნება ამ მხრივ ჩანასახის განვითარება და მისი ცვლილებები ამ განვითარების სხვადასხვა სტადიებში?

ემბრიოლოგია გვასწავლის, რომ როგორც ცხოველთა ყოველი სახეობა მთლიანად, ისე მათი ცალკე ორგანოები კერძოდ, განიცდიან მთელ რიგ რთულ გარდაქმნებს, ვიდრე მიაღწევდენ თავის საბოლოო მდგომარეობას.

ამ გარდაქმნათა შესწავლის დროს დიდი ხანია ყურადღება მიექცა იმას, რომ უმაღლეს ხერხემლოვან ცხოველთა არა მარტო მთელი ჩანასახი, არამედ მათი ცალკე ორგანოებიც გაივლიან განვითარების განსაზღვრულ სტადიებში ისეთ მდგომარეობას, როდესაც ისინი აშკარა მსგავსებას იჩენენ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებისადმი.

რამდენიმე მაგალითი ცხადჰყოფს ამ საყურადღებო შეფარდებას: ძუძუმწოვართა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა ჩანასახნი განვითარების პირველ ხანებში იჩენენ აშკარა მსგავსებას თევზის მაგვარ ხერხემლოვან ცხოველებთან. ეს მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ ძუძუმწოვართა ჩონჩხის ხერხემლის ნაწილი თავის განვითარების დროს გაივლის ხოლმე გარსოვან მდგომარეობას (перепонч. стадий) და ამით იგი ემსგავსება თევზებს, ან და რომ ადამიანის ჩანასახს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აღინიშნება ლაყუჩების მაგვარი წარმოქმნა (жаберныедуги) და ამ მხრივ აქაც აღინიშნება თევზებისადმი მსგავსება. უფრო საგულისხმო მაგალითი: უმაღლეს ხერხემლოვან ცხოველთა ოთხ-სარკმელიანი გული ჩანასახის პირველ ხანებში ჩნდება ერთი მილის სახით, რომელიც თევზებს რჩებათ მთელ სიცოცხლეში. მხოლოდ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველების ეს ერთ-სარკმელიანი გული იყოფა ძგიდით და ჩნდება სამ-სარკმელიანი გული (ერთი პარკუჭი და ორი წინაგული, როგორიც აქვთ ბაყაყებს). უფრო მაღალ განვითარების ცხოველებს კი ჩანასახის პირველ ხანებში არსებული ერთ სარკმელიანი გული ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ძგიდეებით გაეყოფათ ოთხ ნაწილად და ჩნდება ოთხსარკმელიანი გული.

ამ მოვლენათა მიხედვით მეკკელმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოსთქვა აზრი, რომ უმაღლესი ცხოველი (მაგ. ადამიანი) გაივლის თავის განვითარების დროს ყველა იმ ფორმებს, რომელიც გაუვლიათ მასზედ დაბლა მდგომ, ნაკლები ორგანიზაციის ცხოველებსო. ამნაირად, მან შეიმუშავა თეორია პარალელობის შესახებ, რომელიც არსებობს უმაღლეს ცხოველთა ჩანასახის განვითარების და დანარჩენ — ბიოლოგიურად დაბლა მდგომ ცხოველების სახეობათა საერთო განვითარების შორის.

ამ თეორიის მიხედვით, რომელსაც ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია დღევანდელ ბიოლოგიურ მეცნიერებაში, ონტოგენეტიური განვითარება (ანუ ჩანასახის ინდივიდუალური განვითარება) არის მოკლე და მკაფიო განმეორება ფილოგენეტიური (ანუ ცხოველთა მრავალი სახეობის) განვითარების. სხვანაირად რომ ვსთქვათ: ფორმათა მთელი რიგი, რომელსაც გაივლის უმაღლესი ინდივიდუუმი თავის განვითარების დროს, ჩასახვის მომენტიდან მის საბოლოო მდგომარეობამდე, არის შემოკლებული და გამარტივებული განმეორება ფორმათა იმ გრძელი რიგის რომელიც გაუვლიათ ამ ინდივიდუუმის წინაპრებს უძველეს დროიდან უკანასკნელ დრომდე. ამით აიხსნება, რომ თვით ადამიანის ჩანასახის ნაწილები თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს მსგავსებას თევზისადმი, ბაყაყისადმი და სხვა ცხოველებისადმი.

ადვილი გასაგებია, რომ თუ ჩანასახის განვითარება რაიმე მიზეზის გამო შეჩერდა ამა თუ იმ საფეხურზე, ან თუ შორეულ წინაპრის ემბრიონალურმა ქსოვილმა არ განიცადა უკუ განვითარება, მაშინ წარმოსდგება სიმახინჯე, რითაც ეს მახინჯი ნაწილი გამოჰხატავს მსგავსებას სათანადო ცხოველისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს ცხოველთა ჩანასახი უეჭველად არ გაივლის მასზედ დაბალ რიგის ცხოველთა ყველა იმ საფეხურს, რომელიც ოდესღაც ყოფილა და არსებულა დედამიწის ზურგზე.

ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ საკმარისი გახდებოდა მიკროსკოპი და ანატომიური დანა ესე იგი, სხვადასხვა ჰასაკის ჩანასახთა მრავლობითი გამოკვლევა, ამით ჩვენ ადვილად აღვადგენდით ყველა ფორმებს, რომელსაც გაივლის ადამიანის განაყოფიერებული კვერცხი მის უკანასკნელ მდგომარეობამდე და ამნაირად ჩვენ გვექნებოდა სრული წარმოდგენა ყველა იმ გრძელ რიგ ცხოველების ფორმათა შესახებ, რომლებიც გაიარეს ადამიანის მოდგმის წინაპრებმა ორგანიულ სიცოცხლის დაწყების ხანიდან პირველ ადამიანის გაჩენამდე. ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ შეიძლებოდა შედგენა ცხოველთა სამეფოს კლასიფიკაციისა გაცილებით უკეთესად ვიდრე ეხლა არსებული კლასიფიკაცია, რომელიც შედგენილია დამთავრებულ ფორმათა მიხედვით, მაშინ შეიძლება უფრო გასაგები გახდებოდა ზოგიერთ კურიოზულ სიმახინჯეების წარმოშობის მიზეზი.

ამ ნაირადვე, თუ კი აშკარაა ის დებულება, რომ ადამიანის ჩანასახი თავის განვითარების პერიოდებში გაივლის თავის წინაპარ ცხოველთა სულ სხვადასხვა ფორმებს, მაშინ რაიმე მავნე გავლენის მიყენება ჩანასახზე მის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე შეუძლიან ღრმა უსწორობა გამოიწვიოს მის სხეულში და წარმოსდგეს სიმახინჯე, განვითარების დაბლა მდგომ ცხოველისადმი ნაწილობრივი მსგავსების სახით.

სხეულის სიმახინჯეთა წარმოშობის საკითხი არ ამოიწურება ამ ერთი შესაძლებლობით. ამ ბოლო ხანებში სიმახინჯეთა წარმოშობის საკითხს სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული და სწავლება სიმახინჯეების შესახებ გამოეყო ცალკე დისციპლინათ (ტერატოლოგიის სახით), რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩანასახის განვითარების მექანიკასთან.

სხვადასხვა გვარ სიმახინჯეთა დაპირისპირებით ნაყოფის ნორმალ განვითარების ეტაპებთან და ექსპერიმენტალურად მიღებულ სიმახინჯეთა საშუალებით შესაძლებელი გახდა გამორკვევა მათი წარმოშობის საშუალებებისა და ყოველ კერძო შემთხვევაში იმ ვადის აღნუსხვა როდესაც მოხდა პირველადი დეზორგანიზაცია ნაყოფის ნაწილებში. უახლოესი მიზეზი სიმახინჯეთა წარმოშობისა შეიძლება იყოს ორგვარი: შინაგანი და გარეგანი. შინაგან მიზეზს ეკუთვნის არანორმალობა კვერცხის უჯრედის და სპერმატოზოიდის მხრივ, რომლიდანაც ვითარდება ნაყოფი.

ასეთი თეორიტიული მოსაზრება საბუთდება ზოგიერთ სიმახინჯეთა მემკვიდრეობითი გადაცემის ფაქტებით. ასე მაგალითად სიმახინჯეების მემკვიდრეობითი გადაცემა შეიძლება გამოიხატოს ორგანიზმის იმ უსწორობის განმეორებაში, რომელიც ჰქონდა ერთ წინაპართაგანს.

ხან სიმახინჯე განმეორდება უფრო მოგვიანებითი მოდგმაში. ეს ეგრედ წოდებული ატავიზმია, როდესაც ადამიანს გამოაჩნდება შორეულ წინაპრის ორგანო. (მაგ. ხშირად ადამიანს უკანა ტანის ბოლოზე დაჰყვება ამა თუ იმ სიგრძის კუდი, რაიც ატავისტური მოვლენაა და იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი კუდიან ცხოველისაგან არის წარმომდგარი).

სხვა შემთხვევებში, როდესაც არ გვაქვს საბუთი ვილაპარაკოთ მემკვიდრეობითი მნიშვნელობის შესახებ, სიმახინჯის წარმოშობის ასახსნელად შეიძლება დაშვებულ იყოს აზრი ჩანასახოვან ფურცლების თვითნებითი გადახრა განვითარების ზოგად ტიპიდან.

ეს ეგრედწოდებული პირვანდელი ვარიაციები მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდუუმის ჩანასახოვანი განვითარება სცილდება ნორმალ ვარიაციათა საზღვარს.

სიმახინჯეთა ამ ჯგუფს განსაკუთრებით ეკუთვნიან ის მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ ორგანოს, ამ ქსოვილის განვითარებაში ხდება რაღაც ნახტომი, რის გამოც ინდივიდუუმი შეიძენს სულ ახალ თვისებას, რომელიც მანამდე მის მოდგმას არა ჰქონია.

სიმახინჯეების წარმოშობის მიზეზი ხშირად არის გარეშე მავნე მომენტის გავლენა ნაყოფის განვითარების მსვლელობაზე. ეს მავნე გავლენა გამოიხატება ხოლმე თვით ჩანასახის ავადმყოფობაში ან მის ბუდის გარსების შეცვლაში. მაგალითად, კიდურების (ხელების და ფეხების) მძლავრი სიმახინჯე, მათი უქონლობა. გამრუდება და სხვა აიხსნება იმით, რომ ნაყოფის გარსები შეეზრდება, შეეხორცდება სხეულის ნაწილებს ზონარების ანუ ეგრედ წოდებულ ამნიოტიური ძაფების სახით. ნაყოფის ზრდის გამო ეს ზონარები დაიჭიმება, მოსწევს სხეულის სათანადო ნაწილს და დაამახინჯებს მას. ამნაირადვე აიხსნება გულმკერდის, მუცლის კედლის შარდის ბუშტის და ზურგის ტვინის დაუხურაობა (ექტოპია), რაც მძლავრ სიმახინჯეს წარმოადგენს. მსგავსი სიმახინჯეები აიხსნება აგრეთვე ნაყოფის გარშემო წყლის რაოდენობითი შემცირებით, რასაც მოჰყვება არა ნორმალური ზედ დაწოლა საშვილოსნოს კედლებისა ნაყოფის ნაწილებზე.

ხშირად მიზეზი სიმახინჯეთა წარმოშობისა არის ხოლმე სხვადასხვა გვარი მავნე გავლენა, მექანიკური ხასიათისა, საშვილოსნოში ყოფნის დროს: ტრავმა, ზედ დაწოლა, ნაყოფის უწესო მდებარეობა, დედის მენჯის არანორმალური აგებულება და სხვა.

დედის სხეულის ავადმყოფობაც, რომელსაც უეჭველი გავლენა აქვს ნაყოფის კვებაზე და განვითარებაზე არ შეიძლება არ ჩაითვალოს აგრეთვე ზოგიერთ სიმახინჯეთა წარმოშობ ან ხელშემწყობ მიზეზად.

იმის და მიუხედავათ, რომ თითქოს უნდა არსებობდეს სიმახინჯეთა აუარებელი ფორმები, სინამდვილეში ისინი გვხვდებიან განსაზღვრული ფორმებისა და ერთგვარობის სახით.

ერთი ნაყოფიდან წარმომდგარი სიმახინჯეები იქნებიან: 1) სხეულის საერთო განუვითარებლობა, რის გამოც ჩნდებიან ქონდრის კაცები (კარლიკები), 2) თავის ქალას განუვითარებლობა, 3) სახის ნაწილების განუვითარებლობა (კურდღლის ტუჩი, მგლის ყბა), 4) სასქესო ორგანოთა განუვითარებლობა; მაგ. მამაკაცის სასქესო ორგანოს ღიად ყოფნა ან ზემოდან ან ქვემოდან, რის გამოც ეს ორგანო ხშირად მიაგავს ქალის სასქესო ორგანოს და სხვა.

სიმახინჯეები უფრო ხშირად გვხვდებიან ორ და მრავალ ნაყოფიანობის დროს განსაცვიფრებელი და საინტერესო ფორმებით. მაგ. ორი ნაყოფის შეერთება გულმკერდით, საჯდომით, ან თავი და ტანი შეერთებული აქვთ, კიდურები —ხელები და ფეხები კი ცალკ-ცალკე. ზოგი ერთი ასეთი მახინჯები იზრდებიან და ცოცხლობენ დიდ ხანს. ასეთ მაგალითს წარმოადგენენ ცნობილი სიამელი ტყუპები გულმკერდით შეერთებულნი, რომლებმაც ოცი წელზე მეტი იცოცხლეს.

სიმახინჯეების ასეთ საყურადღებო და საგულისხმო ფორმების წარმოშობის ნაწილობრივი ახსნა განმარტებას გვაძლევს ჩვენს თვალწინ მიმდინარე ციკლი ონტოგენეტიური განვითარებისა (ანუ ჩანასახის ცვლილებანი განაყოფიერების ხანიდან მის უკანასკნელ განვითარებამდე).

ბიოლოგიის ეს ნაწილი წარმოადგენს იმ დარგს რომელიც ადვილი მისადგომია სუსტ მეცნიერულ გამოკვლევისთვის. უშუალო დაკვირვება და აგრეთვე ექსპერიმენტალური გამოკვლევა ნებას გვაძლევენ ექსპერიმენტალურ ტეხნიკის განვითარებასთან ერთად ვრცლად და ზედმიწევნით სწორედ გავითვალისწინოთ ეს პროცესები. ნორმალური და არა ნორმალურიცა. პირიქით ცხოველთა ისტორიული განვითარება, რომელიც ხშირად თავისებურად აშუქებს სიმახინჯეთა წარმოშობის საკითხებს, მხოლოდ იმდენად ექვემდებარება უშუალო გამოკვლევას, რამდენადაც იგი ჩვენ თვალწინ სწარმოებს.

ამის შემდეგ კი იწყება ჰიპოტეზათა სფერო, ვინაიდან განვითარების პროცესები, რომლებიც არსებობდნენ ათასი წლების წინედ, ცხადია მიუწვდომელია ჩვენთვის, ვინაიდან მათზე ვერ მოვახდენთ უშუალო ბუნებრივ ისტორიულ გამოკვლევას. ამ მხრივ ცხოველების ამოწყვეტილ ჯიშთა ისტორიული დოკუმენტები, გათხრის დროს ნაპოვნი ნაშთების სახით, ძალიან მცირეა, არა სრული და ვერ შესცვლის მას, რაც შეიძლება მიღებულ იყოს ცხოველების უშუალოდ შესწავლის გზით.

ამ მხრივ ორგანიულ ქვეყნის შექმნის კანონები, რომლისკენაც ჩვენ მივყევართ სისტემატიკას, მორფოლოგიას, ფიზიოლოგიას, ემბრიოლოგიას და მათ შედარებითი ექსპერიმენტალურ მეთოდებს, შეუძლიანთ მოგვცენ უკეთესი გამოსავალი პუნქტი ჰიპოტეზებისათვის, რომლის წყალობით მეცნიერული ფანტაზია ილტვის გააშუქოს სიბნელე, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაო ალაგი უკავია სიმახინჯეთა წარმოშობის საკითხებში.

ბ. ბე—ძე.

წყალქვეშა ტანკი

ცნობილ ამერიკელ მეცნიერს **ვილიამ ბიბის** განზრახული აქვს მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოაწყოს ექსპედიცია ეკვატორის გასწვრივ ზღვის სიღრმეების შესასწავლად იმ რაიონებში. ამ მიზნით მან ამ რამოდენიმე ხნის წინათ ააგო ფოლადის ტანკი, რომლითაც აპირებს მოგზაურობას ოკეანეს ფსკერზე. ტანკის კედლებში გაკეთებულ ფანჯრებიდან ის თვალყურს ადევნებს და ეკრანისთვის გადაიღებს ზღვის მცხოვრებთა ცხოვრებას.

ზღვის სიღრმეების კინო-სურათების გადაღება სცადა ჯერ კიდევ 1912 წ. ორმა ამერიკელმა მკვლევარმა ძმებმა **ერნესტმა** და **ჯორჯ ვილიამსონებმა**. მათი პირველი ცდების შედეგები გამოფენილ იქნა იმავე წელს ნიუ-იორკში მოწყობილ საერთაშორისო კინემატოგრაფიულ გამოფენაზე. ზღვის კინო-სურათებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და ძმ. ვილიამსონებისათვის უზრუნველყო ფინანსიური დახმარება ორი წლის შემდეგ დიდი ექსპედიციის მოსაწყობათ ბაგამის კუნძულებზე.

ბიბის ფოლადის ტანკს არავითარი კავშირი არ ექნება გარეშე ჰაერთან. მასში დადგმული იქნება ცილინდრები შეკუმშული მჟავბადით. იმ დროს, როცა წინანდელი ექსპედიციების დროს დაკვირვებებს ახდენდენ უმთავრესად მცირე სიღრმეზე, ახლანდელი ექსპედიცია გამოიკვლევს ოკეანეს ერთი მილის სიღრმეზე.

ყინულის ჯებირები

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ერთმა გერმანელმა აღმოაჩინა ზღვასთან ბრძოლის საშუალება, რომელიც კაცობრიობისა და კერძოთ სანაპირო რაიონებში მცხოვრებთა წინაშე შლის ზღვისათვის ახალი სივრცეების წართმევის ფართო პერსპექტივებს.

აღმოჩენის შინაარსი მდგომარეობს დროებითი ყინულის ჯებირების მოწყობაში. პირველ ყოვლისა არკვევენ მომავალი ჯებირის ადგილ მდებარეობას. ამ ხაზით გაჰყავთ მთელი რიგი ჰორიზონტალური მილები. ამ მილებიდან გაყვანილია ვერტიკალური შტოები, რომლებიც ზღვის ფსკერამდე აღწევენ. მილები დაკავშირებულია ნავთან, საიდანაც მათში უშვებენ გათხელებულ ჰაერს. როცა გათხელებული ჰაერი მილებიდან წყალში ხვდება, ყინავს უკანასკნელს.

გერმანიაში წარმოებულმა ცდამ ნაყოფი გამოიღო:

სამი საათი გავიდა თხელი ჰაერის გადაქაჩვის მომენტიდან, რომ მილების გარშემო შეიქმნა ყინულის კედელი, რომლის სიმაღლე ალაგ-ალაგ 4 მეტრამდე აღწევდა. ყინულის კედლის სისქე საფუძველთან უდრიდა 2 მეტრს. სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან—12 სანტიმეტრს. კედელი მჭიდროთ ეკვროდა ზღვის ფსკერს და მასში ვერ ატანდა წყალი.

თუმცა თხელი ჰაერის მოქმედება მხოლოდ სამ საათს გრძელდებოდა, მაგრამ ყინულის კედელი 6 დღის განმავლობაში იდგა უვნებლად და მხოლოდ მეშვიდე დღეს დაიწყო დნობა. ცდა ამით დასრულდა.

ყინულის კედლის გამზადების შემდეგ მორიგ ამოცანას წარმოადგენს წყალის გადმოქაჩვა შემოღობილ სივრციდან. გადმოქაჩვას აწარმოებენ მძლავრი საქაჩავებით და წყალი უშუალოდ ზღვაში იღვრება.

ჯებირის აგება. ჯებირს აგებენ ყინულის კედლის გასწვრივ, შიგნიდ მხარიდან.

წყალის გადაქაჩვის შემდეგ იწყება მუდმივი ეს უკვე ადვილი საქმეა, რადგან ზღვის „ჩარევის" საფრთხე აცილებულია. მუდმივი ჯებირის აგებას დასჭირდება 14-18 დღე. ფიქრობენ, რომ სანამ ყინულის კედელი გადნება, ზღვა იმდენ სილის და ხრეშს მოაგროვებს მის ძირში, რომ მუდმივ ჯებირის ძირის გამაგრება არ დასჭირდება.

ზღვისათვის წართმეული სივრცის დონეს ასამაღლებლად და ნიადაგის გასანოყიერებლად, შემოღობილ სივრცეში საქაჩავებით ასხამენ თხელ ტალახს ან შლამს.

თუ ეს წესი პრაქტიკულად მიზანშეწონილი აღმოჩნდა, მუშაობა, რომელიც დღემდი რამდენიმე ათეულ წლებს მოითხოვდა, ამიერიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში იქნება შესრულებული.

პროფ. ვორონოვის ახალი ცდები

მთელი მსოფლიო მოიარა ცნობამ, რომ პროფ. ს. ვორონოვმა მოახდინა ერთი ახალი შესანიშნავი ცდა ე. წ. გაახალგაზრდავების სერიიდან ე. ი. მაიმუნთა სასქესო ჯირკვლების ადამიანისათვის გადანერგვის დარგიდან. უკანასკნელ ცნობაში ლაპარაკი იყო უკვე საწინააღმდეგო ცდაზე. პროფ. ვორონოვმა დედალ შიმპანზეს ამოაცალა საკვერცხე და გადუნერგა მას ქალის საკვერცხე ორგანო. ოპერაცია წარმატებით დასრულდა და ახლად გადანერგილი საკვერცხეები მშვენივრად მოქმედობენ.

ცდის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა მაიმუნის ხელოვნურად განაყოფიერება მამაკაცის თესლით.

დანიის გაზ. „პოლიტიკენ"-ის კორესპონდენტთან საუბარში პროფ. ვორონოვმა განაცხადა, რომ ეს ცდაც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა და მაიმუნი ნორა ახლა ფეხმძიმეთაა ადამიანის ჩანასახით. კორესპონდენტის შეკითხვაზე—მიიყვანს, თუ არა მეცნიერი თავის ცდას ბოლომდე—ე. ი. დაუშვებს თუ არა ადამიანის დაბადებას მაიმუნის მიერ—პროფესორმა უარყოფითი პასუხი მისცა.—ეს ფიზიკურად შეუძლებელია, განაცხადა მან რადგან შიმპანზე იმდენად პატარაა ადამიანთან შედარებით, რომ ფეხმძიმობის მიყვანა ბოლომდე არ შეიძლება. მაიმუნი მხოლოდ რამოდენიმე ხნის განმავლობაში ივლის ადამიანის ჩანასახით, შემდეგ მას გაუკეთებენ აბორტს და ჩანასახს ყურადღებით შეისწავლიან სამეცნიერო მიზნით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ორშაბათს, 21 მარტს ნაშუადღევის 2 საათზე შესდგა საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

სავალდებულოა კომკავშირის იმ კანდიდატების დასწრება, რომელთა ანკეტები დამტკიცებულ უნდა იქნეს თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მიერ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ სამი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 34) ამხ. ისაკოვთან.

1) აკაკი ერასტისძე რუხაძე, 2) ლაზარე ნიკოლოზისძე აირაპეტიანი, 3) კონდრატი ოქროსძე ზიბილაშვილი, 4) კოტე ალლაძე, 5)) ბორის (ბაზში) ხაჩატუროვი, 6) იოსებ ივანესძე ხაბელაშვილი, 7) ალექსანდრე ნიკოლოზისძე ვასილიევი, 8) მათე იაკობისძე შულმან.

— სამშაბათს 22 მარტს საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საბჭოთა უჯრედების თათბირი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან: „გრუზსნტორგ"-ის, ა. კ. ფინსახკომის, ა. კ. რკ. გზათა სამმართველოს, მუშკოოპის და ბანკის უჯრედებიდან.

2)) საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ.

აუცილებლად უნდა დაესწრონ საბჭოთა უჯრედების მდივნები, ადგილკომების თავმჯდომარეები (კომუნისტები), ეკონომიური კომისიების თავმჯდომარეები (კომუნისტები) და დაწესებულებების ხელმძღვანელები (კომუნისტები).

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს 22 მარტს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ მასწავლებელთა წრის მორიგი მეცადინეობა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 21 მარტს საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა 5) შესდგება სადელეგატო კრებების 2 პირველ ჯგუფის (რუს. და ქართ.) მორიგი მეცადინეობა და აგრეთვე მეორე ქართულ ჯგუფის მეცადინეობა იმავე დროს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კლუბის შენობაში.

— ორშაბათს 21 მარტს საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება რაიკომების, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების და ინსტრუქტორების და გამოყოფილ ტიპიურ უჯრედების მდივნების თათბირი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. საუჯრედო კომისიების მუშაობის შესახებ.
2. დაზგის მუშების თათბირის შესახებ.
3. მასწავლებელთა შორის მუშაობის ფორმის
4. უჯრედების მდივნების მოადგილეთა შესახებ.
5. საუჯრედო კრებებზე თავმჯდომარეობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

— ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის სახ—უნის პედაგოგიური ფაკულტეტის უჯრედის ბიურო ამით აცხადებს ყველა წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ 20 მარტს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ზემოხსენებული უჯრედის არაჩვეულებრივი კრება, დასწრება სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატებისათვის.

— სახ. უნ. სამკურნალო ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო, იტყობინება, რომ დღეს 20 მარტს დილის სრულ 12 საათზე მოწვეულია უჯრედის არაჩვეულებრივი კრება. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა კომკავშირის დისციპლინის წესით.

— სახ. უნ. აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს 20 მარტს დილის სრულ 3 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის არაჩვეულებრივი კრება, დასწრება ყველა წევრთათვის დისციპლინის ძალით სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

— ორშაბათს 21 მარტს დღის 3 საათზე მოწვეულია პოლიტეხნიკური ფაკ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა, დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა წევრების და კანდიდატებისათვის.

ამავე დღის საღამოს 5 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ალიმენტის (საზრდოს) შესახებ

სოფ. ლეხანდრის მცხოვრებ ივლიტა დანელიას!

თქვენ გვწერთ, რომ უკვე 5 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქმარს განშორდით კანონიერი წესით. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ყოფ. ქმარს არ მოუცია თქვენს და თქვენი ბავშვისთვის საზრდო. იმყოფებით უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობაში.. თქვენი ბავშვი უკვე 6 წლისაა და იგი დღემდე არ არის გატარებული „მმაჩში" რეგისტრაციაში. ამას გარდა, თქვენმა ქმარმა „მოტყუებით" და სხვადასხვა „ხრიკებით" გაიძულათ მიგეცათ მისთვის ისეთი ხელწერილი განქორწინების დღეს, რომლის ძალით თქვენ არ უნდა მოგეთხოვათ მისგან ბავშვის საზრდო. ეხლა ჩვენ გვეკითხებით —1) გაქვთ თუ არა უფლება მოთხოვოთ ალიმენტი თქვენ ყოფ. ქმარს; ბ) გაქვთ თუ არა უფლება თქვენი ბავშვი გაატაროთ „მმაჩ"-ში თავის მამის გვარზე, გ) შესაძლებელია თუ არა თქვენ მიერ გაცემული და ბავშისათვის საზიანო ხელწერილის გაუქმება იმ ჯარიმის მოხსნით, რაც ხელწერილშია აღნიშნული და დ) ვის უნდა მიმართოთ ყველა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ვპასუხებთ

ბავშვების მოვლა-პატრონობა, მათი საზოგადო სასარგებლო საქმიანობისათვის აღზრდა და მზრუნველობა ეკისრებათ მათ მშობლებს თანაბრად. მათი მატერიალურ მდგომარეობისა და ცოდნა-გამოცდილებისა, განქორწინება სრულებით არ ანთავისუფლებს არც ერთ მხარეს ამ მშობლიურ მოვალეობის ასრულებიდან (იხ. დეკრეტი №28-ის მუხ. 117, 118, 114 და 125 და 124); თუ მშობლებს ნებაყოფლობით არ სურთ არჩინონ თავიანთი შვილები თუმცა, მათ ამის საშუალება აქვთ, მაშინ იმ პირს, ვისთანაც ბავშვები ცხოვრობენ, აქვთ უფლება მოითხოვოს სასამართლოს წესით ბავშვების საზრდო (იხ. იქავე მუხ. 127); განქორწინების შემთხვევაში არც ერთ მხარეს და არც ბავშვებს არ ერთმევათ უფლება მოითხოვონ სარჩენისათვის დადგენილი სარჩო წესის თანახმად, სარჩის რაოდენობის შეცვლა, წინაამდეგ მათ შორის უკვე არსებულ შეთანხმებისა (იხ. საქართვ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 27 თებერვლის დადგენილება № 23-ის მუხ. 6. გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტში" 1927 წ. 6 მარტის ნომერში). ამ მუხლის ძალით თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი ხელწერილის გაუქმება და ბავშვის საზრდოს საკითხის გადაწყვეტა არსებულ წესების თანახმად.

როდესაც ქორწინება ისპობა განქორწინებით, მშობლების შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი გვარი (ე. ი. მამის, დედის, თუ ორივეს შეერთებული გვარი) უნდა ატარონ შვილებმა. თუ კი ამაზე შეთანხმება არ მოხდა მათ (მშობლების) შორის, ადგილობრივი მოსამართლე აწესებს მათ გვარს; თუ კი ამის შედეგად დავა მშობლებს შორის არ შეწყდა მაშინ ბავშვების გვარს დაუწესებს სახალხო სასამართლო (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 109).

დიდი შეცდომა დაგიშვიათ და დანაშაულიცაა, რომ ბავშვი (ექვსი წლისაა) და დღემდე არ გაგიტარებიათ დაბადების წიგნში.(ი. დეკრეტი № 28-ის მუხ. 17). თუ კი „მმაჩი" ამჟამად ბავშვის რეგისტრაციაზე უარს გეუბნებათ რის უფლება მას აქვს, რადგან სარეგისტრაციო სავალდებულო ვადა უმიზეზოთ გამოშვებულია), ბავშვის დაბადების რეგისტრაცია უნდა მოხდეს მხოლოდ სახალხო სასამართლოს საშუალებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხ. 192-ის თანახმად.

სამუდამო გლოვით მოცული ქვრივი ეკატერინე იონეს ასული, შვილებით: გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზ, დავით შენგელაიები და ელენე ყანჩელისა, სიძე ალექსანდრე ყანჩელი, რძლები: ლიუსია და ოლია შენგელაიასი და შვილიშვილები: სალომეა, შურიკი, და ნატალია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

მიხეილის გიორგის-ძე შენგელაიას

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავი პანაშვიდი გადახდილ იქნება სამოქალაქო წესით, ოთხშაბათს, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე, იმამიოლოვის ქ. № 9. 2114

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბიქტორ ელიზბარისძე ბოლქვაძე შვილებით—ჟორჟიკა, დათიკო და კონსტანტინეთი, ძმები კირილე მეუღლეთი, ვალოდია და ვასო ჯაველიძეები, მაზლის შვილი კიკილო, რძლები ანიჩკა და ოლია ბოლქვაძეები, აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 17 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ეპრაქსი კონსტანტინეს ასული

ბოლქვაძისა

დაკრძალვა კვირას 20 მარტს, კუკიის სასაფლაოზედ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან საღამოს 4 საათზე სადგურის ქუჩა სასტუმრო „იბერია" 2—2 (ე)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ხინა პავლეს ასული, დედა დესპინე, ძმები დიმიტრი და ევგენი ევსევის-ძენი გვანცელაძეები, რძლები აგრაფენა არტემის ასული და ქეთევან პორფილას ასული, და ნადეჟდა ახვლედიანისა და სიძე გიორგი ახვლედიანი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალ. თბილისში მათთვის მუდამ დაუვიწყარი და საყვარელი ახალგაზრდა სტუდენტი

ნიკოლოზ ევსევის-ძე გვანცელაძე

რომელიც წასვენებულია ქ. ქუთაისში 19 მარტს, დაკრძალვა მოხდება ქუთაისში სამშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ყაზბეგის ქ. 1-ლი შესახვევი № 16, გოჭოურის სასაფლაოზე. 2135

ამ.-კავკ. რკინის გზის წევის დარგის საორთქმავლო ნაწილის თანამშრომელნი ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ თანამშრომლის

ნიკოლოზ ევსევის-ძე გვანცელაძის

გარდაცვალებას ა. წ. 18 მარტს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა სამშაბათს, 22 მარტს, ქ. ქუთაისში. ცხედრის გამოსვენება მოხდება გარდაცვლილის ბინიდან. (ყოფ. არქიერის ქუჩა სახლი № 14,) ნაშუადღევს 4 საათზე. 2131

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ანეტა, შვილები: ცაცო, ცირა და მარიკო ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 18 მარტს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ქმარი და მამა

სარდიონ დიმიტრის-ძე თამაზაშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 მარტს, სოფელ ქვ. მაჩხანაში. 2130

საკავშირო კომპარტიის (ბ) ქვ. მაჩხაანის ორგანიზაცია ამით იუწყება, რომ ა. წ. 18 მარტს, გარდაიცვალა კომპარტიის ღირსეული წევრი და დამსახურებული საბჭოთა მუშაკი ქვ. მაჩხაანის თემ-აღმასკომის თავმჯდომარე

სარდიონ დიმიტრის-ძე თამაზაშვილი

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 20 მარტს, სოფ. ქვ. მაჩხაანში. 2129

ქვ. მაჩხაანის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო ამით იუწყება, რომ 18 მარტს, გარდაიცვალა ქვ. მაჩხაანის თემსაბჭოს ერთგული წევრი და ხელმძღვანელი

ამხ. სანდრო დიმიტრის-ძე

თამაზაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 მარტს, სოფ. ქვ. მაჩხაანში. 2128

გულდათუთქულნი მშობლები: ლუბა დიანოზის ასული და სამსონი ალექსის-ძე, ძმები იოსები, სევერიანე, ბოჩია, კუკუშა და ლინა, რძალი ლენა, ძმისწულები ბუთული და ჯანკაუნთელაძეები, სიძე პეპიკო და დისწული პაპუნა შენგელაიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის უსაყვარლეს

მიშა (ცუდუ) სამსონის-ძე ანთელავას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 20 მარტს, რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) ნაშუადღევის 3 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2133

„სეკარის სითხე"

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა"-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 724 10—1

„სეკარის სითხე"

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა"-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 განყ. 66

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს **2 მან.**

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 20 მარტს, **აბესალომ და ეთერი**
მრავალის, მაყაშვილის, გაბაშიძის, ანდღულაძის და ვენაძის მონაწ.

22 მარტს. ე. ა. სტეპანოვას და ს. ი. მიგაის გასტროლი **სევილიელი დალაქი**

23 მარტს, **თამარ ცბიერი**

ნ. 849

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—16 ნ. 748

უკანასკნელი დღე **„ქურდი ბაღდადიდან"** ხვალ „ზარე"

უკანასკნელი დღე კინ (**Гений и безпутство**) ხვალ „ზარე"

საუკეთესო სურათი **„მხდალი"** ორშაბათიდან დადგმა გრძელდება

ანონსი: ამ დღეებში ბარბარა ლა-მარ სურათში „მეკობრეთა შთამამავალნი"

„ამერიკელ ქალის თავგადასავალი" 3 და 4 სერია, ორშაბათიდან—5 და 6 სერია

ანონსი: მალე მსოფლიო შედევრი „სოდომი და გომორრი"

სახელმწიფო დრამა

კვირას, 20 მარტს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით

დადგმა: ალ. ახმეტელის.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—4 ნ. 828

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო

ოთხშაბათს, 23 მარტს,

ქართული მწერლობის ყველა მიმართულებათა წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობენ: პროფ. შალვა ნუცუბიძე, მომღ. სანდრო ინაშვილი და აკ. დრამის მსახიობი უშანგი ჩხეიძე.

ნ. 853 2—1. საღამოს პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

ცირკი ძმ. ტანტების

ტელ. 16—67

წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!

1—1 ნ. 848

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 20 მარტს,

პაროდიულ დადგმების და საცირკო ატრაქციონების სანახაობანი

დღისით და საღამოთი

დღისით დასაწყისი ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე ყველასთვის ხელმისაწვდომი საბავშვო დილა განახლებული პროგრამა უფასო საჩუქრების დარიგება. საღამოთი ვრცელი პროგრამა 3 განყოფილება. ჭიდაობის მე-49-ს დღე.

ჭიდაობს ოთხი წყვილი 2 ბუმბერაზის შეხვედრა
წითელი ნიკ.—ბუმბერაზი ზოტი ვ. შულცი—სუტიაგინი
გადამწყვეტი რევანში ერტნერ—ბულ დემონ—იაუნზე

სამშაბათს, 22 მარტს, სადღესასწაულო სანახაობანი ადმინისტრატორ მიხ. ტადეს **საღამო**

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

გამოვიდა და იყიდება

წიგნის ყველა მაღაზიებში, გაზეთების გამყიდველებთან და კიოსკებში

ხალხური პოემა

„აბესალომ და ეთერი"

მისამართი, რუსთველის გამზ. № 26, ეზოში. 1—1

ა | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი

საყოველთაო ცნობისათვის აცხადებს, რომ ნება ეძლევა საქართველოს ცაკ-თან არსებულ ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტს ერთი წლის ვადით, ე. ი. 1928 წლის 1 აპრილამდი გაავრცელოს საქართველოს ს ს. რ. ტერიტორიაზე საქველმოქმედო მარკები შემდეგი წარწერით:

ა) საქველმოქმედო მარკა, ბ) იძულებითი მსვლელობა არა აქვს, გ) არ შეიძლება მიღება-გაცემა ფულის ნიშნების მაგიერ.

2122 ამიერ-კავკასიის ფინსახკომატი

ექიმი

ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

25—1

თბილისის სარაიონო საბაჟო

აცხადებს, რომ ა. წ. 28 მარტს და შემდგომ დღეებში დილის 9 საათ., საბაჟოს ეზოში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კონფისკაციით ჩამორთმეულ შემდეგი საქონელის გასასყიდათ: შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი, აბრეშუმის ქსოვილები, ლიონის შარფები, ჩულქები, წინდები, ლაკის ტყავები, შევრო და სხვ., და აგრეთვე ვადაზე მოუკითხავი საქონელი

ნ. 852 თბილისის სარაიონო საბაჟო

მუშკოოპი

დაინტერესებულ დაწესებულებებს აუწყებს, რომ სადგურის ქუჩაზე და რუსთველის პროსპექტზე მდებარე მაღაზიებში

მიღებულია

ზედ-ტანისამოსის დიდი რაოდენობა

იყიდება ნაღდად და ნისიათაც ნ. 837

რადგანაც სააქციო საზოგადოება

„საქართველოს ჩაი"-ს

სახელზე ხშირად შემოდის ჩაქვის სახალხო მამულისადმი კუთვნილი პრეტენზიები, რომელიც 1925 წლის დეკემბრის 14-ს წინა პერიოდს ეხება, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი-"ს გამგეობა ამით

საყოველთაოდ აცხადებს

რომ თანახმად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ჩაქვის სახალხო მამული აღნიშნულ რიცხვიდან ს.ს.ს,რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტისაგან გადავიდა სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს განკარგულებაში.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოების გამო ამგვარ პრეტენზიებს სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა არ განიხილავს, წინადადება ეძლევათ ყველა დაწესებულებასა და კერძო პირთ თავიანთ პრეტენზიებით მიმართონ საქართველოს ს.ს.რ. სახალხო მამულების ტრესტს, შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ლუნაჩარსკის ქუჩა № 2.

სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა ნ. 847

ა.-კ. რკინის გზის გამგეობა

ამით იუწყება, რომ ხუთშაბათს, 24 მარტს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

მეორეული საჯარო ვაჭრობა

მიწის და ქვის სამუშაოებზე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად ორჯონიკიძეს (ყოფ. ანდრეევის) ქუჩაზე № 87 | 89.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ქვითარი განცხადებული ფასიდან 5 % ბეს შეტანის შესახებ გზის სალაროში.

საჭირო ცნობებისა და განცხადების ბლანკების მიღება შეიძლება საბინაო საამშენებლო კომიტეტის კანტორაში, ა.-კავკ. რკ. გზ. სამმართველოს შენობაში—სადგურის ქ. № 1, ოთახი 249.

3—2 ნ. 821. გამგეობა.

მსურველთ შეუძლიათ

სავსებით შეითვისონ 3 თვის სისტემატიური და პრაქტიკული ვარჯიშობით სრული კურსი

ბუხჰალტერიის: საქარხნო, სავაჭრო ან საბიუჯეტო დარგი

მეცადინეობა მცირე ჯგუფში შემდგარი 6—7 პირისაგან—კურსის გავლა ჯგუფში 75 მანეთი, ხოლო კერძოთ ორმაგად. პირობების გაგება შეიძლება ი. ცირგილაძესთან საღ. 5—7 საათამდე—რუსთაველის გამზირი № 18 მესამე სართული, ტელეფონი № 5—40. ნ. 802 10—4

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუხჰალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

განცხადებების მიღება შეიძლება **1 აპრილამდი**

ან ხელოსანთა კლუბში მდივანთან, პლეხანოვის პრ. № 66, ანუ კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან 1 თუმანოვის ქ. № 13. 2124

საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით

არტელი ამა წლის მარტის 15 რიცხვიდან

სწყვეტს თავის მოქმედებას და უქმდება

თანახმად არტელის წესდების § 98, სალიკვიდაციო კომისია შეუდგა არტელის ქონებრივ ურთიერთობის გამორკვევას და წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც კი რაიმე პრეტენზია აქვს, განაცხადოს ასეთი წერილობითი სალიკვიდაციო კომისიაში ა | წ. 15 მარტ. 3 თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია დაკმაყოფილებული არ იქნება სალიკვიდაციო კომისია მოთავსებულია კამოს ქუჩაზე № 85

3—1 2101 სალიკვიდაციო კომისია

შრომის სიები

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს 1926 წლის 21 სექტემბრის და 14 დეკემბრის დადგენილების და ა.-კ ს.ს.ფ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ა. წ. 21 თებერვლის დადგენილების თანახმად ა. წ. 15 მარტიდან ამიერ-კავკასიის ყველა ადგილებში სავალდებულო წესით შემოღებულია „შრომის სიები" ყველა მოსამსახურეთა მუდმივ აღრიცხვისათვის.

სიების სწორათ შედგენის მიზნით, ა.-კ. ს.ს.ფ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც დართული აქვს სიებს.

„შრომის სიების" გამოცემა და გავრცელება დავალებული აქვს „ზაკორგსტროის".

სიები დამზადებულია ა.-კ. ს.ს.ფ. რესპ. ყველა სახელმწიფო ენებზე (რუსული, ქართული, თურქული, სომხური).

„ზაკორგსტროი"-მ დაამზადა სტანდარტული ყუთები სპეციალურათ შრომის სიების შესანახად. არის დამყოფები (საალფაბეტო და რიცხვობრივი) და პირადი შემადგენლობის საალრიცხვო ბარათები.

„ზაკორგსტროი" იღებს დავალებებს დაწესებულებათა პირადი საქმისწარმოების და სხვა აპარატის გაუმჯობესება-გამარტივების დარგში.

მოთხოვნილებით მიმართეთ: თბილისი, აღმასკომის ქ. „ზაკორგსტროის".

დაკვეთები სხვა ქალაქებიდან იგზავნება ნაღდ ანგარიშზე, ან ფასდადებით.

შრომის სიის ერთი ეგზემპლიარი ღირს 8 კაპ.

ნ. 851

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

გ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 24 მარტს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 11 კახეთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე მაილოვის მოძრავ ქონებას: რესტორანის მაგიდებს, სკამებს, ჭურჭლებს, მაგარ სასმელებს, ღვინოს ბოჭკებით, ცარიელ ღვინის ბოჭკებს, კედლის სარკეს და სხვ. შეფასებულს 200 მან., ლალიაშვილის, პაპიაშვილის და გემოკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 მარტს 1927 წ. თარიღით, № 870 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 850

ქ. თბილისის 1-ლი რაინ. სასამართლოს აღმასრულებ.

ძოძუაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 23 მარტს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 117 პლეხანოვის გამზ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ემანუილ ვლ-ძე ხანზინის მოძრავ ქონებას: პიანინოს, ხალიჩას, ბუფეტს, საწერ მაგიდას, სარკეს და სხვ. შეფასებულს 1048 მანეთად, საბინაო კოოპერატ. ამხ-ბა „აისი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლ უბ. სახალხო სასამართლოსაგან 8 მარტს 1927 წ. თარიღით, № 724 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2123

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 24 მარტს 1927 წ. საათ. 1, კომუნალურ ქ. № 16 მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნაჯაფ აკპეროვის უძრავ ქონებას ერთ ნახევარ უფლებას სახლისას, მდებარეს კომუნალურ ქუჩ. № 16, რომელიც შესდგება 9 ოთახისაგან, სავაჭრო ხასიათის სადგომი, რომელიც ამ სახლში შედის, არ იყიდება, შეფასებულს ათას მან. დასაკმაყოფილებლად თბ. საურთიერთო ნდობის საზოგად. და მერკურკრედიტისა ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც კოდექ. 2126

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.

გ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 25 მარტს 1927 დღის 2 საათზე სახლში № 39 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის „ს. შაგრიარსკის" კონიაკის ქარხნის ადმინისტრაციის მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდას, ცარიელ ბოჭკებს, საძ ვედრო სპირტს, გრძელ მაგიდას, ფილტრის მაგიდებს, ნახევარ ვედრო კონიაკს ვედრით, ლიკორებს, ცარიელ ბალონს, ლიკიორის ესენციებს და სხვ. შეფასებულს 240 მანეთად, სურსათ-ემოვნების კავშირის და ოლღა ფეიქაროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 თებერვ. 1927 წ. თარიღით, № 656 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 850

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი

პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 1927 წ. 26 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე ის პირველ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ ბესარიონისძე მერაბიშვილის სამ სართულიან სახლს სარდაფებით, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის მეორე სამილიციო უბანში ბაზრის ქ. და ყოფ. ბარონის (ეხლა კი ფურცელაძის) ქუჩის კუთხეში № 16 | 3 სახლი გასაყიდათ შეფასებულია 8602 მან. ამ სახლში, რომელიც პირველათ დაგირავებული იყო თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასთან 5 000 მან. და მეორეთ ვასილ ფრანკესთან 20.000 მან., არის 54 ოთახი, 13 სამზარეულო და სხვა. ზემოაღნიშნული სახლის გაყიდვა მოხდება ამავე სახლის ეზოში სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლების მოთხოვნილებათა დაცვით. 2127

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. ზეზეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 24 მარტს 1927 წ. დღის 12 ს. სახლში № 32 ამილახვარის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამ სახლს გაბრიელ ზაქარიასძე თამამშევისას ნინო ვარძელაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 8 დეკემბრის 1926 წ. თარიღით № 31874, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით. სახლი არის ორ სართულიანი ქვიტკირის, დახურული თუნუქით, აშენებული ქალაქის მიწაზე ზომით 889 ოთხკ. საჟენი. ზემო სართულშია სამი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, ხოლო ქვემო სართულში სამი განყოფილება არა საცხოვრებელი. შეფასებულია (500) ხუთას მანეთად, მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპრ. კოდ. 311—312 მუხ. აღნიშნული წესები. 2134

ექიმი

მებრაბიანცი

ფილტვების, ყლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი

ა. დ. ქექელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (გოლოვინის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").

გარდა სნეულების, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმხივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტროპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექ. ი. ე. გაბიჩვაძე

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

დაკარგე პატარა ონის თემ-აღმასკომისგან გაცემული პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და თბილისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი—ილია არსენის-ძე ჭოხონელიძის სახელზე, ჩ. გ. 2117

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 602, ვარლამ დიონოზის-ძე ლუხუტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2116

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1609, მოცემული მთავარი მმაჩიდან სარქისა კირაკოზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2115

დაკარგე ა.ლ.კ. კავშირის მთლიანი მანდატი № 8573, მოცემული ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მიერ, ლეონიდე ტარასის-ძე კიკაბიძის სახელზე, ჩ. გ. 2119

დაკარგე ქვითარი თბილისის სავაჭრო-სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრობისა № 529, ვასილ ათანას-ძე ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2118

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 2086 და მეტრიკული ამონაწერი № 725, ალექსანდრე სილიბისტროს-ძე მჟავიას სახელზე, ჩ. გ. 2121

დაკარგე პირადობის მოწმობა № 360, გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ—დარეჯანა სამსონის ასულ ვაშაყმაძის სახელზე, ჩ. გ. 2120

დაკარგე ა.ლ. კომკავშირის წევრობის მანდატი № 485 და პირადობის მოწმობა ვახტანგ ხარლამპის-ძე ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. ვალ.

დაკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 15361, მიღებული განათლების მუშაკთა კავშირის ლეჩხუმის სამაზრო განყოფილებიდან ნადია ყრუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2125

დაკარგე საპენსიო წიგნაკი № 277, ილებული სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატიდან ოლღა ლიპარტელიანის სახელზე, ჩ. გ. 2125

დაკარგე აღრიცხვის ბარათი ფ. № 4, სერგეი ფირანიას-ძე ჩარგეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2132

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.